

178
1962/2




სახკმთა სამართალი

საქართველოს კაცობრივი უშიშროების განმცხადებელი

1962

3



საბჭოთა სამართალი

№ 3

მაისი—ივნისი

1962 წელი

გამოცემის IX წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

- გაზეთ „პრადეს“, საბჭოთა პრესის ყველა მუშაკს 3
- საბჭოთა პრესის დიდი მედროზე 5

საზოგადოებრივი პროკურატურის 40 წელი

- სკკბ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა საბჭოთა პროკურატურის მუშაკებისადმი 7
- საზეიმო საღამო 7
- პ. ბერძენიშვილი — სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე 8
- ოფიციალური მასალები 13
- გ. ტყეშელიაძე, ღ. თალაკვაძე—ვიშინსკის მეხე თეორიების შესახებ საბჭოთა სისხლის სამართალსა და საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში . . . 19

რუსი სოციალიზმი იურისტებში

- ა. ვაჩიშვილი — გამოჩენილი მეცნიერი-სოციოლოგი მ. კოვალევსკი 27

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

- ვ. ზვალაძე — ავტოფარისის საქმეთა გამოძიების პრაქტიკისათვის 39
- ი. გოგაშვილი — ბრალდებულისათვის დაცვის უფლებების უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ 42
- ნ. ბანცაძე — ავტოსავაზო შემთხვევები და ტექნიკური ექსპერტიზის მნიშვნელობა 45

დისკუსიები, პოლემიკა, რეპლიკა

- გ. ლეუვა — კანონის სწორი განმარტებისათვის 50
- რ. ჭოდოშვილი — სპეციალისტის როლი სისხლის სამართლის პროცესში . . . 53
- „იურიდიული ტერმინოლოგიის“ სარედაქციო კოლეგიისაგან 56
- ინფორმაცია 63
- ვ. შანიძე — გამოჩენილი ქართველი მეცნიერი 82

კრიტიკა და ზიგლიოზგრაფია

- ი. სურგულაძე — წიგნი სერიოზული ხარვეზებით 84
- გ. თარხნიშვილი — ნაშრომი ქართველ იურისტებზე 90

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ხსოვნას 95

8845





СОДЕРЖАНИЕ

| | |
|---|---|
| Газете „Правда“, Всем работникам советской прессы | 3 |
| Великий знаменосец советской прессы | 5 |

40 ЛЕТ СОВЕТСКОЙ ПРОКУРАТУРЫ

| | |
|---|----|
| Обращение к работникам советской прокуратуры от Центрального Комитета КПСС и Совета Министров СССР | 7 |
| Торжественный вечер | 7 |
| П. Бердзенишвили—На страже социалистической законности | 8 |
| Официальный материал | 13 |
| Г. Ткешелиадзе, Л. Талаквადзе—О вредных теориях Вышинского в советском уголовном праве и советском уголовном процессе | 19 |

РУССКИЕ СОЦИОЛОГИ ЮРИСТЫ

| | |
|--|----|
| А. Ваченишвили—Выдающийся ученый—социолог М. Ковалевский | 27 |
|--|----|

ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ

| | |
|---|----|
| В. Хмаладзе—К вопросу практики расследования дел по автоавариям | 39 |
| И. Гогашвили—О некоторых вопросах обеспечения прав защиты обвиняемому | 42 |
| Н. Банцадзе—Автодорожные происшествия и значение технической экспертизы | 45 |

ДИСКУССИЯ, ПОЛЕМИКА, РЕПЛИКА

| | |
|---|----|
| Г. Лежава—К правильному толкованию закона | 50 |
| Р. Чогошвили—Роль специалиста в уголовном процессе | 53 |
| От редакционной коллегии „Юридической терминологии“ | 56 |
| Информация | 63 |
| В. Шанидзе—Выдающийся грузинский ученый (академик В. К. Жгенти) | 82 |

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

| | |
|--|----|
| И. Сургуладзе—Книга с серьезными пробелами | 84 |
| Г. Таркнишвили—Труд о грузинских юристах | 90 |
| Памяти академика Корпелия Кекелидзе | 95 |

სარედაქციო კოლეგია

შპ. № 1859
ტირაჟი 6.900
უფ 03365

- ა. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
პ. ბერძენიშვილი, მ. ვეფხვაძე, გ. ინწკირველი,
მ. ლომიძე, ე. ტაკიძე, თ. წერეთელი,
ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-09-62

გადაეცა წარმოებას 18/IX-62 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XI-62 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ издательство ЦК КП Грузия
Тбилиси, ул. Ленина № 14.

178
1962/2



გაზეთ „პრავდას“ საბჭოთა პრესის ყველა მუშაკს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება და გულითადად ულოცავს პრავდისტთა კოლექტივს, საბჭოთა პრესის ყველა მუშაკს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მიერ დაარსებულ გაზეთ „პრავდის“ 50 წლის იუბილეს.

„პრავდის“ 50-ე წლისთავი ღირსსახსოვარი მოვლენაა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, საბჭოთა პრესის ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის დღესასწაულია. „პრავდა“ ლენინის პარტიის ღვიძლი შვილია, მასებისადმი მიმართული მისი მგზნებარე სიტყვაა. დიდმა ლენინმა შორსმჭვრეტელურად დაინახა „პრავდაში“ „იმ გაზაფხულის პირველი მერცხალი, როდესაც მთელი რუსეთი დაიფარება მუშათა ორგანიზაციებით და მუშათა გაზეთების ქსელით“.


ლენინური „პრავდა“ იყო დიდი ოქტომბრის მაუწყებელი, სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური მშენებლობის პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი, მან თვალსაჩინო როლი შეასრულა კომუნისტური პარტიის გარშემო ხალხის მასების დარაზმვაში, მათ იდეურ წრთობასა და პოლიტიკურ აღზრდაში, ნამდვილად სახალხო პრესის განვითარებაში, რომელიც მშრომელთა ძირეული ინტერესების გამომხატველია.

„პრავდა“ რევოლუციური ბრძოლისა და სოციალისტური გარდაქმნათა, დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობის სახელოვანი მატრიანეა, კომუნისტური გაშლილი მშენებლობის მატრიანეა. „პრავდა“ პარტიის ტრიბუნა, მეცნიერული კომუნისტური იდეების განმსახორციელებელი, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისათვის აქტიური მებრძოლია.

5188

საბჭოთა პრესის ვეტერანი „პრავდა“ ყოველთვის გამოხატავს პარტიისა და ხალხის კოლექტიურ აზრსა და კოლექტიურ გამოცდილებას, თანმიმდევრულად იბრძვის პარტიის ლენინური ხაზისათვის, დაუცხრომლად ახორციელებს მის პოლიტიკას. „პრავდა“ ნიმუშია ათასობით საბჭოთა გაზეთისა და ჟურნალისათვის, სოციალიზმის მომქმე ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პრესის მეგობარი და თანაშემწეა.

დაბადების პირველი დღიდანვე „პრავდა“ ხალხის ხელით იწერება, ღერთმეტი ათასზე მეტი მუშათა კორესპონდენცია გამოქვეყნდა გაზეთში მისი არსებობის უკვე პირველ წელს. მას შემდეგ მუშათა და სოფლის კორესპონდენტი „პრავდის“ ფურცლებზე სტუმარი კი არა, მასპინძელია. მუშა და სოფლის კორესპონდენტთა თანამედროვე სწრაფად მზარდი მოძრაობა, გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების ფართოდ გავ



რცელება განსახიერებს ჩვენი პრესისა და რადიოს მასობრიობის ხალხურობის ლენინური პრინციპების გამარჯვებას, მათი შემდგომი აღმავლობისა და სრულყოფის საწინდარია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ახლა, როცა საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით გიგანტურ მუშაობას ეწევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის, XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, „პრავდა“ გვიჩვენებს შემოქმედებითი პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მუშაობის ახალ ნიმუშებს, დარაზმავს მშრომელებს კომუნისტური მშენებლობის მსოფლიო-ისტორიული ამოცანების შესასრულებლად.

„პრავდის“, მთელი საბჭოთა პრესის საპატიო მოვალეობაა კვლავაც დაუცხრომლად, მთელი ბოლშევიკური მგზნებარებით შექმნილი მაკეში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, რაზმავდნენ და წარმართავდნენ ხალხის შემოქმედებითს ძალებს, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განსავეითარებლად, ახალი ადამიანის აღსაზრდელად, გაბედულად უჭერდნენ მხარს ყოველივე მოწინავესა და პროგრესულს, გადაჭრით ამხილებდენ ნაკლოვანებებს და ხელს უწყობდენ მათ აღმოფხვრას. საბჭოთა ყურნალისტების საპატიო მოვალეობაა აქტიურად განმარტავდნენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, მთელ თავიანთ ძალდასხმას ახმარდენ ბრძოლას მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ საბჭოთა პრესა, ყველა მისი მუშაკი ყოველთვის იქნებიან პარტიის ერთგული მეზობელი თანაშემწენი მის ბრძოლაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი უსურვებს გაზეთ „პრავდის“ კოლექტივს, საბჭოთა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ყველა მუშაკს, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა სახელოვან არმიას ახალ დიდ წარმატებებს მათ კეთილშობილურ შრომაში ჩვენი სამშობლოს სასახლოდ, მარქსიზმ-ლენინიზმის ახალი გამარჯვებებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტი.

საბჭოთა პარტიის დიდი გარდაქმნა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ ორგანოს, ლენინური იდეების დაუღალავ პროპაგანდისტს, მასების კოლექტიურ აგიტატორსა და ორგანიზატორს, მშრომელთა საყვარელ გაზეთს „პრავდას“ 50 წელი შეუსრულდა.

საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ „პრავდას“ იუბილეს, სიყვარულის გრძნობით თვალს ავლებენ მის სახელოვან ისტორიას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ლენინური პარტიის გამორჩეულ ისტორიასთან, სოციალისტური რევოლუციის განხორციელების, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის ეპოპეასთან. „პრავდას“ 50 წლისთავის ზეიმი მთელი საბჭოთა პრესის, კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის ზეიმიცაა.

ყველაზე პოპულარული, ყველაზე მართალი გაზეთი — ასეა ცნობილი ჩვენს პლანეტაზე „პრავდა“. კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის ავანგარდი, საბჭოთა პრესის დიდი მედროშე და მთავარსარდალი — ასეა ცნობილი „პრავდა“ ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტურ ქვეყნების მძლავრ ბანაკში. „პრავდას“ მართალი სიტყვა ადვილად აღწევს მილიონობით უბრალო ადამიანების გულბამდე დედაქალაქის ყველა კუთხეში.

დაარსების დღიდან „პრავდას“ 16 ათასი ნომერი გამოვიდა. ერთს შეხედვით ეს რიცხვი დიდი როდია. მაგრამ რამდენის დამტკიცება გაზეთის თვითეული ნომერი, თვითეული გვერდი. „პრავდას“ ეს ნომრები მარტოოდენ მისი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მაჩვენებელი არ არის. ისინი ამავე დროს წარმოადგენენ საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნისათვის მშრომელთა ნახევარსაუკუნოვანი ტიტანური ბრძოლის ენციკლოპედიას.

განსაკუთრებით დიდია „პრავდას“ როლი ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როდესაც „პრავდა“ ქვეყნის მმართველი პარტიის ორგანოდ იქცა. „პრავდა“ პარტიის ერთგული თანაშემწე იყო პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, მთელ თავის ძალებს ახმარდა საბურთალოს და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაჭრას, დაუნდობლად ამხილებდა გამთიშველებსა და ფრაქციონერებს, კაპიტულიზმს, თანმიმდევრულად იბრძოდა ჩვენს ქვეყანაში ლენინური კურსის განხორციელებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის. უდიდესია „პრავდას“ როლი საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, როდესაც წყდებოდა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბედი. ამ პერიოდში „პრავდა“ ხალხს ზრდიდა მტრისადმი სიძულვილის გრძნობით, უნერგავდა მათ გამარჯვების რწმენას, მოუწოდებდა მხედრული გმირობისა და მამაცური შემართებისაკენ. ამჟამად „პრავდა“ აღაფრთოვანებს და რაზმავს საბჭოთა ადამიანებს კომუნიზმის დიადი პროგრამის შესრულებისათვის, მთელ თავის მგზნებარებას და პუბლიცისტურ პათოსს უძღვნის ამ კეთილშობილურ საქმეს.

პრავდა მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის სახალხო ტრიბუნაა. იგი უღმობლად ამხილებს ომის გამჩალებლებს, იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებს, რომელსაც ხელმძღვანელობს მსოფლიოს ჟანდარმი ამერიკის შეიარაღებული შტატები.

მეტად დიდია „პრავდას“ როლი საქართველოს ბოლშევიკური პრესის ჩამო-

ყალიბებისა და განვითარების საქმეში. საქართველოში დღეს რამდენიმე ასეულ ათასი ტირაჟით გამოდის რესპუბლიკური, საოლქო, სარაიონთაშორისო, საუწყებო ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ რესპუბლიკის მშრომელთა კულტურულ და სულიერ ცხოვრებაში. რესპუბლიკის პრესაში აქტიურად თანამშრომლობენ 20 ათასზე მეტი მუშა და სოფლის კორესპონდენტები.

საბჭოთა პრესის ერთ-ერთ რაზმს მიეკუთვნება იურიდიული ბეჭდვითი მუშაობა. ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე იურიდიული ჟურნალი გამოდის, რომლებმაც უკანასკნელ ხანებში სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა, თავიანთი წვლილი შეაქვეტ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

მაგრამ არასწორი იქნებოდა არ აგვეღნიშნა, რომ იურიდიული ჟურნალები და მათ შორის „საბჭოთა სამართალი“ ჯერ კიდევ ვერ დგანან ახალი ამოცანების დონეზე, ჩამორჩებიან ცხოვრებას, ვერ პასუხობენ გაზრდილ მოთხოვნებს.

სკკპ XXII ყრილობამ, პარტიის ახალმა პროგრამამ სამართლის მეცნიერებასა და იურიდიულ ჟურნალებს დაუსახა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყონ სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცება, დამნაშავეობის აღმოფხვრა, საბჭოთა კანონდებლობის სრულყოფა. სსრ კავშირში სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი პრობლემების დამუშავება.

ამ საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ჩვენმა ჟურნალმაც.

თავის მისაღმებაში გაზეთ „პრავდისა“ და საბჭოთა პრესის ყველა მუშაკი-სადმი სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა რწმენა გამოთქვა, რომ „საბჭოთა პრესა, ყველა მისი მუშაკი ყოველთვის იქნებიან პარტიის ერთგული თანამემშენი, მის ბრძოლაში კომუნისმის გამარჯვებისათვის“.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა პრესა თავისი ვეტერანის „პრავდის“ მხედართმთავრობით წარმატებით შეასრულებს ამ მითითებას, თავისი კეთილშობილური შრომით უზრუნველყოფს მარქსიზმ-ლენინიზმის ახალ გამარჯვებებს, კომუნისმის აშენებას ჩვენს ქვეყანაში.



საბჭოთა პროკურატურის მუშაებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ საბჭოთა პროკურატურის მუშაებს მეორმოცე წლისთავის დღეს.

ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნილმა საბჭოთა პროკურატურამ დიდი დახმარება გაუწია პარტიასა და სახელმწიფოს სოციალიზმის მშენებლობაში.

სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენას, პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციას, აგრეთვე საპროკურორო ზედამხედველობის თავის უფლებებში აღდგენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მიესალმებიან საბჭოთა პროკურატურის მუშაებს მეორმოცე წლისთავის დღეს და გამოთქვამენ რწმენას, რომ პროკურატურის ორგანოები, სასამართლო ორგანოების, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა იურიდიულ დაწესებულებათა მუშაებთან ერთად ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ შეასრულონ ისტორიული ამოცანები, რაც სკკპ პროგრამით დასახულია სოციალისტური კანონიერებისა და საბჭოთა მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების დარგში.

სკკპ ცენტრალური
კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭო

საჭეიშო სკკპ

საბჭოთა პროკურატურის დარსებებიდან ორმოცი წლის თარიღთან დაკავშირებით 28 მაისს გამართა საჭეიშო სხდომა, რომელსაც დაესწრენ საქართველოს სსრ პროკურატურის, ქალაქ თბილისის პროკურატურების, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურატურის მუშაები.

სხდომაზე მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაები. სხდომას ესწრებოდა საქართველოს კპ ცკ აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ანხ. ი. კობერიძე.

მოსხენებით „საბჭოთა პროკურატურის 40 წელი“ გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი ანხ. პ. ე. ბერძენიშვილი. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორმა ანხ. ბ. ვ. ცაღლაგოვმა.

დასასრულს, საქართველოს სსრ პროკურორის უფროსმა თანაშემწემ კადრების დარგში პ. ე. შუშანიამ გამოაქვეყნა პროკურატურის მუშაეთა სია, რომლებსაც სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით გამოეცხადათ მაღლობა საბჭოთა პროკურატურის ორმოც წელთან დაკავშირებით და სოციალისტური კანონიერების განხორციელების საქმეში წარმატებით მუშაობისათვის.

სოციალისტური კანონიერების სარეაქოზა

პ. ბერკენიშვილი,

საქართველოს სსრ პროკურორი.

40 წლის წინათ, 1922 წლის 28 მაისს, კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ინიციატივით, მის მიერ შემუშავებულ მითითებათა საფუძველზე, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიამ მიიღო კანონი საბჭოთა პროკურატურის შესახებ.

საბჭოთა პროკურატურის შექმნა წარმოადგენდა პარტიის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას, რომელიც მიმართული იყო სოციალისტური კანონიერების ზუსტად და განუხრელად განხორციელებისაკენ, რევოლუციური კანონმდებლობის ყოველგვარ გადახვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისაკენ.

თავის ცნობილ წერილში „ორმაგი დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ (1922 წლის 20 მაისი) ვ. ი. ლენინმა მკაფიოდ და ამომწურავად განსაზღვრა პროკურატურის მიზნები, მისი მუშაობის შინაარსი და ამოცანები. ამ წერილში, რომელსაც დღესაც სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს, ლენინი ილაშქრებდა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეში ყოფილიყო სხვადასხვა კანონიერება, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე კანონიერება ერთიანი უნდა იყოს და მეტაყურებობას მის ცხოვრებაში გატარებაზე ახორციელებდეს ადგილობრივი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანო — პროკურატურა. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა „პროკურორი პასუხისმგებელია იმისათვის, რომ ადგილობრივი ხელისუფლების არც ერთი გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგებოდეს კანონს... პროკურორი ვალდებულია გააპროტესტოს ყოველი უკანონო გადაწყვეტილება“.

ვ. ი. ლენინის ამ მითითებებმა შემდეგში თავის ასახვა და განვითარება ჰპოვეს საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონში — კონსტიტუციაში, რომლის 113-ე მუხლში ნათქვამია: „ყველა სამინისტროსა და მათი ქვემდებარე დაწესებულებების, ისე როგორც ცალკეული თანამდებობის პირებისა და აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქეების მიერ კანონთა ზუსტად შესრულებაზე უმაღლესი ზედამხედველობის გაწევა ეკისრება სსრ კავშირის პროკურორს“. კონსტიტუციის 117-ე მუხლი აწესებს: „პროკურატურის ორგანოები თავიანთ ფუნქციებს ახორციელებენ ყოველგვარი ადგილობრივი ორგანოსაგან დამოუკიდებლად და ემორჩილებიან მხოლოდ სსრ კავშირის პროკურორს“.

არსებობის ორმოცი წლის მანძილზე საბჭოთა პროკურატურა მტკიცედ დგას სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე. სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე პროკურატურის მუშაობა გვიჩვენებდენ ოპერატიულობას, ინიციატივის, გაბედულებისა და თავდადების ნიმუშს, უღმრთოდ აღიარებდენ დამნაშავეებს, უზრუნველყოფდენ სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებას, საბჭოთა კანონების შესრულებას.

კიდევ უფრო დიდი ამოცანები დგას ამჟამად საბჭოთა პროკურატურის წინაშე სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე. XXII ყრილობამ საბოლოოდ გამოაშკარავა რა პიროვნების კულტის მძიმე შედეგები, აღნიშნა თვითნებობის, საბჭოთა კანონებისა და სამართლის უხეში

დარღვევების არა ერთი ფაქტი და საჭიროდ მიიჩნია სოციალისტური კანონიერების ნორმების შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფა. ამაში კი მეტად დიდი როლი ეკუთვნის საბჭოთა პროკურატურის ორგანობას, რომლებიც მოწოდებული არიან ზუსტად დაიცვან საბჭოთა კანონები, ებრძოლონ დამნაშავეობას, აღმოფხვრან მისი წარმომშობი მიზეზები.

პროკურორები მოვალენი არიან დაიცვან არა მარტო საბჭოთა კანონები, მთელი საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესები, არამედ ცალკეულ მოქალაქეთა კანონით გარანტირებული უფლებები და ინტერესები. საბჭოთა ადამიანებმა, მშრომელებმა პროკურატურის დახმარებით დროულად უნდა შეძლონ დარღვეული უფლებების აღდგენა, თავიანთი ინტერესების ყოველმხრივი დაცვა. საბჭოთა პროკურატურის მუშაობას მტკიცედ უნდა ახსოვდეთ ჩვენი საზოგადოების დევიზი, რომელიც მოცემულია პარტიის ახალ პროგრამაში სხარტი ფორმულის სახით — „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

საბჭოთა სახელმწიფო, პროკურატურის ორგანოები დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის სრული და საბოლოო ლიკვიდაციისათვის. მაგრამ ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრა, მასში კერძო-მესაკუთრული და ინდივიდუალისტური, ეგოისტური ჩვევების დაძლევა, დანაშაულის ლიკვიდაცია, ერთი-ორი დღის საქმე როდია. იგი დაკავშირებულია მეტად რთულ და ხანგრძლივ პროცესთან. გასაგებია, რომ ამის გამო ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ აქვს და ახლო მომავალშიც ადგილი ექნება ცალკეულ ექსცესებს, დანაშაულებრივ მოვლენებს. მათ წინააღმდეგ საჭიროა ულმობელი ბრძოლა. ამიტომაც, რომ საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი ფორმების ფართოდ გამოყენებასთან ერთად უკანასკნელ ხანს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიიღო უმნიშვნელოვანესი კანონები, რომლებიც ითვალისწინებენ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას. ეს შეეხება პირველ რიგში ისეთ დანაშაულებებს, როგორცაა სოციალისტური საკუთრების დატაცება, მექრთამეობა, არასრულწლოვანთა გაუპატიურება, აგრეთვე გაუპატიურება სხვა დამამძიმებელ გარემოებებში, სახალხო რაზმელებისა და მილიციის მუშაკთა სიცოცხლის ხელყოფა, უცხოეთის ვალიუტით ვაჭრობა, დანაშაულობანი, რომლებიც დაკავშირებულია წარმატებისა, თვალის ახვევისა და სხვა ანტისახელმწიფოებრივ მოვლენებთან, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისადმი არაყაირათიანად მოპყრობასა და სხვა.

ამ კანონების მიღება ნაკარნახევი იყო თვით ცხოვრებით, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულობანი განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებენ საბჭოთა სახელმწიფოს, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, მართლწესრიგის განმტკიცებას, მოქალაქეების უშიშროებასა და ინტერესებს. გასაგებია, რომ ასეთი დამნაშავეების წინააღმდეგ მთელი სიმკაცრით იქნება გამოყენებული სოციალისტური კანონიერების ბასრი მახვილი. ახალი კანონები სერიოზულ გაფრთხილებას წარმოადგენენ იმ პირთათვის, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ხელს უშლიან საბჭოთა ადამიანებს ააშენონ ყველაზე სამართლიანი საზოგადოება — კომუნისტური საზოგადოება.

პროკურატურის ორგანოებმა მარტო უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე გახსნეს და გამოიძიეს სახელმწიფო ქონების დატაცების რამდენიმე მსხვილი საქმე. ვზატკეცილების მთავარი სამმართველოს მე-16 საგზაო-საექსპლოატაციო

უბანში, წყალტუბოს სამშენებლო-სარემონტო კანტორაში, ქუთაისვაჭრობასა და ქარხანა „სამთოელში“, მშენებლობისა და საშენ მასალათა რესპუბლიკურ პროექტავშირებში და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციებში მოკალათებული იყვნენ საქმოსანთა ჯგუფები, რომელთა „მოღვაწეობა“ სახელმწიფოს რამდენიმე მილიონი მანეთი დაუჯდა. ამ გარეწრების მიმართ რაიმე შეღავათზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო და ბევრ მათგანს სავსებით სწორად შეეფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

მაგრამ არასწორი იქნება პროკურატურის ორგანოების ფუნქცია, მათი შოვალეობა, განვსაზღვროთ მარტოოდენ დანაშაულის გახსნით, საქმის გამოძიებითა და დამნაშავეის დასჯით. ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენს მოღვაწეობაში არის ის, რომ უზრუნველყოთ დანაშაულის წარმომშობი მიზეზებისა და პირობების ძირფესვიანი გამორკვევა, მათი გამომავალადგება, ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც გამორიცხავს დანაშაულის ჩადენას. მკაცრი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ არა მარტო დამნაშავეთა მიმართ, არამედ იმათ მიმართაც, ვინც შემარბიებლობას იჩენს დანაშაულებრივი მოვლენებისადმი თავისი გულგრილობით, სიბეცით და ხელს უწყობს დამნაშავეებს.

ამ ამოცანის განხორციელებას პროკურატურის ორგანოები მხოლოდ მაშინ შეძლებენ, თუ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩააბამენ მთელ საზოგადოებრიობას: ბოლო წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა საზოგადოებრიობის როლი დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. ამჟამად რესპუბლიკაში საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედობს 300-მდე რაზმეული, რომელიც 70.000-მდე რაზმელს აერთიანებს. დამნაშავეობასთან საზოგადოებრიობის აქტიური ბრძოლის შესახებ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ საზოგადოებრიობის დახმარებით გახსნილია 150-მდე საქმე. გაიზარდა ამხანაგური სასამართლოების, საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და საზოგადოებრივი დამცველების ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა.

დამნაშავეობის წინააღმდეგ საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობის პრაქტიკამ გაამართლა თავისი დანიშნულება. ბევრი გზას აცდენილი პირი, განსაკუთრებით ახალგაზრდობის წრიდან, გამოსწორდა და შეუდგა შრომით საქმიანობას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სხვდებით ფაქტებს, როდესაც სისხლის სამართლის სასჯელს უფარდებენ, უფრო მეტიც, საპატიმროშიც კი აგზავნიან ისეთ პირებს, რომლებმაც მცირე მნიშვნელობის დანაშაული ჩაიდინეს. უნდა გვანსოვდეს, რომ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება სრულიადაც არ ნიშნავს დასჯით პოლიტიკის სიმკაცრეს სერთოდ. როგორც წესი, მცირე მნიშვნელობის დანაშაულისათვის პირს არ უნდა მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა, უფრო მეტიც, სასჯელის ამ სახის განსაზღვრისას მნიშვნელოვან საქმეებზეც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულის ჩადენის პირობები, დამნაშავეის პიროვნება, მისი წარსული.

საბჭოთა პროკურატურისათვის მარტოოდენ საქმეთა გამოძიება და სასამართლო როდია საწარმოო-სამუშაო უბანი. დიდმნიშვნელოვანია პროკურორების მოღვაწეობა საერთო ზედამხედველობის დარგში. პროკურორი თუ კარგად იცნობს ადგილობრივ საწარმოთა, დაწესებულებათა საქმიანობას, იგი დროზე შეამჩნევს ნაკლს, შეცდომებს ადგილობრივ ორგანოების მუშაობაში, გამოაშ-

კარავებს და აღკვეთავს კანონის დარღვევის შემთხვევებს. პროკურატურის ორგანოები მოწოდებული არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბრძოლას კანონიერების დარღვევებთან მრეწველობისა და ვაჭრობის დარგში (პროდუქციის ხარისხი, ზომა-წონაში მოტყუება და სხვ.).

დაკისრებულ უდიდეს სახელმწიფოებრივ და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანათა სრულყოფილად გადაწყვეტას პროკურატურის ორგანოები მხოლოდ მაშინ შეძლებენ, თუ მათ მიმართ სწორად იქნება განხორციელებული პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება. იმ რაიონებში, სადაც პროკურატურას პარტიულ კონტროლთან ერთად ეწევა ქმედითი დახმარებაც, ჩვენი ორგანოების საქმიანობის ხარისხიც მაღალია.

როგორ კარგადაც არ უნდა ხორციელდებოდეს პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება პროკურატურის ორგანოებისადმი, ჩვენი მუშაკები მაინც ვერ შეძლებენ იყვნენ თანამედროვე ამოცანათა დონეზე თუ სისტემატიურად, ყოველდღიურად არ აიმაღლებენ თავიანთ კვალიფიკაციას, პოლიტიკური მომზადების დონეს, თუ თავიანთი კულტურით, ქცევით, ზნეობრივი სიწმინდით სამაგალითონი არ იქნებიან ყველასათვის. ეს კარგად უნდა ახსოვდეს პროკურატურის ყველა მუშაკს.

რთულია პროკურორის საქმიანობა. სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე მ. ი. კალინინი: „ჩვენი რაიონის პროკურორი მუშაობს საკმაოდ რთულ, ძნელ პირობებში. ჩვენ მოვითხოვთ და უფლება გვაქვს მოვითხოვოთ პროკურორისაგან, რათა არც ერთი უდანაშაულო არ იყოს მიცემული სამართალში. ჩვენ მოვითხოვთ მისგან ბრალდების ისეთ მოხერხებულ დაყენებას და ისეთ დასაბუთებას, რაც ნამდვილად დაეხმარება მოსამართლეს გაერკვეს საქმეში. ჩვენ მოვითხოვთ პროკურორისაგან მუშაობის ისეთ ორგანიზაციას, სოციალისტური კანონიერებისათვის ბრძოლის ისეთ ორგანიზაციას, რომლის დროსაც ყოველი მუშა, ყოველი კოლმეურნე, ყოველი საბჭოთა დაწესებულება გარანტირებული იქნება ბიუროკრატიულ დამახინჯებისაგან, როდესაც ყველა დარწმუნებული იქნება იმაში, რომ მისი კანონიერი უფლება და ინტერესი დაცულია და, რომ ამ ინტერესის დასაცავად დგას საბჭოთა ხელისუფლების მიერ სპეციალურად დაყენებული პროკურორი“.

თავისი ორმოცი წლის იუბილეს საბჭოთა პროკურატურა აღნიშნავს ჩვენი ხალხის პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, როდესაც საბჭოთა მშრომელები წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის დიად მიზანდასახულებას. თანამედროვე პირობებში, კომუნისმის მშენებლობის ამოცანები პროკურატურის ყოველი მუშაკისაგან მოითხოვს განიმსჭვალონ ხალხის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობით, კიდევ უფრო გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, განუხრელად დაიცვან კანონები, განამტკიცონ სოციალისტური მართლწესრიგი და კანონიერება. ჩვენთვის ყოველდღიურ სახელმძღვანელოს უნდა წარმოადგენდეს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები:

„ეს ფაქტი, რომ პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებელი აღარ არის, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონიერე-

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
პროკურატურის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა პროკურატურის ორგანოების ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით და პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

- | | |
|--|--|
| 1. ავეტისოვი სერგი ივანეს ძე | — კასპის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი. |
| 2. აფხაზიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე | — ქ. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი. |
| 3. ახმეტოვი ნურვალი | პროკურორი. |
| 4. ბერძენიშვილი პავლე ეპიფანეს ძე | — საქართველოს სსრ პროკურორი. |
| 5. ბიწაძე ვრიგოლ სამსონის ძე | — საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე. |
| 6. ბურღულაძე ივანე ვიორგის ძე | — გურჯაანის რაიონის პროკურორი. |
| 7. დიმიტრიევი ნიკოლოზ ვასილის ძე | — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორის მოადგილე. |
| 8. ებრაღიძე იასონ ნიკოლოზის ძე | — დუშეთის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი. |
| 9. ვაჩაძე ალექსანდრე იოზის ძე | — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების გამგის მოადგილე. |
| 10. ზაიჩიკი ლევ მიხეილის ძე | — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების გამგე. |
| 11. კეკელია მიხეილ მიხეილის ძე | — ლანჩხუთის რაიონის პროკურორი. |
| 12. კობრეძე ბეგლარ ლუკას ძე | — სამტრედიის რაიონის პროკურორის თანაშემწე. |
| 13. ყიფიანი რევაზ ვიქტორის ძე | — ქ. ქუთაისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი. |
| 14. ტიპაშვილი ბარბარე სერგოს ასული | — ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორი. |
| 15. ჯამასპიშვილი ნინო მიხეილის ასული | — მცხეთის რაიონის პროკურორი. |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ფ. გელდიანაშვილი.

ქ. თბილისი,
1982 წლის 14 ივნისი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ ა

სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა

ქ. მოსკოვი

№ 39

24 მაისი

1962 წელი

საბჭოთა პროკურატურის 40 წლისთავთან დაკავშირებით, სოციალისტური კანონიერების განუხრებლად განხორციელებისა და საბჭოთა მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვებულ იქნეს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის საპატიო სიგელით:

მურმან სერაფიონის ძე გიორგობიანი — საქართველოს სსრ ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის პროკურორი.

გამომცხადოთ მაღლოვა

1. პავლე ებიფანეს ძე ბერძენიშვილი — საქართველოს სსრ პროკურორს.
2. აბელი ვლადიმერის ძე ვეგიას — ქ. გორის პროკურორს.
3. ენვერ გრიგოლის ძე გოგუაძეს — მახარაძის რაიონის პროკურორს.
4. ნიკოლოზ სოლომონის ძე ვორაშვილი — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის მოადგილეს.
5. სერგო ბესარიონის ძე კაჭარავას — ზუგდიდის რაიონის პროკურორს.
6. ვლადიმერ იაკობის ძე შონიას — აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

დაჯილდოვდნენ სარქობით

1. დამიანე კიმოტეს ძე ჯიჯელავა — სამტრედიის რაიონის პროკურორი.
2. კონსტანტინე ფარნაოზის ძე ქავთარაძე — რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი.


დაიხსნურეს სიგელები, მაღლოვა

საბჭოთა პროკურატურის 40 წელთან დაკავშირებით და სოციალისტური კანონიერების განხორციელების საქმეში წარმატებით მუშაობისათვის ცენტრალური კომიტეტთან არსებულ სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა:

1. ასეშვილი ვალერიან გრიგოლის ძე — საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი.
2. ბასიშვილი ზაქარია როსტომის ძე — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი.
3. მეგრელიშვილი გივი ამბერკის ძე — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი.
4. აბაშიძე ელენე გიორგის ასული — საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწე.
5. სუმბათაშვილი ივანე სიმონის ძე — საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწე.
6. ჭანტურია შოთა ბეგოს ძე — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი.
7. გოგუაძე ვასილი არტემის ძე — საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწე აღსრულებად ზე კონტროლის დარგში, ადგილკომის თავმჯდომარე.

საბჭოთა პროკურატურის უმაჟნის 40 წლისთავთან დაკავშირებით, საპარტველოს სსრ პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული არიან სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რეკომენდირებული კომიტეტისა და საპარტველოს სსრ პროკურატურის საპატიო სიგელით:

1. მიხეილ იოსების ძე მირზოევი — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი.
2. ვახტანგ კონსტანტინეს ძე კუჭავა — საქართველოს სსრ პროკურატურის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოებში განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი.
3. ვასილ იოსების ძე თევზაძე — საქართველოს სსრ პროკურატურის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოებში განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი.
4. არჩილ ივანეს ძე გოციელი — საქართველოს სსრ პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე საზედამხედველო განყოფილების პროკურორი.
5. ვლადიმერ (მაცე) ბესარიონის ძე გოგავა — საქართველოს სსრ პროკურორის თანამშემწე.
6. გერმან ბიჭის ძე ზვადაგიანი — საქართველოს სსრ პროკურატურის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოებში განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი.
7. ვლადიმერ ილარიონის ძე სიხარულიძე — საქართველოს სსრ პროკურატურის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოებში განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი.
8. ციციო მიხეილის ასული სიმონიშვილი — საქართველოს სსრ პროკურატურის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოებში განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი.
9. გვი ფარნას ძე ნადარეიშვილი — საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი.
10. ნინა ანდრეს ასული ბიბილაშვილი — საქართველოს სსრ პროკურატურის თარჯიმანი.
11. ანნა გაბრიელის ასული ციციოვა — საერთო ნაწილის ინსპექტორი.
12. კონსტანტინე არკადის ძე ედიგაროვი — ახალქალაქის რაიონის პროკურორი.
13. ნინა იოსების ასული სულაშვილი — სამეურნეო-საფინანსო განყოფილების მთავარი ბუღალტერი.
14. სუსანა აფრასიონის ასული წინამძღვრიშვილი — საქართველოს სსრ პროკურატურის სამეურნეო-საფინანსო განყოფილების რევიზორ-ბუღალტერი.
15. ბარბარე ერვანდის ასული ბაბაევა — საქართველოს სსრ პროკურატურის ინსპექტორი.
16. კაპიტონ ბაღრის ძე ჩაკაბერია — საქართველოს სსრ პროკურატურის სამეურნეო-საფინანსო განყოფილების უფროსი.
17. ნორიკ ანუშევანის ძე კაჭარიანი — საქართველოს სსრ პროკურატურის საწყობის გამგე.
18. ილია ნაკოლოზის ძე ელოშვილი — ყაზბეგის რაიონის პროკურორი.



- 19. მიხეილ ვლადიმერის ძე ზარანდია
- 20. კირიაკ პეტრეს ძე ხაჯიევი
- 21. პოლიაქტორ აფანასის ძე ხოფერია
- 22. დორა მიხეილის ასული ბერიაშვილი
- 23. მაქსიმ პავლეს ძე ახიბა
- 24. ნინა მედიტონის ასული დოლიძე
- 25. აკაკი მიხეილის ძე ბიგვავა
- 26. ედუარდ ძუკას ძე არზიანი
- 27. კაპიტოლინა ალექსანდრეს ასული ფიმფია
- 28. ლიუბოვ ივანეს ასულ სმოლნიკოვა
- 29. ბორის სიმონის ძე ჩავლევიშვილი
- 30. ტარიელ ოქრობირის ძე ცინცაძე
- 31. დურსუნ ჰასანის ძე თამაზაშვილი
- 32. გურგენ იაკობის ძე საბანაძე
- 33. არჩილ სიმონის ძე მეშვილდიშვილი
- 34. ანტონ გიორგის ძე კაშინსკი
- 35. მარიამ პეტრეს ასული კახანაშვილი
- 36. შუშანა გიორგის ასული სორდია
- 37. ალექსანდრა აბრამის ასული
ლაშქარაშვილი
- 38. მარია ზაქარაის ასული მამოევა
- 39. ივანე იაკიმეს ძე საძაგლიშვილი
- 40. გივი შალვას ძე ყორჟოლაძე

- წალენჯიხის რაიონის პროკურატურის ვა-
მომძიებელი.
- დმანისის რაიონის პროკურორი.
- ქ. თბილისის პროკურორის თანაშემწე.
- ქ. თბილისის პროკურატურის კანცელარიის
უფროსი.
- გუდაუთის რაიონის პროკურორი.
- ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროკურა-
ტურის მდივანი.
- გუდაუთის რაიონის პროკურორის თანა-
შემწე.
- ქ. სოხუმის პროკურორი.
- აფხაზეთის ასსრ პროკურატურის კანცელა-
რიის მდივანი.
- გუდაუთის რაიპროკურატურის მდივან- მე-
მანქანე.
- აჭარის ასსრ პროკურორის თანაშემწე.
- ქ. ბათუმის პროკურორი.
- ქობულეთის რაიონის პროკურორი.
- ზნაურის რაიონის პროკურორი.
- ცხინვალის რაიონის პროკურატურის ვა-
მომძიებელი.
- მახარაძის რაიპროკურატურის ა/მანქანის
მძღოლი.
- გორის რაიონის პროკურატურის უფროსი
მდივანი.
- ხობის რაიონის პროკურატურის მდივანი.
- თელავის რაიონის პროკურატურის მდი-
ვანი.
- სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის კანცელარიის
უფროსი.
- საქართველოს სსრ პროკურატურის სისხ-
ლის სამართლის საქმეთა სასამართლოებში განხ-
ილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების
პროკურორი.
- საქართველოს სსრ პროკურატურის სავა-
შომძიებლო განყოფილების პროკურორი.

**საბჭოთა პროკურატურის შემდგომი 40 წელიდან დაკავშირებით, საქართველოს სსრ
პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის
საქართველოს სსრ პროკურორის ბრძანებით მადლობა გამოეცხადათ:**

- 1. ვლადიმერ მათეს ძე პრავდინს
- 2. პაატა ესტატეს ძე შუშანიას
- 3. აკაკი ალექსის ძე ჯომიდავას
- 4. დავით არტემის ძე ქორიძეს
- 5. ნალვა მიხეილის ძე ხახანაშვილს

- რესპუბლიკის პროკურორის მოადგილეს
- რესპუბლიკის პროკურორის უფროს თანა-
შემწეს კადრების დარგში.
- საქართველოს სსრ პროკურატურის სისხლის
სამართლის საქმეთა სასამართლოებში განხი-
ლვისადმი ზედამხედველობის განყოფილების
უფროსის მოადგილეს.
- განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ვა-
მომძიებელს.
- საქართველოს სსრ პროკურატურის არას-
რულოვანთა განყოფილების პროკურორს.

საბჭოთა პროკურატურის 40 წელი

- 6. ვასილ არტემის ძე გოგუაძეს
- 7. თამარ ალექსანდრეს ასულ ლოლაძეს
- 8. ეთერი იაკინთეს ასულ კიკნაძეს
- 9. ზინაიდა ჯაქარიას ასულ ლეშენკოს
- 10. რომან მალხაზის ძე პაჭკორიას
- 11. შალვა ჯაქარიას ძე მერაბიშვილს
- 12. გრიგოლ ექვთიმეს ძე ხურცილავას
- 13. მიხეილ ვლადიმერის ძე მამუჩაშვილს
- 14. ლევან სიმონის ძე გრიგორაშვილს
- 15. ნოე გიორგის ძე კუჭუხიძეს
- 16. გიორგი მალაქიას ძე მდივნიშვილს
- 17. შოთა მალაქიას ძე მიროტაძეს
- 18. ვარლამ ჯაქარიას ძე ცეკვაძეს
- 19. გიორგი ბათლომეს ძე საბურჯანიას
- 20. მატრონე ლუკას ასულ ანაკიძეს
- 21. ტარასი ბეგლარის ძე ნიკოლაიშვილს
- 22. ალექსი ივანეს ძე წულუკიძეს
- 23. ნიკოლოზ გიხეილის ძე ქვაჩახიას
- 24. მიხეილ ზამბის ძე კიკოლაშვილს
- 25. ნირბა დავითის ძე პაპასკირს
- 26. გიორგი პროკლეს ძე შვგერელიშვილს
- 27. ალბერტ დავითის ძე ჩხატარაშვილს
- 28. გენადი ვასილის ძე მეტრეველს
- 29. ზაზბი დავითის ძე გაგლოვს
- 30. ვარლამ ისმაილის ძე ლოლაძეს
- 31. შოთა სიმონის ძე ფრუიძეს
- 32. ანდრეას ქიტეხას ძე ფიროსმანიშვილს
- 33. შალვა ლავრენტის ძე შენგელიას
- 34. ელენე ევსეის ასულ არბეღიძეს
- 35. დანიელ ვასილის ძე ფოჩიანს
- 36. გივი იუსტინეს ძე გვახალიას
- 37. თამარა ბათლომეს ასულ კვარაცხელიას
- 38. გივი სტეფანეს ძე ცირამუას
- 39. მამია სილოვანის ძე ვეკუას

- საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწე ფეს აღსრულებამზე კონტროლის დარღწი.
- საქართველოს სსრ პროკურატურის უფროს რეფერანტს.
- საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის მდივანს.
- საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის მდივანს.
- საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის უფროსს.
- თელავის რაიონის პროკურორს.
- ბორჯომის რაიონის პროკურორს.
- ღუშეთის რაიონის პროკურორს.
- მიაკოესკის რაიონის პროკურორს.
- სამტრედიის რაიონის პროკურორის თანაშემწეს.
- სიღნაღის რაიონის პროკურორს.
- ჭიათურის რაიონის პროკურორს.
- ცხაკაიას რაიონის პროკურორს.
- ხობის რაიონის პროკურორს.
- აბაშის რაიონის პროკურორის თანაშემწეს.
- ზუგდიდის რაიონის პროკურორის თანაშემწეს.
- ამბროლაურის რაიონის პროკურატურის გამომძიებელს.
- აფხაზეთის ასსრ პროკურორის მოადგილეს.
- აფხაზეთის ასსრ პროკურატურის უფროს გამომძიებელს.
- აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.
- აჭარის ასსრ პროკურორის მოადგილეს.
- აჭარის ასსრ პროკურატურის უფროს გამომძიებელს.
- ბათუმის რაიონის პროკურორს.
- სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის პროკურორს.
- სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის პროკურორს.
- ქ. ქუთაისის პროკურორის თანაშემწეს.
- ყვარლის რაიონის პროკურორს.
- მესტიის რაიონის პროკურორს.
- ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის პროკურორის თანაშემწეს.
- ქ. თბილისის პროკურორის თანაშემწეს.
- განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს.
- განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს.
- საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოებში განხილვისადმი ზედამხედველობის პროკურორს.
- ზუგდიდის რაიონის პროკურორის თანაშემწეს.

8845



მხატვრის გლოხროფიან



ასალგაზრდა გამომძიებელი რევაზ ვიქტორის ძე ყიფიანი პროკურატურის ორგანოების მუშაკთათვის ცნობილია როგორც უადრესად ოპერატიული, კვალიფიციური და თავის საქმეზე შეყვარებული მუშაკი.

23 წლის ასაკში დაიწყო ნინა მისხილის ასულმა ჯამასპიშვილმა მუშაობა იუსტიციის ორგანოებში. უკვე ოცი წელია ემსახურება საბჭოთა მართლმსაჯულებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეს. თავისი კულტურით, უმწიკვლოებით, ზნეობრივი სიწმინდით ნ. მ. ჯამასპიშვილი სამაგალითოა.



32 წელია ალექსანდრე იობის ძე ვაჩაძე პროკურატურის ორგანოებში მუშაობს. ამ ხნის მანძილზე მან განვლო დიდი გზა პროკურატურის ტექნიკური მუშაკიდან რესპუბლიკის პროკურატურის სამომძიებლო განყოფილების უფროსის მოადგილემდე. იგი დიდი სიყვარულით სარგებლობს შრომისმოყვარეობისა და თავმდაბლობის გამო.

ვიშინსკის მკვანე თეორიების შესახებ საბჭოთა სისხლის სამართალსა და საბჭოთა სისხლის სამართლის პრინციპებზე

სერიოზული და საბასუხისმგებლო როლი დაუსახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამამ სამართლის მეცნიერებას. სამართლის მეცნიერებამ ხელი უნდა შეუწყოს „სამართლებრივი ნორმების სრულყოფას, რომლებიც აწესრიგებენ სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმშრდელობით მუშაობას, ხელს უწყობენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრას და პიროვნების ყოველმხრივ გაფურჩქვნას“.¹


ამ ამოცანების შესასრულებლად საბჭოთა იურიდიული მეცნიერება საბოლოოდ უნდა განთავისუფლდეს იმ „თეორიებისაგან“, რომლებსაც პიროვნების კულტის პირობებში ვიშინსკი ანვითარებდა. ეს „თეორიები“ მიმართული იყო იმ უაღბლო ფორმულის დასასაბუთებლად, რომლის მიხედვით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის კვალდაკვალ თითქოს კიდევ უფრო უნდა გამწვავებულიყო კლასობრივი ბრძოლა.

ვიშინსკის „თეორიული“ ნაშრომები და მისი პრაქტიკული საქმიანობა დიდი ზიანის მომტანი იყო საბჭოთა სამართლის მეცნიერებისათვის. ის მცდარი და მავნე მოსაზრებანი, რომლებსაც იგი სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში ავითარებდა, როდი რჩებოდა მხოლოდ თეორიის კუთვნილებად. პირიქით, ვიშინსკი, რომელსაც გარკვეული დროის განმავლობაში სსრ კავშირის პროკურორის პოსტი ეკავა, დაბეჯითებით მოითხოვდა თავისი შეხედულებების განხორციელებას იუსტიციის ორგანოებში.

სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის საკვანძო საკითხებზე ვიშინსკის მიერ გამოთქმული შეხედულებები ლოგიკურად მომდინარეობდა სოციალისტური სამართლის ცნების არასწორი განსაზღვრიდან.

სოციალისტური სამართლის ცნების განსაზღვრისას იურიდიული ნორმების განხორციელების ერთადერთ საშუალებად ვიშინსკი მხოლოდ სახელმწიფოს იძულებას ცნობდა. რომ სამართალი საერთოდ, და სოციალისტური კერძოდ, იძულებას გარეშე არ შეიძლება არსებობდეს, ამის შესახებ დავა შეუძლებელია. მაგრამ სოციალისტური სამართლის შინაარსის ამოწურვა მხოლოდ იძულებით ნიშნავს იმას, რომ ყურადღება არ მივაქციოთ ისეთ არსებით მომენტებს, როგორცაა სოციალისტური სამართლის განხორციელების უზრუნველყოფა ჩვენი სახელმწიფოს უდიდესი იდეოლოგიური, ორგანიზატორულ-აღმშრდელობითი მუშაობით. უფრო მეტიც, ვიშინსკი სრულებით არაფერს ამბობდა სოციალისტური სამართლისათვის დამახასიათებელ ისეთ ნიშანდობლივ

¹ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა“, სახ. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961, გვ. 117.



თავისებურებაზე, როგორცაა საბჭოთა მოქალაქეთა უმრავლესობის მიერ სამართლებლივი ნორმების ნებაყოფლობით შესრულება.

1. სოციალისტური სამართლისა და სახელმწიფო იძულების გაიგივების შედეგად დანაშაულობასთან ბრძოლა წარმოდგენილი იყო, როგორც, მხოლოდ მკაცრი სასჯელების შეფარდება. ასეთ დიდმნიშვნელოვან საქმეში საზოგადოებრიობის როლი არსებითად უარყოფილი იყო. ამ გარემოებას როდი უარყოფდა ვიშინსკი. 1936 წლის ოქტომბერში უკრაინის სსრ პროკურატურის მუშაკების თათბირზე მან განაცხადა: „ძველი ლაყბობა საზოგადოებრივი აქტივის მობილიზაციის შესახებ, ხელშემწყობი ჯგუფები — ყველაფერი ეს ზედმეტია. ახლა საქირთა სხვა რამ“.

უფრო კატეგორიულად ეს მოსაზრება ვიშინსკიმ გამოთქვა ყურნალ „სოციალისტიჩესკოე ზაკონოსტ“-ის 1936 წლის მე-11 ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „უფრო მაღლა ავიწიოთ სოციალისტური კანონიერების დროშა.“ მაშინდელი სსრ კავშირის პროკურორის მიერ დანაშაულობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ასეთმა ათვალწინებამ გარკვეული შედეგიც გამოიღო: საზოგადოებრიობა ჩამოაცილეს როგორც დანაშაულობასთან ბრძოლას, ისე მართლმსაჯულების განხორციელებას. არსებობა შეწყვიტეს არა მარტო პროკურატურის ხელშემწყობმა ჯგუფებმა, სოციალისტურმა შემთავსებლებმა, არამედ საზოგადოებრივმა ბრალმდებლებმა და საზოგადოებრივმა დამცველებმა, რომელთა მონაწილეობა სასამართლო პროცესში გათვალისწინებული იყო მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში.

„პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, — აღნიშნავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. რუდენკო, — მიუთითა იმ შეხედულების მცდარობაზე, თითქოს ბრძოლა კანონიერების მკაცრი დაცვისათვის და დანაშაულობასთან ბრძოლის ორგანიზაცია მხოლოდ პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს საქმეს წარმოადგენს. ამ დიდ საქმეში მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობა ხელს შეუწყობს დანაშაულობის აღმოფხვრას, შეუბრუნებელ დამოკიდებულებას შექმნის დანაშაულთან, კანონისა და სოციალისტური ცხოვრების წესების სხვა დარღვევებთან“.¹

ვიშინსკი ერთმანეთს უბირისპირებდა სოციალისტურ კანონიერებასა და პროლეტარიატის დიქტატურას, კანონიერებასა და მიზანშეწონილებას. აი, რას წერდა ვიშინსკი 1940 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „სასამართლო წყობილება“: „უნდა გავანადგუროთ ექსპლოატატორული. ელემენტების წინააღმდეგობა სოციალიზმის საქმისადმი, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოსადმი. ამისათვის გამოყენებული უნდა იქნას სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული დაცვის ყველა საშუალება. მტრებთან ბრძოლის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს არა მარტო სასამართლო და სასამართლო განაჩენი, არამედ ზემოქმედების ადმინისტრაციული ღონისძიებები პროლეტარიატის დიქტატურის ისეთი ორგანოების საშუალებით, როგორცაა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საგანგებო სათათბირო (1934 წლის 10 ივლისის კანონით შექმნილი)“.

სოციალისტური კანონიერების შესახებ ასეთი წარმოდგენა ვიშინსკის კარ-

¹ Р. А. Руденко, О задачах дальнейшего укрепления социалистической законности в свете решения XXI съезда КПСС („Советская общественность на страже социалистической законности“, М., 1960, гз. 74—75).

ნახობდა დაეცვა ანალოგიის პრინციპი სისხლის სამართალში. ანალოგიის მოქმედება ხრე ვიშინსკი იყო არა მხოლოდ 30-იან წლებში, არამედ უფრო მოგვიანებითაც. კერძოდ, 1953 წელს მან მცდარად მიიჩნია ანალოგიის წინააღმდეგ 1952 წლის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოში განვითარებული შეხედულებები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებმა და მოკავშირე რესპუბლიკების ახალმა სისხლის სამართლის კოდექსებმა საბოლოოდ უარი თქვეს ანალოგიის გამოყენებაზე; მოქალაქე სისხლის სამართლის წესით მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, თუ მას ბრალი მიუძღვის კანონით დანაშაულად აღიარებული ქმედობის ჩადენაში. ამით კანონმდებელმა მტკიცე სამართლებრივი გარანტია შექმნა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებებაში მოქალაქეთა უკანონოდ მიცემის წინააღმდეგ.

მიუღებელი იყო ვიშინსკის მიერ მოცემული ბრალის განსაზღვრა. იგი იძლეოდა ბრალის ცნების ასეთ განმარტებას: „**ბრალი** — მიზეზობრივი კავშირით დანაშაულის ჩამდენსა და ჩადენილი დანაშაულის ობიექტს შორის, რასაც წარმოადგენს კანონით საზოგადოებრივად საშიშად ცნობილი მოქმედება ან უმოქმედობა.

პირობები — განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. განზრახვის ხარისხი. გაუფრთხილებლობის ხარისხი: გაუფრთხილებლობა არის სხვადასხვა — დანაშაულებრივი დაუდევრობა, დანაშაულებრივი თვითიმედოვნება და ა. შ.

დანაშაულის ჩადენის მოტივები.

დანაშაულის ჩამდენის პიროვნება.


დანაშაულის ჩადენის ვითარება“.¹

ამრიგად, მოტანილ განსაზღვრაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ისეთი დამოუკიდებელი საფუძველი, როგორცაა მიზეზობრივი კავშირი, ბრალის ცნების შემადგენელ ნაწილად არის გაგებული. ეს ნიშნავს, პირის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის დროს არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ მიზეზობრივ კავშირისათვის მიგვენიჭებინა. რაც შეეხება პირის ფაქტიკურ დამოკიდებულებას გამომწვეულ მოქმედებასთან, ან შედეგთან, ვიშინსკის იგი მიაჩნდა არა ბრალის ცნების შემადგენელ კომპონენტად, არამედ ბრალის პირობად. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფ. ა. პონტოვსკისა და პროფ. ვ. ჩხიკვაძეს, როდესაც წერენ, რომ „...მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის ცნებების აღრევამ პრაქტიკაში შეიძლება მიგვიყვანოს საბჭოთა სისხლის სამართლის პრინციპებისათვის მიუტყვებელ ობიექტურ შერაცხვამდე“.²

გარდა ამისა, ვიშინსკის განსაზღვრაში ბრალის ფორმები (მისი გამოთქმით „ბრალის პირობები“), რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტურ საფუძვლად გვევლინებიან, გათანაბრებულია ისეთ გარემოებებთან, რომლებსაც სასამართლო ღებულობს მხედ-

¹ А. Я. Вышинский, Некоторые вопросы науки Советского права („Советское государство и право“, 1953, № 4, стр. 23).

² А. А. Пионтковский, В. М. Чхиквадзе, Укрепление социалистической законности и некоторые вопросы теории советского уголовного права и процесса („Советское государство и право“, 1956, № 4, стр. 28).



ველობაში სასჯელის კონკრეტული ზომის განსაზღვრისას (დამნაშავეს პიროვნება, ზოგჯერ მოტივი, დანაშაულის ჩადენის ვითარება).

ვიშინსკი მიზეზობრივ კავშირს ზედმეტად თვლიდა თანამონაწილეობისათვის. თანამონაწილეობად იგი განიხილავდა ისეთ შემთხვევას, როდესაც მოცემულ პირს საერთოდ რაიმე კავშირი ჰქონდა ჩადენილ დანაშაულთან.¹ თუ გავითვალისწინებთ, რომ ვიშინსკი ბრალის ცნებაში ძირითად მნიშვნელობას მიზეზობრივ კავშირს მიაწერდა, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ იგი თანამონაწილეობისათვის საჭიროდ არ ცნობდა იმ ბრალსაც კი, რომელიც მას, როგორც აღინიშნა, არასწორად ჰქონდა განსაზღვრული.

თანამონაწილეობის საკითხში ვიშინსკი ინგლისური სამართლის კონსერვატიული დებულებებით სარგებლობდა. „ამ მხრივ, — აღნიშნავდა ვიშინსკი, — უფრო მართებულია ინგლისური დოქტრინა. ინგლისური სამართლის მიხედვით, მონაწილეობა ბრალად შეეარაცხება იმას, ვინც თუმცა დანაშაულებრივი ქმედობის ამსრულებელი არ იყო და მისი ჩადენის ადგილზე არ იმყოფებოდა, მიუხედავად ამისა, ასე თუ ისე მასთან დაკავშირებული აღმოჩნდა. ამასთან, ქმედობასთან დროში კავშირს შეიძლება ადგილი ჰქონდეს დანაშაულის ჩადენამდე, ან მისი ჩადენის შემდეგ“.² ეს დებულება გვანიშნებს, რომ ვიშინსკი შემხებლობის სახეებს: მინებებლობას, დანაშაულის კვალის დაფარვასა და განუცხადებლობას თანამონაწილეობად განიხილავდა.

ეს რომ ასეა, ამას გვიჩვენებს ვიშინსკის მოსაზრებები დანაშაულის კვალის დაფარვის შესახებ.

როგორც აღინიშნა, ვიშინსკიმ თანამონაწილეობისათვის უარყო მიზეზობრივი კავშირი. სწორედ ამის გამო მან წინასწარ შეუპირებელი დანაშაულის კვალის დაფარვა დანაშაულში თანამონაწილეობად — კერძოდ დახმარებად ჩათვალა. მისი ფიქრით, დაპირება არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას დაფარვის დახმარებად ცნობისათვის. ამიტომ ვიშინსკი ვერავითარ განსხვავებას ვერ ნახულობდა წინასწარ შეპირებულ და წინასწარ შეუპირებელ დაფარვას შორის.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ვიშინსკის ამ მოსაზრებას ერთგვარი საფუძველი გააჩნდა. სახელდობრ, მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების უმრავლესობა, როგორც წინასწარ შეპირებულ, ისე წინასწარ შეუპირებელ კვალის დაფარვას თანამონაწილეობად განიხილავდნენ. ამისდა მიუხედავად, ამ კოდექსების მოქმედების დროსაც საბჭოთა კრიმინალისტიკების დიდი უმრავლესობა (პროფ. ა. პიონტკოვსკი, პროფ. ა. ტრაინინი, პროფ. თ. წერეთელი, პროფ. მ. შარგოროდსკი, პროფ. კ. მენშაგინი და სხვ.) საკითხის ასეთ მოწესრიგებას მიუღებლად თვლიდნენ. ისინი მართებულად მხარს უჭერდნენ უკრაინის სსრ, საქართველოს სსრ და უზბეკეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსების პოზიციას დანაშაულის კვალის დაფარვის საკითხში, როგორც ცნობილია, ამ სამი რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსები მხოლოდ წინასწარ შეპირებულ დაფარვას განიხილავდნენ როგორც თანამონაწილეობას (დახმარებას). რაც შეეხება წინასწარ შეუპირებელ დანაშაულის კვა-

¹ Вышинский, Вопросы теории государства и права, М., Госюриздат, 1949, 88. 119.

² იქვე.

ლის დაფარვას, ეს მოქმედება როგორც *sui generis* გამოყოფილი იყო კოდექსების განსაკუთრებულ ნაწილში.

წინასწარ შეპირებულ და წინასწარ შეუპირებელ კვალის დაფარვას შორის პრინციპული განსხვავება არსებობს. ამიტომ გაუმართლებელია ამ ორი სხვადასხვა ხასიათის შემთხვევას პასუხისმგებლობის ერთნაირი საზომით მივუდგეთ.

წინასწარ შეპირებულ და წინასწარ შეუპირებელ დაფარვას ის საერთო ნიშანი გააჩნიათ, რომ ორივე შემთხვევაში დანაშაულის კვალის დაფარვისკენ მიმართული მოქმედება დანაშაულის ჩადენის შემდეგ ხორციელდება. ამით ამოიწურება მათი მსგავსება. ძირითადი და არსებითია ის, რომ კვალის დაფარვის წინასწარი შეპირებისას მიზეზობრივი კავშირი არსებობს შეპირებასა და ჩასადენ დანაშაულს შორის. რაც შეეხება წინასწარ შეუპირებელ დაფარვას, ასეთ შემთხვევაში შეპირება წინ არ უსწრებს კვალის დაფარვას და მამასადამე, მიზეზობრივი კავშირიც გამოირიცხულია. ყურადსაღებია ისიც, რომ წინასწარ შეპირებული დაფარვისას პირი ითვალისწინებს, რომ იგი დანაშაულის კვალს დაფარვის შეპირებით ხელს უწყობს გარკვეული დანაშაულის ჩადენას და სურს, ან უშვებს ამას. ეს შეუძლებელია ითქვას წინასწარ შეუპირებელი დაფარვის მიმართ.

ამჟამად დაფარვის შესახებ ვიშინსკის კონცეფცია საბოლოოდ უარყოფილია. 1959 წ. საფუძვლებმა, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსებმა მხოლოდ წინასწარ შეპირებული დაფარვა მიიჩნიეს დახმარებად. რაც შეეხება წინასწარ შეუპირებელ დაფარვას, ასეთი მოქმედება განსაზღვრულ შემთხვევებში დამოუკიდებელ დანაშაულად ითვლება.¹

როგორც ცნობილია, თანამონაწილეობისათვის ვიშინსკის არ მიაჩნდა აუცილებლად მიზეზობრივი კავშირის დადგენა პირის მოქმედებასა და მის მიერ ჩადენილ დანაშაულს შორის. აქედან ვიშინსკის არც შეთანხმება მიაჩნდა თანამონაწილეობის დამახასიათებელ ნიშნად. თანამონაწილეობის ბუნების შესახებ ასეთი განმარტების საფუძველზე ვიშინსკი თვლიდა, რომ პირის დანაშაულებრივ ჯგუფში მონაწილეობამ „...შეიძლება გამოიწვიოს ამ ჯგუფის მონაწილის პასუხისმგებლობა მაშინაც კი, როდესაც მას უშუალოდ დამოკიდებულება არ ჰქონდა ამ დანაშაულებრივ მოქმედებასთან და თანხმობა არ მიუცია მათ ჩადენაზე“.² ასეთი მოსაზრება, ნათელია, არ შეესაბამება თითოეული თანამონაწილის პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს, რაც მისი ბრალისა და აგრეთვე ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობის ხარისხით განისაზღვრება. „მოქმედება, რომელიც ორგანიზებული ჯგუფის გარკვეულმა წევრებმა ჩაიდინეს და რომელშიც სხვა წევრებს უშუალო ან არაპირდაპირი მონაწილეობა არ მიუღიათ და თანხმობა მათ ჩადენაზე არ მიუციათ, არ შეიძლება ამ უკანასკნელთ ბრალად შეერაცხეთ. ეს არ გამოირიცხავს მათ პასუხისმგებლობას დანაშაულებრივ საზოგადოებაში მონაწილეობისათვის“.³

¹ სისხლის სამართლის VII საერთაშორისო კონგრესზე ათენაში (1957 წ.) საბჭოთა დელეგაციამ მხარი დაუჭირა თანამონაწილეობის შესახებ რეზოლუციას, რომლის მიხედვითაც დახმარებად აღიარებული იქნა მხოლოდ წინასწარ შეპირებული დაფარვა.

² Вышинский, დასახ. ნაშ. გვ. 115.

³ А. А. Пионтковский, Учение о преступлении по советскому уголовному праву, М., Госюриздат, 1961 г. стр. 582.

თანამონაწილეობის ცნების ასეთი გაგება შესაძლებლობას იძლეოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ისეთი პირები მიეცათ, რომელთაც არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ, არც მიუციათ თანხმობა მის ჩადენაზე, მაგრამ რაიმე, სულ უმნიშვნელო დამოკიდებულება ჰქონდათ მასთან.¹

მიუღებელი იყო აგრეთვე ვიშინსკის შეხედულება წამქეზებლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ვიშინსკი ამ საკითხშიც ინგლისურ სამართალზე, კერძოდ, სტიფენის მიერ თანამონაწილეობის შესახებ შემუშავებულ პროექტზე მიუთითებდა. როგორც ცნობილია, ამ პროექტმა მეტად გააფართოვა პასუხისმგებლობა წამქეზებლობისათვის. კერძოდ, სტიფენის პროექტით პირს პასუხი უნდა ეგო ყოველივე ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც წამქეზებლობის შედეგად იქნებოდა ჩადენილი და რომლის შესახებაც მან იცოდა, ან მას უნდა სცოდნოდა, რომ ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილი ყოფილიყო.

მასშადად, ვიშინსკის სურდა წამქეზებლობად განხილულიყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც ერთი პირი მეორე პირს გაუფრთხილებლად უბიძგებს დანაშაულის ჩასადენად. წამქეზებლობის ცნების ასეთი გაფართოება არსებითად ეწინააღმდეგება თანამონაწილეობის ამ სახის ბუნებას. „სუბიექტური მხრივ წამქეზებლობა ყოველთვის განზრახ საქმიანობას წარმოადგენს. წამქეზებლის, ისევე როგორც დანაშაულის სხვა სუბიექტის განზრახვა, უნდა მოიცავდეს ჯერ ერთი, ყველა იმ ფაქტიური გარემოების გათვალისწინებას, რომლებიც მოცემული დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს ქმნიან, და, მეორე, მის მოქმედებასა და დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის ზოგადი განვითარების გათვალისწინებას“.²

2. სისხლის სამართლის პროცესის საკვანძო საკითხებზე ვიშინსკის შეხედულებები თეორიულად ასაბუთებდა მოქალაქეთა უფლებების შელახვასა და მასობრივ რეპრესიებს.

როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული პროცესუალისტები ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს ჭეშმარიტება გამომძიებლისა და მოსამართლისათვის მიუწვდომელია. ამის გამო, ისინი უნდა დაკმაყოფილდნენ თავიანთი დასკვნების მხოლოდ ალბათობითობის მაღალი ხარისხით.³

ვიშინსკი ცდილობდა ეს შეხედულება საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში გადმოეტანა. კერძოდ, 1937 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „მტკიცებულებათა შეფასების პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“, ვიშინსკი არ ეთანხმებოდა იმ პროცესუალისტებს, რომელთა აზრით სასამართლო განა-

¹ მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ვიშინსკის შეხედულებამ საკანონმდებლო ასახვა პირა ალბანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ალბანეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილში ნათქვამია: „დანაშაულებრივი ორგანიზაციის მონაწილეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება არა მარტო იმ დანაშაულთათვის, რომელშიც მან უშუალო მონაწილეობა მიიღო, არამედ იმ დანაშაულთათვისაც, რომლებიც დანაშაულებრივი ორგანიზაციის სხვა მონაწილემ ჩაიდინა, უკეთუ მისთვის ცნობილი იყო, რომ ამ დანაშაულთა ჩადენა დანაშაულებრივი ორგანიზაციის გეგმით იყო გათვალისწინებული“.

² А. А. Пионтковский დასახ. ნაშრომი გვ. 573.

³ მაგ. Вл. Случевский, Учебник русского уголовного процесса, СПб, 1913, გვ. 379.

ჩვენმა უნდა ასახოს აბსოლუტური ჭეშმარიტება. არსებითად ამ მოსაზრებას ვიშინსკი იცავდა თავის ნაშრომშიც „სასამართლო მტკიცებულებათა თეორია საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში“: ამ ნაშრომის მესამე გამოცემაში (1950 წ.) იგი წერდა: „1937 წელს სტალიაში „მტკიცებულებათა შეფასების პრობლემა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში“, მე ვიცავდი პოზიციას, რომელიც უარყოფს სასამართლოსადმი აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენის მოთხოვნის მიზანშეწონილებასა და შესაძლებლობას იმიტომ, რომ სასამართლო მოღვაწეობის პირობები მოსამართლისაგან აუცილებლად მოითხოვს საკითხის გადაწყვეტას არა აბსოლუტური ჭეშმარიტების, არამედ სასამართლოში შესაფასებელი ფაქტორების მაქსიმალური ალბათობითობის (უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა უტყუარობის — ა. ვ.) თვალსაზრისით. მე დღესაც ამ თვალსაზრისზე ვდგევარ. მოვთხოვთ სასამართლოს, რომ მისი გადაწყვეტილება აბსოლუტურ ჭეშმარიტებას წარმოადგენდეს, სასამართლო მოღვაწეობის პირობებში აშკარად შეუსრულებელი ამოცანაა“.¹

ამ ნაშრომში რამდენჯერმეა აღნიშნული, რომ სასამართლო მოღვაწეობა არ წარმოადგენს ჩვეულებრივ მეცნიერულ-კვლევით მუშაობას, რომ სასამართლო მოღვაწეობა ქმნის განსაზღვრულ ფარგლებს შემეცნებისათვის. ამიტომ ვიშინსკი უარყოფდა სასამართლო მოღვაწეობის დარგში შემეცნების დასკვნების გამოყენების შესაძლებლობას.

სასამართლო ჭეშმარიტების, როგორც ალბათობითობის შესახებ, ასეთი შეხედულება მიმართული იყო სასამართლო შეცდომების დასასაბუთებლად და მოქალაქეთა უსაფუძვლო მსჯავრდებისაკენ.

ამჟამად სოციალისტური მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობა იმ ურყევ პრინციპს ეფუძნება, რომ პირის მსჯავრდება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ საქმეზე შეკრებილია ობიექტურად უტყუარი მასალები გარკვეული დანაშაულის ჩადენაში მისი ბრალეულობის შესახებ.

მძიმე შედეგებთან იყო დაკავშირებული სახელმწიფო დანაშაულობათა საქმეებზე ბრალდებულის აღიარების გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ ვიშინსკის კონცეფცია.

ბრალდებულის აღიარება მტკიცებულებათა მეფედ ცნობილი იყო ჯერ კიდევ შუა საუკუნეების პროცესში. ბრალდებულის აღიარებას ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში ვიშინსკიმ მიანიჭა. „თავის დროზე მისი ეს მტკიცება წარმოადგენდა „თეორიულ“ საფუძველს კონტრრევოლუციურ დანაშაულთა საქმეებზე ყოველგვარი საშუალებებით „აღიარებითი“ ჩვენებების აუცილებლად მისაღებად. ეს კი საკმარისად ითვლებოდა პასუხისმგებაში მიცემული პირის მსჯავრდებისათვის“.²

საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა და არც ახლა ითვალისწინებს ნორმას, რომელიც შედარებით სხვა მტკიცებულებებთან ბრალდებულის აღიარებას გადამწყვეტ მნიშვნელობას მიანიჭებდა. „არავითარ დამამტკიცებელ საბუთს, — ნათქვამია 1958 წ. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძველზე“.

¹ В и ш и н с к и й, Теория судебных доказательств в Советском праве, с. 201.

² „До конца ликвидировать вредные последствия культа личности в советской юриспруденции“ („Советское государство и право“, 1962, № 4, стр. 8).

ლების მე-17 მუხლში, — სსსმართლოსათვის, პროკურორისა და გამომძიებლისა და იმ პირისათვის, რომელიც მოკვლევას აწარმოებს, არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა“.

არ შეიძლება მართებულად ვცნოთ ვიშინსკის დებულება სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების ტვირთის შესახებ. ვიშინსკის შეხედულებით, როგორც წაყენებული ბრალდების სისწორის მტკიცების მოვალეობა ბრალმდებელს აწევს, ასევე ბრალდებული ან მსჯავრდადებული მოვალენი არიან დაამტკიცონ თავიანთ დასაცავად წამოყენებულ დებულებათა სისწორე.

ამ შეხედულების განხორციელება მძიმე პროცესუალურ მდგომარეობაში აყენებდა ბრალდებულს. ეს კი თავის მხრივ იწვევდა უსაფუძვლო განაჩენების გამოტანას. ნათელია, ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელი იყო საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესისათვის. ამის გამო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების 24 მუხლში დადგენილია: „სსსმართლოს, პროკურორს, გამომძიებელს და პირს, რომელიც მოკვლევას აწარმოებს, უფლება არა აქვს მტკიცების მოვალეობა ბრალდებულზე გადაიტანოს“. სისხლის სამართლის პროცესის ეს პრინციპი წარმოადგენს ბრალდებულის პიროვნების უფლებების გარანტიას, ხელს უწყობს საქმეზე ობიექტური კვლევების დადგენას.

ვიშინსკი მცდარ შეხედულებებს იცავდა აგრეთვე მოსამართლის მართლშეგნების ხასიათის, მტკიცების საგნის, საგამომძიებლო ვერსიების, ექსპერტის ბუნების და ა. შ. საკითხებზე.

წინამდებარე საკუთრნალო სტატიის მოცულობა შესაძლებლობას არ გვაძლევს დავახასიათოთ და კრიტიკულად შევაფასოთ იმ მეცნიერ-იურისტთა ნაშრომები, რომლებშიც ასე თუ ისე აისახა ვიშინსკის მცდარი შეხედულებები. მართებულად აღნიშნა ამხ. ა. ნ. შელეპინმა პარტიის XXII ყრილობაზე, რომ ვიშინსკის „თეორიული“ გამოკვლევები, როგორც ჩანს, მძიმე ტვირთად აწევს მრავალ მეცნიერ-იურისტს. ამ მძიმე ტვირთისაგან გათავისუფლება საბჭოთა იურიდიული მეცნიერების განვითარების გადაუდებელ პირობას წარმოადგენს.

გ. ტყეშელიაძე,

ლ. თალაკვაძე.

გამოჩანილი მეხნიაკი სოსიოლოგი მ. კოვალესკი

პროფესორი ალ. ვაჩიიშვილი.

სოციოლოგიის დამაარსებლად ითვლება ოგ. კონტი, რომელმაც თავის შრომაში „პოზიტიური ფილოსოფიის კურსი“, დაახასიათა მეცნიერებათა იერარქია და ამ იერარქიის უკანასკნელ, დამამთავრებელ რგოლად აღიარა მეცნიერება საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. სოციოლოგიას კონტმა მიზნად დაუსახა, პოზიტიური მეთოდების საფუძველზე, გამოკვლევა და დადგენა იმ კანონზომიერებისა, რომლის მიხედვით ვითარდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთობანი.


კონტის მიერ დასახული ახალი მეცნიერების დარგში გასული და მიმდინარე საუკუნეების განმავლობაში წარმოიშვა მრავალი სხვადასხვა მიმდინარეობა, რომლებიც ცდილობდნენ განსხვავებული გზებით სოციალურ მოვლენათა კანონზომიერების აღმოჩენას და დასაბუთებას, მაგრამ ეს ცდები უშედეგო იყო და ჩვეულებრივ მარცხით მთავრდებოდა.

სოციოლოგიამ თავისი გავლენა მოახდინა ცალკეულ საზოგადოებრივ მეცნიერებებზე. მისი გავლენა ძლიერი იყო სამართლის მეცნიერების დარგშიც.

სოციოლოგიამ, ფართო გავრცელება ჰპოვა რუსეთში, რაც სრულიად ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იმდროინდელი რუსული საზოგადოება ამ მეცნიერებისაგან მოელოდა პასუხს სოციალურ ცხოვრებაში წამოჭრილ პრაქტიკულ საკითხებზე. რევოლუციამდელ რუსეთში ეს მეცნიერება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და საზოგადოებრივი აზრი ეტანებოდა იმ შრომებს, რომლებიც საკმაო ოდენობით ითარგმნებოდა რუსულ ენაზე. თარგმნილი ლიტერატურის გარდა, თვით რუსი ავტორები წერდნენ მონოგრაფიულ შრომებს სოციოლოგიურ საკითხებზე. იყვნენ ისეთი მეცნიერნიც, რომლებიც უცხო ენებზეც ბეჭდავდნენ თავიანთ ნაწარმოებებს.

ამ მიმდინარეობის გარეშე, რა თქმა უნდა, არც სამართლის მეცნიერება დარჩენილა. როდესაც ვლადიმერ სამართლის მეცნიერებაზე, ჩვენ ვგულისხმობთ როგორც სამართლის ზოგად თეორიას, ისე სამართლის სპეციალურ დარგებსაც; მაგალითად, სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლისა და სხვა სამართლის მეცნიერების დარგშიც ვნახულობთ სოციოლოგიური მეთოდის გამოყენების მისწრაფებას. საერთოდ აღებული, სოციოლოგიური შრომები რუსეთში, ბუნებრივად, დასავლეთის ღრმა გავლენას განიცდიან, მაგრამ ზოგიერთის მხრივ ისინი ამყლავნებენ ერთგვარ დამოუკიდებლობას და ბურჟუაზიული სოციოლოგიის საერთო მონაცემთა ჯამში რუს ავტორებს შეაქვთ თავისებური ელემენტი; არის შემთხვევები, როდესაც რუსი ავტორი გვევლინება როგორც წინამორბედი იმ კონცეფციისა, რომელიც დიდი ავტორიტეტით და გავრცელებით სარგებლობს თანამედროვე ბურჟუაზიულ სოციოლოგიურ ლიტერატურაში.

რუს იურისტ-სოციოლოგთა შორის პირველი ადგილი ეკუთვნის მ. კოვალესკის, რომელიც ფართოდ იყო ცნობილი როგორც რუსეთში, ისე საზღვარ-



გარეთ. მ. კოვალევსკი ავტორია მრავალრიცხოვანი შრომებისა, რომლებშიც განხილულია სხვადასხვა სოციოლოგიური პრობლემები. მას აინტერესებდა ზოგადი სოციოლოგიის საკითხები, გენეტიკური სოციოლოგიის, პირველყოფილი საზოგადოების (საგვარეულო წყობა) საკითხები, ოჯახის ინსტიტუტის განვითარება; ამ დარგში მას გამოთქმული ჰქონდა აზრები, რომლებიც ენგელსის მოწონებით სარგებლობდნენ. მისი მეცნიერული ინტერესი არ იყო შემოფარგლული მხოლოდ იურიდიული საკითხებით, იგი იკვლევდა აგრეთვე ეკონომიური ცხოვრების განვითარების ისტორიას.

მ. კოვალევსკის სოციოლოგია ესმოდა როგორც მეცნიერება, რომელიც მოიცავს სოციალური ცოდნის ყველა დარგს, სინთეზში მოჰყავს მათი ძირითადი დასკვნები, იძლევა ცალკეულ ერთა პროგრესისა და დაკნინების მიზეზების ახსნას. მისი გაგებით სოციოლოგია არის **სინთეზური მეცნიერება**, რომელიც აერთებს სპეციალურ საზოგადოებრივ მეცნიერებათა შედეგებს.¹ ეს შეხედულება საერთოდ გავრცელებულია ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში. მაგრამ საგულისხმოა, რომ კოვალევსკი ამავე დროს გამოდის **ისტორიის მონისტური გაგების წინააღმდეგ**. მთავარი, ძირითადი საკითხი, — წერს იგი, — რომელიც იწვევს აზრთა სხვაობას, არის ის, თუ რომელია საზოგადოებრივი ცვალებადობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ეს საკითხი კოვალევსკის მეტაფიზიკურად მიაჩნია. მისი სიტყვით, სინამდვილეში ჩვენ საქმე გვაქვს არა ფაქტორებთან, არამედ ფაქტებთან, რომელთაგან ცალკეული ასე თუ ისე დაკავშირებულია სხვებთან, მათ მიერ არის განპირობებული და, თავის მხრივ, მათ განაპირობებს. ფაქტორზე ლაპარაკი, ამბობს კოვალევსკი, ჩემთვის იგივეა, რაც მდინარის წყლის წვეთებზე ლაპარაკი, რომლებიც თავისი მოძრაობით განაპირობებენ უპირატესად მის დინებას. სოციოლოგია, მისი აზრით, მნიშვნელოვნად მოიგებს, თუ პირველადი და უმთავრესი ფაქტორის აღმოჩენის სურვილი მის უახლოეს ამოცანების სფეროდან იქნება გამორიცხული, თუ საზოგადოებრივ მოვლენათა სირთულესთან შესაბამისად, იგი დაკმაყოფილდება მრავალი მიზეზების ერთდროული და პარალელური ზემოქმედებისა და წინააღმდეგობის მითითებით.² კოვალევსკი ფიქრობდა, რომ ის მიმართულება, რომლითაც უკანასკნელ წლებში ვითარდებოდა აბსტრაქტული მეცნიერება საზოგადოების შესახებ, ნაწილობრივ ამართლებდა მის იმედებს. მაგრამ, როგორც ჩანს, მისი პროგნოზი მაინც არ გამართლებულა, ვინაიდან მონისტური ტენდენცია სოციოლოგიაში მეტად ძლიერი აღმოჩნდა.

კოვალევსკი მიუთითებს, რომ სოციოლოგიის ბუნების საბოლოო გარკვევისათვის საჭიროა მისი დაპირისპირება სხვა მეცნიერებებთან, რომელთაც საქმე აქვთ საზოგადოებრიობის სხვადასხვა გამოვლინებასთან. აუცილებელია იმის გამოკრევევა, თუ რა ურთიერთობა არსებობს სოციოლოგიასა, როგორც განყენებულ მეცნიერებასა და კონკრეტულ საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის.³

არიან ისეთი მწერლები, რომლებიც უარყოფენ სოციოლოგიის საჭიროებას. XIX საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსი ფიუსტელ დე კულანჟი, მაგალი-

¹ М. Ковалевский, Социология, I, 1910, Предисловие, V.

² М. Ковалевский, Современные социологи, 1905, вступл. XIV.

³ М. Ковалевский, Социология, т. I, 1910, 8.

თად, ამტკიცებდა, რომ სოციოლოგიის და ისტორიის საგანი ერთმანეთს ემთხვევა. ვაო. კოვალევსკი არ ეთანხმება ამ აზრს. ისტორიის ამოცანას, ამბობს იგი, წარმოადგენს პრაგმატულ კავშირში იმის გადმოცემა, თუ როგორ მიმდინარეობს ცალკეული ერების ან მთელი კაცობრიობის ცხოვრება. მხოლოდ ერთის მხრივ, — მოვლენათა მიზეზობრივი კავშირის შესწავლის მხრივ, — ისტორიას აქვს რაღაც საერთო სოციოლოგიასთან. მაგრამ ისტორიამ აუცილებლად უნდა გაუწიოს ანგარიში კონკრეტულ ფაქტებს. სოციოლოგია, ისტორიისაგან განსხვავებით, უყურადღებოდ სტოვებს კონკრეტული ფაქტების მასას და აღნიშნავს მხოლოდ მათ საერთო ტენდენციას, იგი არასოდეს არ ივიწყებს თავის ძირითად ამოცანას — მან უნდა გაარკვიოს ადამიანის საზოგადოების სიმშვიდისა და მოძრაობის მიზეზები, წესრიგის სიმტკიცე და განვითარება სხვადასხვა ეპოქაში მათ თანმიმდევრულ და მიზეზობრივ კავშირში.

მაგრამ თვით სოციოლოგებს შორის არიან ისეთები, რომლებიც თუმცა სავსებით ეთანხმებიან იმას, რომ ისტორია და სოციოლოგია არ ემთხვევიან ერთმანეთს, მაინც ფიქრობენ, რომ სოციოლოგია იგივეა, რაც ისტორიის ფილოსოფია. კოვალევსკის ეს აზრი მიუღებლად მიაჩნია, ვინაიდან ისტორიის ფილოსოფია არ ფარავს სოციოლოგიის პირველ ნაწილს — სოციალურ სტატუტს. ისტორიის ფილოსოფია ვერ დაიკავებს სოციოლოგიის ადგილს, რადგან უკანასკნელი ისახავს უფრო ფართო ამოცანებს. გარდა ამისა, ისტორიის ფილოსოფიის დოქტრინები ყოველთვის ატარებენ თეოლოგიურ ან მეტაფიზიკურ ხასიათს.

არც ცივილიზაციის ისტორიას შეუძლია შეცვალოს სოციოლოგია: თვით ზერელე გაცნობა კულტურის ისტორიისა, კოვალევსკის სიტყვით, გვარწმუნებს, რომ ეს წმინდა სუბიექტური ცნებაა: სხვადასხვა ავტორებს მასში შეაქვთ სხვადასხვა შინაარსი.

ზოგიერთი სოციოლოგიას უახლოებს ეთიკას. ოგ. კონტი ამგვარ აღრევას არ ახდენდა, მან მხოლოდ საჭიროდ სცნო „დადებითი ფილოსოფიის კურსის“ შევსება დადებითი პოლიტიკით, რომლის ერთ ნაწილს ეთიკა შეადგენდა. ახალ სოციოლოგებს შორის კოვალევსკი ასახელებს დე რობერტის, რომელმაც სოციოლოგია და ეთიკა იდენტურად ჩათვალა. დე რობერტის აზრით, ყველგან და ყოველთვის მორალურიდან გადასვლა სოციალურზე გვევლინება როგორც თანასწორიდან თანასწორზე გადასვლა. ეთიკა არის მორალი, რომელიც აბსტრაქტულ მეცნიერებად იქცა, მაგრამ კოვალევსკის შენიშვნით, მორალი, დე რობერტის აზრის საწინააღმდეგოდ, არის გამოყენებითი დისციპლინა, რომელიც ისეთივე ურთიერთობაშია სოციოლოგიასთან, როგორც ტექნოლოგია ფიზიკასა და ქიმიასთან.

კოვალევსკი განიხილავს სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობის საკითხს და ამასთან დაკავშირებით ანალიზს უკეთებს ცნობილი ფრანგი სოციოლოგის, ტარდის მიერ წამოყენებულ თეორიას, სადაც დიდ როლს ასრულებს მიბაძვის ცნება. კოვალევსკი ძირითად საკითხებში არ ეთანხმება ტარდის შეხედულებებს და დაასკვნის, რომ ფსიქოლოგიას ადგილი უნდა დაეთმოს ბიოლოგიის გვერდით, ხოლო „ეგრეთწოდებული კოლექტიური ფსიქოლოგიის საკითხები შეტანილი უნდა იქნან სოციოლოგიის სფეროში“.¹

¹ М. Ковалевский, Социология, т. I, 1918, стр. 27.

დაყენებული ზოგადი საკითხის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა როგორ ესმის კოვალევსკის სოციოლოგიის ურთიერთობა ეთნოგრაფიასთან, სტატისტიკასთან, პოლიტიკურ ეკონომიასა და სახელმწიფოთმცოდნეობასთან. როგორ აქვს კოვალევსკის წარმოდგენილი ეს ურთიერთობა დასახელებულ დისციპლინებთან?

ყველა ეს მეცნიერება, როგორც კონკრეტული მეცნიერება საზოგადოების შესახებ, კოვალევსკის აზრით, ერთის მხრივ, მიზნად ისახავს მიაწოდოს სოციოლოგიის მასალა მისი განზოგადებებისათვის, ხოლო, მეორეს მხრივ, იხელმძღვანელოს სოციოლოგიის მიერ დადგენილი კანონებით საკუთარი კანონების კვლევა-ძიების დროს.

კოვალევსკი ზოგადი სახით ამტკიცებს, რომ რომელ კონკრეტულ საზოგადოებრივ მეცნიერებაზეც არ უნდა ვილაპარაკოთ, — იქნება ეს შედარებით ენათმეცნიერება, ან ლიტერატურის, პლასტიკური ხელოვნების, მუსიკის შედარებითი ისტორია, — ყველგან მათ მიერ შესწავლილ მოვლენათა ევოლუციური პროცესის ახსნა შეუძლებელია სოციოლოგიის გარეშე.¹

აქედან კოვალევსკი აკეთებს დასკვნას: კონკრეტულმა საზოგადოებრივ მეცნიერებებმა, აწვდიან რა სოციოლოგიას მასალას მისი დასკვნებისათვის, ამავე დროს უნდა დაამყარონ თავისი ემპირიული განზოგადებანი თანაარსებობის და განვითარების იმ ზოგად კანონებზე, რომელთა დადგენა სოციოლოგიის მიზანს წარმოადგენს. კოვალევსკის, როგორც ოგ. კონტს, სოციოლოგია მიაჩნია მეცნიერებად აღამიანის საზოგადოების წესრიგისა და განვითარების შესახებ.

კოვალევსკი ცალკე იხილავს სამართლის ისტორიისა და სოციოლოგიის ურთიერთობის საკითხს. შეიძლება ითქვას, — წერს იგი, — რომ მონტესკიეზე უფრო ადრე არავინ ფიქრობდა, რომ დაპირისპირებითი მეთოდის (сопоставительного метода) გამოყენების გზით შესაძლოა მიღება დასკვნისა იმ მოვლენათა კანონზომიერების შესახებ, რომლებიც პოლიტიკურ და სოციალურ დაწესებულებათა განვითარებას შეადგენენ. ოგ. კონტი საფუძვლიანად გამოყოფს მონტესკიეს XVIII ს. მწერლობიდან და თვლის მას თავის ერთ-ერთ პირდაპირ წინამორბედად. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მონტესკიემ პირველად გამოთქვა მეტად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი აზრი: „კანონი არის მოვლენათა აუცილებელი ურთიერთმიმართება“.

მონტესკიეს დროიდან ბოკლამდე, — წერს კოვალევსკი, — აყენებდნენ და აყენებენ საკითხს კლიმატის, ნიადაგის გავლენის შესახებ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებზე: ვაჭრობაზე, მრეწველობაზე, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე და სხვ. მაგრამ სამართლისა და დაწესებულებათა ისტორია უკვე არ კმაყოფილდება შედარებითი (დაპირისპირებითი) მეთოდით, როდესაც ერთმანეთს აღარებენ სხვადასხვა დროის და სხვადასხვა ხალხთა კულტურას და მხედველობაში არ იღებენ, რომ ერთ და იმავე ხალხის ცხოვრებაში სხვადასხვა დროს ვამჩნევთ სხვადასხვა წესრიგს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დაწესებულებებში. თავისი აზრის დასასაბუთებლად კოვალევსკი იხილავს საფრანგეთის ისტორიას. მისი სიტყვით იმ მეთოდს, რომლითაც მონტესკიე სარგებლობდა, არ შესწევს ძალა გაერკვეს რთულ ისტორიულ მოვლენებში. აქ

¹ М. Ковалевский, Социология, т. I, 1918, стр. 30.

საჭიროა სხვა მეთოდის გამოყენება, — ესაა **შედარებით-ისტორიული მეთოდი**, რომელიც ახალი დროის მონაპოვარს წარმოადგენს. ვსარგებლობთ რა, — წერს კოვალევსკი, — ამ მეთოდით და ვადარებთ რა ერთმანეთს სხვადასხვა ხალხებს მათი ცხოვრების სხვადასხვა საფეხურებზე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ის წესები და დაწესებულებანი, რომლებიც უკავშირდება საგვარეულო ყოფა-ცხოვრებას, ტომობრივ სამთავროს, შეზღუდულ წოდებრივ მონარქიას და სხვ., გვხვდება ისეთ ხალხებშიც, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო და არც ნასესხები ჰქონიათ ისინი ერთმანეთისაგან.

კოვალევსკი აქ ჩერდება იმ მეთოდის დახასიათებაზე, რომლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სოციოლოგიური კვლევა-ძიებისათვის ჯერ კიდევ ამ მეცნიერების დამაარსებელი აღნიშნავდა. კოვალევსკი დიდად აფასებს ისტორიულ-შედარებით მეთოდს და, შეიძლება ითქვას, განუხრელად, თანმიმდევრულად იყენებს მას თავის გამოკვლევებში. ამ მეთოდის საფუძველზე შედგენილი მისი ცნობილი შრომები: „Закон и обычай на Кавказе“ და „Современный обычай и древний закон“. ამავე მეთოდით სარგებლობს იგი, როდესაც იკვლევს საგვარეულო წყობილებას, მის კალამს ეკუთვნის შრომა, რომელიც სპეციალურად მიეძღვნა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის დახასიათებას სამართლის მეცნიერების დარგში.¹

თავისი „სოციოლოგიის“ სპეციალურ თავში² კოვალევსკი შეისწავლის სოციოლოგიის და სამართლის ურთიერთობის საკითხს. იგი აღნიშნავს, რომ გერმანელმა იურისტებმა დაკარგეს იმ კავშირის შეგნება, რომელიც აერთებს სამართალსა და კულტურასა და მოქალაქეობრიობის ზრდას. შინაგანი განვითარების და იმ მჭიდრო დამოკიდებულების იდეა, რომელიც ყოველ მოცემულ მომენტში არსებობს სამართალსა და ერის ეკონომიურ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და რელიგიურ წყობას შორის, კოვალევსკის სიტყვით, უცხო დარჩა გერმანული სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის ავტორებისათვის, რომლებმაც კოდექსის უმთავრეს საფუძველად აღიარეს იუსტიციანეს პანდექტები. ისტორიის უგულვებელყოფამ შედეგად იქონია ის, რომ კანონმდებელმა ყურადღების გარეშე დატოვა სოციალური ამოცანები და სრულიად არ შეეცადა იურიდიული გამოხატულება მიეცა თანამედროვეობის საზოგადოებრივ მისწრაფებებისათვის. სამართლის დოგმა, როგორც მოქმედი სამართლის ლოგიკური გადმოცემა, არ იძლევა არც მისი ვარგისობის და არც მისი შემდგომი განვითარების არავითარ კრიტერიუმს. მხოლოდ ისტორიის დახმარებით შეიძლება პასუხის გაცემა კითხვაზე: რამდენად მოცემული სამართალი წინანდელი განვითარების ორგანული ნაყოფია და რაა მასში ისეთი რამ, რაც ეწინააღმდეგება ცხოვრების მოთხოვნებს; ისტორიის გარეშე არ შეიძლება არც კანონმდებლობის ორგანული ხასიათის და არც მისი ნაკლოვანების აღმოჩენა; ნაკლოვანების წყარო იმაშია, რომ ცხოვრებამ გაუსწრო იურიდიულ შემოქმედებას — წერს კოვალევსკი.

ამ ჭეშმარიტების არცოდნის გამო ბევრი ფიქრობს მოქმედი კანონმდებ-

¹ „Историко-сравнительный метод в юриспруденции“. კოვალევსკის ეკუთვნის აგრეთვე შრომა: „От прямого народоправства к представительному и от патриархальной монархии к парламентаризму.“ სამი ტომი, 1906.

² Социология. т. I, гл. III.

ლობის შეფასების საზომის აღმოჩენას რაღაც მეტაფიზიკურ წარმოდგენაში აბსოლუტური სამართლიანობის და ადამიანის თანდაყოლილი უფლებების შესახებ, რომლებსაც ბუნებრივი უფლებები ეწოდება. მაგრამ კოვალევსკის სიტყვით, ბუნებამ ასწავლა ცოცხალ არსებას არა უფლება, არამედ, პირიქით, უფლებობა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ინდივიდი ანადგურებს სხვებს თავისი სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით. თუ საბოლოოდ ბრძოლამ არსებობისათვის ხელი არ შეუშალა და შესაძლოა კიდევ არაპირდაპირ ხელი შეუწყოს სამართლის წარმომტებას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავდაცვის ინსტიტუტმა შეაგნებინა ამ ბრძოლის მონაწილეებს ჯგუფებად შეკავშირების აუცილებლობა; მაგრამ ყოველი ჯგუფი, იქნება ეს ფუტკრების სკა, ფრინველთა გუნდი, ირემთა ჯოგი, თუ მომთაბარეთა ურდო, უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს მშვიდობიან კავშირს, საიდანაც გამოიციხულია ბრძოლის ელემენტები და მის ადგილს იკავებს **სოლიდარობა**, ე. ი. საერთო ინტერესებისა და ურთიერთდამოკიდებულების შეგნება. ადამიანთა ჯგუფების ამ სოლიდარობის ნიადაგზე წარმოიშვება სამართალი, იგი წინ უსწრებს სახელმწიფოს, ჯერ-ჯერობით არაფრით არ განსხვავდება ზნეობისაგან და, უკანასკნელის მსგავსად, ატარებს რელიგიურ ხასიათს, რაც **ანიმიზმის ბატონობის** გამო, იწვევს წარმოდგენას, რომ სამართალი „წინაპართა წმინდა ანდერძია“, იმ დროს როცა სინამდვილეში მისი წყარო სამედიატორო სასამართლოა, უზუცეს ნათესავთა განაჩენია ანდა განაჩეხი, გამოტანილი დამოუკიდებელ კასტად გამოყოფილი მოგვების, გრძნეულების მიერ, — იქნება ეს ციმბირის შამანები, ინდოეთის ბრამინები თუ კელტური ბრეჰონები და დრუიდები.¹

ყველაფერი ეს, კოვალევსკის სიტყვით, უნდა გვახსოვდეს, როდესაც ვაფასებთ როგორც ბუნებითი სამართლის სკოლას, რომელიც ამტკიცებდა, რომ ადამიანს ახასიათებს თანდაყოლილი და უცვლელი სამართლიანობის გრძნობა, ისე ისტორიულ სკოლას, რომელსაც სამართალი გამოყავდა ჩვეულებიდან, ხოლო ეს უკანასკნელი უშუალოდ ხალხის იურიდიულ შეგნებიდან. თუ სამართალი აღმოცენდება პირველ საზოგადოებრივ კავშირებთან ერთად და უპასუხებს სოლიდარობის მოთხოვნას პირველად ვიწრო, შემდეგ კი სულ უფრო და უფრო ფართო ჯგუფებში, იურიდიული იდეების და წარმოდგენების თანდაყოლილობის შესახებ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმ აზრით, რომ ისინი მემკვიდრეობით წინაპართაგან არის გადმოცემული, და არა იმ მნიშვნელობით, რომ ისინი ჩვენი თითქოს ბუნებით არის ჩანერგილი, ანდა, კანტის ენით რომ ვთქვათ, ჩვენი გონების კატეგორიულ იმპერატივს წარმოადგენენ. ისინი რომ ამ იმპერატივს წარმოადგენდნენ, ისტორიულად არ განიცდიდნენ ცვლილებას ადამიანის სოლიდარობის ზრდასთან დაკავშირებით, იმის მიხედვით, თუ რამდენად პრიმიტიული საზოგადოებრივი ჯგუფები ადგილს უთმობენ ტომებისა და ტერიტორიების ფედერაციებს, ხოლო უკანასკნელნი — სახელმწიფოებს. ბევრად უფრო გვიან, როდესაც უნივერსალისტური რელიგიების და საერთაშორისო ვაჭრობის გავლენით, სოლიდარობის სფერო ფართოვდება და უკვე მოიცავს მთელ რიგ ხალხებს და სახელმწიფოებს, ვითომ — თანდაყოლილი („*мнимопрожденные*“) სამართლის და სამართლიანობის ცნებები იცვლებიან ისე რა-

დიკალურად, რომ უცხოელზე ძველი შეხედულების ნაცვლად, რომელიც მის წინააღმდეგ, როგორც მტრის მიმართ, ყველაფერს ნებადართულად ცნობდა, თანდათანობით ვითარდება ახალი წარმოდგენა, რომელიც მას თვლის ხელშეუხებლად სტუმრად. და ბოლოს, ჩვენს შეგნებაში იმავე მიზეზის — გაფართოებული სოლიდარობის — გავლენით იბადება განყენებული წარმოდგენა საერთოდ ადამიანის და მისი განუყრელი უფლებების შესახებ.

ჩვენ განზრახ მოვიტანეთ ეს ადგილი კოვალევსკის შრომიდან იმ მოსახრებით, რომ აქ მკაფიოდ მოჩანს მისი შეხედულება სამართლის წარმოშობაზე, სამართლის შინაარსზე და მის ურთიერთობაზე სახელმწიფოსთან. როგორც ჩანს ზემოდ მოცემულ განმარტებიდან, კოვალევსკი **სამართლის შინაარსს სოლიდარობაში ხედავს**. დამწვიდებულ საზოგადოებრივ ჯგუფში იბადება სამართალი, როგორც გამომსახველი საერთო ინტერესების შეგნებისა. **სოლიდარობა ნიშნავს „ინტერესთა ერთობის და ურთიერთდამოკიდებულების შეგნებას“**. სოლიდარობის შეგნება ფართოვდება, ვითარდება დაწყებული პირველყოფილი საზოგადოებრივი ჯგუფებით და ურთულესი სახელმწიფოებითა და საერთაშორისო კავშირებით გათავებული. სოლიდარობის ცნება, რა თქმა უნდა, კოვალევსკის კუთვნილებას არ წარმოადგენს. იგი წამოყენებული იყო ფრანგი მწერლების დიურკეიმის და დიუგის და კიდევ უფრო ადრე თვით ოგ. კონტის მიერ.

კოვალევსკი სოლიდარობის იდეას უდიდეს მნიშვნელობას მიაწერს. მისი აზრით, სამართალი წარმოიშვება „ადამიანთა ჯგუფების სოლიდარობის ნიშნავზე“ და ამავე დროს იგი ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი ჯგუფები ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ სახელმწიფოს წარმოშობას.² ამგვარად, სამართალი ისტორიულად უფრო ადრე ჩნდება, ვიდრე სახელმწიფო, იგი არაა შეზღუდული სახელმწიფოს ფარგლებით.

კოვალევსკი თავისი კონცეფციის ძირითად დებულებებს ხშირად სხვადასხვა ავტორებისაგან სესხულობს. იგი აღნიშნავს, რომ ტარდმა გამოიკვლია საზოგადოების წინსვლის ფსიქოლოგიური კანონები, რომლებიც მას წარმოდგენილი აქვს **აღმოჩენისა და მიბაძვის** სახით. კოვალევსკი ეთანხმება ტარდს; ყოველ იურიდიულ ინსტიტუტზე, — წერს იგი, — შეიძლება შევამჩნიოთ ერთდროული მოქმედება აღმოჩენის, შეგუებისა და მიბაძვისაო. თვით აღმოჩენა მას მიაჩნია ბედნიერ დასკვნად დაგროვილი ცდისა და დაკვირვების ნიშნავზე, ამიტომ მას აქვს უფრო შეგუების, ვიდრე შემოქმედების ხასიათი.

დადებითი სამართლის განვითარება, კოვალევსკის აზრით, განპირობებულია არა იმით, რომ იგი იმსჭვალება მეტაფიზიკური, ბუნებითი დოგმებით, არამედ კულტურის, ცივილიზაციის ზრდით. მაგრამ ამ ზრდის ცოდნას იძლევა არა მარტო სამართლის ისტორია, არამედ სოციოლოგია, კერძოდ კი — სოციალური დინამიკა. მხოლოდ ის არის მოქმედი სამართლის კრიტერიუმი. სოციალური დინამიკა ყურადღების გარეშე ტოვებს დროებით და ადგილობრივ შემოქმედებებს, რომლებიც აფერხებენ ან აჩქარებენ განვითარების მსგელობას, და იძლევა მხოლოდ პროგრესის ზოგად ფორმულას, ე. ი. არკვევს იმ კანონებს, რომლებიც ხელმძღვანელობას უწყვენ ადამიანის სოლიდარობის

¹ იქვე, გვ. 64.

² იქვე, გვ. 53.

3. საბჭოთა სამართალი № 3.

ზრდას. ამ აბსტრაქტული, თუმცა აღწერითი, მეცნიერების დასკვნებით უნდა იხელმძღვანელონ იმ კონკრეტულმა მეცნიერებებმა, რომლებმაც რელიგიის ისტორიის, მორალისა და სამართლის ისტორიის, ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის, მეცნიერებისა და ხელოვნების ისტორიის სახელწოდებით, გაიყვეს ურთიერთ შორის საზოგადოებრივი ცხოვრების დამოკიდებულებათა დარგი.¹

კოვალევსკის აზრით, ამით უკვე დადგენილია ისტორიულ-შედარებითი იურისპრუდენციის ურთიერთობა სოციოლოგიასთან. სოციოლოგიისაგან პირველმა უნდა მიიღოს სახელმძღვანელო გეზი სამართლის განვითარების სხვადასხვა სტადიების დადგენისას. კოვალევსკის აზრით, უსაფუძვლოა მისი ძებნა როგორც ბუნებითი კანონის ზნეობრივ მეტაფიზიკაში, ისე სამართლის იმ ზოგად თეორიაში, რომელიც თავის ამოცანად მოქმედი კანონმდებლობის ფილოსოფიურ დასაბუთებას ისახავს. სამართლის მეცნიერებას არ შესწევს უნარი ეს კრიტერიუმში თავის თავში აღმოაჩინოს. კოვალევსკის სრულიად თვითნებურად მიაჩნია იმის დაშვება, რომ სამართალი ვითარდება გარეშე გავლენისაგან დამოუკიდებლად. მას მოჰყავს იერინგის აზრი: შედარებითი სამართლის მეცნიერებამ, — ამბობს იერინგი, — უარი უნდა თქვას ნებისმიერი განვითარების ქიმერაზე ისევე, როგორც მისგან უკვე განთავისუფლდნენ ბუნებისმეტყველება და მედიცინა, რომლებიც აქამდე ეძებენ ორგანიზმის ცვლილების წყაროს გარეგან ზემოქმედებაში. სამართალი არ ვითარდება თავის თავიდან. როგორც საზოგადოების მიერ მიღწეული სოლიდარობის ხარისხის ანარეკლი, იგი იცვლება მისი საფუძვლების გაფართოების მიხედვით, იწვევს პირველად ცალკეულ გამოჩენილ პიროვნებებში არსებული ნორმებით, უკმაყოფილებას და ახალ მოთხოვნებს, რომლებსაც მიბაძვას ძალა აქცევს საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნებზე, მასების იურიდიულ შეგნებაზე, ხოლო შემდეგ — ჩვეულებად ან კანონად.²

აქ კარგად მოჩანს კოვალევსკის შეხედულების ეკლექტური შინაარსი. მოტანილ სიტყვებში შეზავებულია სხვადასხვა თეორიებიდან ამოღებული ელემენტები: სოციალური სოლიდარობის ცნება, რომელიც სამართლის საფუძვლად არის აღიარებული, გამოჩენილ პირთა როლი ახალ მოთხოვნათა გამოსახვის, გამოთქმის საქმეში და მიბაძვის მნიშვნელობა ამ ახალ იდეათა გავრცელების დარგში; უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი საფეხური: იდეათა ჩამოყალიბება მოქმედი სამართლის ნორმების სახით (აღათის ან კანონისა).

კოვალევსკი ხშირად ლაპარაკობს ისტორიულ-შედარებითი იურისპრუდენციის შესახებ. როგორ ესმის მას ამ მეცნიერული დარგის შინაარსი? აქვს მას რაიმე დამოუკიდებლობა თუ იგი ემთხვევა სოციოლოგიას ან უფრო ზუსტად იმას, რასაც სამართლის სოციოლოგია ეწოდება?

ამ კითხვაზე კოვალევსკი იძლევა შემდეგ პასუხს. ისტორიულ-შედარებითი იურისპრუდენცია, — წერს იგი, — ისე როგორც სხვა კონკრეტული საზოგადოებრივი მეცნიერება, მაგალითად, ეკონომიური ისტორია, დამოკიდებულია სოციოლოგიაზე, მაგრამ მას აქვს კვლევა-ძიების საკუთარი არე, — იგი მუშაობს მეთოდებით და ხერხებით, რომლებიც საერთოა ყველა აღწერითი მეცნიე-

¹ იქვე, 83. 63.


² იქვე, 88. 69.

რებისათვის, კერძოდ, ყველა კონკრეტულ საზოგადოებრივი მეცნიერებისათვის. სოციოლოგია აძლევს სამართლის ისტორიკოსს მხოლოდ ცოდნას საზოგადოებრიობის იმ თანმიმდევრული სტადიების შესახებ, რომლებშიც იქმნება და ვითარდება იურიდიულ ნორმათა სისტემა, რაც მისი შესწავლის საგანს წარმოადგენს. ხოლო სამართლის შედარებითი ისტორიამ უნდა მოგვცეს პასუხი კითხვაზე — რომელი სამართლებრივი წყობა შეესაბამება საზოგადოებრივი ცხოვრების საგვარეულო სტადიას და რომელი — სახელმწიფოებრივ ან მსოფლიო სტადიას, როგორი შინაგანი კავშირი არსებობს ცალკეულ იურიდიულ ნორმებს შორის თითოეულ აღნიშნულ პერიოდში, რა შეიძლება ჩაითვალოს ამა თუ იმ კანონმდებლობაში წარსულის გადმონაშთად და რა მომავალი განვითარების ჩანასახად, რა კვდება და რა ჩაისახება, რა უნდა იქნას გაუქმებული და რა შევსებული და განვითარებული.¹ რომ დააკმაყოფილოს არა მარტო თეორეტიკოსის, არამედ აგრეთვე პრაქტიკოსის ცნობისმოყვარეობა, სამართლის ისტორია, რასაკვირველია, ვერ შემოიფარგლება ორი ან რამდენიმე იურიდიული სისტემის უბრალო შედარებით მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ეს სისტემები ერთდროულია, ერთმანეთის გვერდით არსებობენ. შედარება მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი, როდესაც აღებულია კანონმდებლობანი ორი ან მეტი ხალხებისა, რომლებიც განვითარების ერთ და იმავე საფეხურზე იმყოფებიან. ამიტომ შეიძლება კელტების, გერმანელების ან სლავების საგვარეულო წესების შედარება რომაულ და ბერძნულთან, თუმცა ეს ხალხები ერთიმეორისაგან საუკუნეებითაა დაშორებული.

მეცნიერული შედარების მიზანს შეადგენს მოცემული მოვლენების საერთო ნიშნის გამოყოფა, იმისათვის, რომ ამ გზით დადგინდეს იქნას მისი ნამდვილი ბუნება, ხოლო ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვადარებთ ერთგვაროვან ინსტიტუტებს. მაგალითად, როდესაც ვადარებთ ერთმანეთს საგვარეულო წყობით მცხოვრებ ხალხების ადათობრივ სამართალს, ჩვენ, კოვალევსკის აზრით, ვპოულობთ შესაძლებლობას გავშალოთ მისი საერთო სურათი და გავარკვიოთ ის შინაგანი კავშირი, რომელიც არსებობს ისეთ ინსტიტუტებს შორის, როგორიცაა, მაგალითად, საგვარეულო სისხლის აღება, ნათესავთა თანაფიცი, საგვარეულო პრემიაცია და საგვარეულო გამოსყიდვა.

კოვალევსკი ეხება საკითხს, თუ რით არის განპირობებული საზოგადოებრივი ინსტიტუტების მსგავსება სხვადასხვა ხალხების ცხოვრებაში. დაწესებულებათა მსგავსება, მისი სიტყვით, განპირობებულია ან იმით, რომ შესაძარბელი ხალხები დგანან საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ერთნაირ საფეხურზე, ანდა იმით, რომ იმყოფებიან რა მიახლოებით ერთ და იმავე, თუ არა იდენტურ, პირობებში, მათ ერთმანეთისაგან ისეხსენ ესა თუ ის იურიდიული ნორმები და წესები. მაგრამ სესხება მხოლოდ მაშინ მიიღებს ორგანულ ხასიათს, როდესაც იგი მთელი წინანდელი განვითარების მსვლელობით იქნება მომზადებული. სხვანაირად მას ადრე თუ გვიან დაეკარგება ნიადაგი, როგორც ეს მოხდა მაიორატის შემთხვევაში, რომელიც დროებით დაწესებული იყო რუსეთში პეტრე დიდის მიერ.

დაწესებულებათა მსგავსებას სხვადასხვა ხალხთა ცხოვრებაში, აღნიშნუ-



ლი ორი ფაქტორის გარდა, კოვალევსკი ხსნის კიდევ იმით, რომ იგი შეიძლება წარმოადგენდეს საერთო წინაპრისაგან მემკვიდრეობით გადმოცემულ ინსტიტუტს.

ამგვარად კოვალევსკი ასახელებს სამ ფაქტორს:

1. სხვადასხვა ხალხთა დაწესებულებების მსგავსების წყარო უფრო ხშირად მათი ცხოვრების კულტურული პირობების ერთობაა. 2. იგი შეიძლება იყოს საერთო წინაპრისაგან მემკვიდრეობის გზით მიღებული გადმონაშთის შედეგი. 3. დაწესებულება შესაძლოა იყოს შეთვისებული პირდაპირი სესხების გზით. თვით ფაქტი უნდა იქნას დადგენილი არა მარტო შედარებით — ლინგვისტიკური ხერხის გზით. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მკვლევარი უნდა მიდიოდეს ამ მსგავსების გამოკვლევის დამოუკიდებელი გზით ჩვენამდე მოღწეული კულტურულ-იურიდიული მასალის შედარების დახმარებით. მან თანაბრად უნდა ისარგებლოს არქეოლოგიის მონაცემებით, შედარებითი ეთნოგრაფიის და ეთნოლოგიის დასკვნებით და ლიტერატურის და დამწერლობის ისტორიული ძეგლებით.¹

კოვალევსკი არ ივიწყებს იმ კავშირს, რომელიც არსებობს ეთნოგრაფიასა და სოციოლოგიას შორის. **სოციოლოგიის ამ ნაწილს იგი უწოდებს სოციალურ ემბრიოლოგიას.** მასალები, რომლებსაც გვაწვდის ეთნოგრაფია საზოგადოებრივი ცხოვრების პირვანდელი ფორმების აღსადგენად, მას მიაჩნია ბევრად უფრო სანდოდ, ვიდრე ის, რასაც იძლევა ლეგენდების შესწავლა ან ძველი ადამიანების კვლევა-ძიება მრავალი გადმონაშთის საფუძველზე. ეთნოგრაფია იკვლევს საზოგადოებრივი ცხოვრების თვით წარმოშობას. თავისთავად ეთნოგრაფიას არ შესწევს ძალა ახსნას კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა სტადიები, მაგრამ მას შეუძლია, კოვალევსკის აზრით, მიაღწიოს ამ მიზანს, თუ იხელმძღვანელებს თავის გამოკვლევებში და შეამოწმებს თავის დასკვნებს არქეოლოგიის, ისტორიის და ახალი მეცნიერების — ფოლკლორისტიკის მონაცემებით; ფოლკლორისტიკამ, კოვალევსკის შეხედულებით, უნდა გაუწიოს სოციოლოგიას ისეთივე სამსახური, როგორც პალეონტოლოგიამ ბიოლოგიას, განსაკუთრებით კი — ემბრიოლოგიას.

ზოგადი სოციოლოგიის გარდა, არსებობს კიდევ **გენეტიკური სოციოლოგია**, რომელიც კოვალევსკის განსაკუთრებით აინტერესებდა და რომელსაც მან მიუძღვნა თავისი „სოციოლოგიის“ მეორე ტომი.² გენეტიკურ სოციოლოგიას იგი განსაზღვრავს როგორც სოციოლოგიის იმ ნაწილს, რომელიც იკვლევს საზოგადოებრივი ცხოვრების და საზოგადოებრივი ინსტიტუტების წარმოშობის საკითხს. ასეთი ინსტიტუტებია: ოჯახი, საკუთრება, რელიგია, სახელმწიფო, ზნეობა და სამართალი.

კოვალევსკი შენიშნავს, რომ თანამედროვე მდგომარეობაში გენეტიკური სოციოლოგიის განკარგულებაშია მხოლოდ ემპირიული კანონები ან მიახლოებითი განზოგადებანი, რომელთაც აქვთ სადავო ხასიათი და რომლებიც ამიტომ საჭიროებენ ჭეშოვნად შესწავლილი ფაქტებით დასაბუთებას.³

როგორც ცნობილია, ეთნოგრაფიული მასალა დიდი მოცულობით მოი-

¹ იქვე, გვ. 80.

² М. Ковалевский, Социология, т. II, Генетическая социология, 1910.

³ იქვე, გვ. 1.

პოვება სამართლის დარგში, რის გამოც ბუნებრივია ის ინტერესი და ყურადღება, რომლითაც ეთნოგრაფია სარგებლობს სამართლის ისტორიკოსთა შორის. სამართლის ინსტიტუტების აღმოცენება, მათი განვითარების პირველი სტადიები, მათი თავისებურება და სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან ურთიერთობა — ეთნოგრაფიის მასალები შუქს ფენენ ყველა ამ საკითხს და აქედან გასაგებია ის მეტად დიდი მნიშვნელობა, რომელიც ამ მეცნიერებას ენიჭება სამართლის ისტორიის თვალსაზრისით. ეთნოგრაფიის სპეციფიკურ, დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის, რომ იგი აფართოებს ისტორიული ფაქტების კვლევა-ძიების არეს, — მას ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს სხვადასხვა ისტორიული ხალხების შორეულ წარსულს, რომელიც დევს ისტორიის ფარგლებს გარეთ. მაშასადამე, ეთნოგრაფია გვამარაგებს ისეთი მასალით, რომელიც წმინდა ისტორიული მეთოდისათვის მიუწვდომელია.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ მ. კოვალევსკის შეხედულებანი სოციოლოგიის დარგში. სოციოლოგია მას მიაჩნია ისეთ მეცნიერებად, რომელიც შეისწავლის ყოველმხრივად საზოგადოებრივ მოვლენებს და ადგენს საზოგადოებრივი თანაარსებობისა და განვითარების კანონებს იმ მასალების საფუძველზე, რომელსაც მას აწვდიან სპეციალური სოციალური დისციპლინები. კოვალევსკის აზრით, სამართლის ისტორიამ უნდა იხელმძღვანელოს ისტორიულ-შედარებითი მეთოდით და უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე, თუ რომელი სამართლებრივი წესები შეესაბამება საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა სტადიებს (საგვარეულო წყობას და სხვ.). სოციოლოგია კი აძლევს სამართლის ისტორიკოსს ცოდნას საზოგადოებრივი ცხოვრების თანმიმდევრული სტადიების შესახებ. სამართლის ისტორიკოსს აქვს კვლევა-ძიების დამოუკიდებელი სფერო.

კოვალევსკის წარმოდგენა სოციოლოგიისა და სამართლის ისტორიის ურთიერთობის შესახებ მაინც გაურკვეველია. გარდა ამისა, ბუნებრივად იბადება კითხვა — სამართლის ისტორია, კოვალევსკის გაგებით, ხომ არაა ის მეცნიერული დარგი, რომელსაც სამართლის სოციოლოგიას უწოდებენ?

კოვალევსკი იზიარებს იმ კონცეფციას, რომელიც სამართლის შინაარსს **სოლიდარობის** პრინციპში ხედავს. სოლიდარობის პრინციპზე სამართლის აგების ცდებს სხვა ბურჟუაზიულ სოციოლოგთა შრომებშიც ვხვდებით. მაგრამ ეს შეხედულება სრულიად არ უწევს ანგარიშს ისტორიულ ფაქტებს, მისთვის საზოგადოება წარმოადგენს ერთ მთლიანობას, საერთო ინტერესებით შეკავშირებულს, იმ დროს როცა სინამდვილეში ისტორია მუდმივი ბრძოლის ასპარეზია, სადაც ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფები, წოდებები, კლასები ცდილობენ დაიკვან თავისი ინტერესები. სამართალი სოლიდარობას არ გამოხატავს, იგი, პირიქით, ბრძოლის პროცესშია წარმოშობილი და სწორედ ამ ბრძოლის ამსახველია.

კოვალევსკის აზრით, **სამართალი, როგორც სოლიდარობის გამოხატულება, ყოველ საზოგადოებრივ ჯგუფში არსებობს**, იგი, მაშასადამე, უფრო ძველია, ვიდრე სახელმწიფო და ამასთან არაა აუცილებლად დაკავშირებული.

კოვალევსკი, როგორც ჩანს ზემოთ მოცემული განმარტებიდან, ძირითად საკითხებში ეწინააღმდეგება მარქსიზმის თეორიას. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა კოვალევსკის შემდეგი განცხადება. როგორც არ უნდა იყოს, — წერს იგი, იმ დაწესებულებების ხასიათი, რომლის წარმოშობასაც ჩვენ შევისწავლით, —

იქნება ეს საკუთრება, კასტები, წოდებები, ტომის მეთაურის ან ხალხის ბელადების ხელისუფლება — ჩვენ მუდმივ ვხედავთ, რომ ფსიქოლოგიური ფაქტორი ასრულებს ხან უბირატეს, ხან კი მეორეხარისხოვან როლს. ამგვარად, — განაგრძობს იგი, — შედარებითი ეთნოგრაფიის მომავალი და ის სამსახური, რომელსაც მისგან მოელის სოციოლოგია, დამოკიდებულია იმაზე, იტყვის თუ არა იგი უარს მისწრაფებაზე ყველა მის მიერ გადასაწყვეტი ამოცანები დაიყვანოს განტოლებაზე ერთი უცნობით, რასაც წარმოების წესი წარმოადგენს.¹

ჩვენ დავკმაყოფილდით კოვალევსკის შეხედულებათა მოკლე დახასიათებით. მ. კოვალევსკი მრავალმხრივი მწერალია, მაგრამ ვინც დაკვირვებით გაეცნობა მის შრომებს, ადვილად შეამჩნევს, რომ მთავარი გეზი მისი თეორიული მოღვაწეობისა უნდა ვეძიოთ სოციოლოგიურ მიზანდასახულობაში. ესაა მთავარი იდეა, რომელიც აერთიანებს მის ნაწერებს. კოვალევსკი იყო იურისტი და ბუნებრივია, რომ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამართლის დარგს, შეეცადა ამ დარგში გამოეყენებია კვლევა-ძიების სოციოლოგიური მეთოდი, გამოერკვია სოციოლოგიისა და სამართლის მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულება.

როგორც ჩანს ზემოთ მოცემული დახასიათებიდან, მ. კოვალევსკის შეხედულებანი თავის შინაარსით საერთოდ ანარეკლია იმ თეორიებისა, რომლებიც მის ხანაში გავრცელებული იყო სათანადო ბურჟუაზიულ ლიტერატურაში; ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მას მნიშვნელოვანი თავისებური ელემენტი შეაქვს სოციოლოგიური პრობლემების შესწავლისა და გადაწყვეტის საქმეში.

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

ავტოავარიის საქმეთა გამოძიების პრაქტიკისათვის

მ. ხმალაძე,

ქ. თბილისის პროკურატორის მოადგილე

სისხლის სამართლის დანაშაულობათა შორის მეტად გავრცელებულია ავტომანქანების მოძრაობის წესების დარღვევით გამოწვეული ავარიები, რის შედეგად ხშირია ადამიანთა მსხვერპლი და სხეულის დასახიჩრებანი.

გამორკვევამ ცხადყო, რომ ავარიები მეტწილად გამოწვეულია მანქანის მძღოლთა სიმთვრალით, მოძრაობის წესების დარღვევით, კერძოდ, ავტომანქანის გადაჭარბებული სიჩქარით ტარების შედეგად. მის თავიდან ასაცილებლად კი არასაკმარისი ღონისძიებები ტარდება.

ავტოტრანსპორტის ავარიის საქმეთა გამოძიება მეტად სპეციფიკური ხასიათისაა და საჭიროებს თავისებური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებას. ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიება თბილისში პირველად იწყება ქალაქის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომკვლევო განყოფილებაში. სადაც ავარიის საქმეებზე მუშაობს მომკვლევთა სპეციალური ჯგუფი.

ამ კატეგორიის საქმეები მოითხოვენ სწრაფ და ეფექტიან გამოძიებას ავარიის მომენტიდანვე, რადგან დამნაშავენი მაშინვე ახერხებენ მიმალვას, ჩადენილი დანაშაულის კვალის დაფარვას და საქმე გაუხსნელი რჩება, დამნაშავე კი — დაუსჯელი.


ავარიის შემთხვევის ადგილის სწრაფ და დეტალურ დათვალიერებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფრო მეტად მაშინ, როცა მანქანა ცნობილი არ არის და მისი ნომერიც კი ზუსტად არავის დაუმახსოვრებია. შესაძლოა ადგილზე

დარჩა მანქანის ან მძღოლის ისეთი კვალი, რომლითაც ადვილი შესაძლებელია მანქანის და დამნაშავეს მიგნება.

ზოგჯერ გარეშე მოქალაქეები შემთხვევის დროს იმახსოვრებენ მანქანის ფერს, მარკას და ნომრის ნაწილს. ამ ნიშნებს თუ დაემთხვა დანაშაულის ადგილზე ნახული კვალი, რაც საეჭვო მანქანისათვის დამახასიათებელია, ან მანქანაზე აღმოჩენილია რაიმე ნიშანი აღბეჭდილი დანაშაულის შედეგად, ამით დანაშაულის გახსნა ადვილი ხდება. ყოველივე ამას კი სწრაფად და დაკვირვებით უნდა შესრულება, რადგან დამნაშავენი ახერხებენ მანქანაზე აღბეჭდილი კვალის წაშლას და მანქანის პირველად მდგომარეობაში აღდგენას.

საილუსტრაციოდ მოვიყვან მომკვლევის ისეთი ოპერატიული ინიციატივის რამდენიმე მაგალითს, რამაც შესაძლებელი გახადა დანაშაულის დროული გახსნა და დამნაშავეს აღმოჩენა.

1961 წლის 17 იანვარს საღამოთი ავტოსადგომის გზაზე მიმავალი სატვირთო მანქანა № — 44-79, რომელსაც მართავდა მძღოლი შ. ი. ბერაძე, ავითარებდა გადაჭარბებულ სიჩქარეს, რის გამოც ტრამვაის. გაჩერებასთან ვერ უზრუნველყო დამუხრუჭება, მანქანა ავარდა ტროტუარზე და მთელი ძალით დაეჯახა ხის ელექტრობოძს. დაჯახებით ბოძი გადაიმტვრა ძირში, დაეცა მანქანის ძარას და უკანა გვერდის ფიცარი ჩამოამტვრია. ბოძზე დაჯახების შემდეგ მანქანამ გადათელა ტროტუარზე მდგომი სამი მოქალაქე,



რომელთაგან ორი მძიმედ დაზიანდა, მესამე კი ადგილზევე გარდაიცვალა. მძლოლი მანქანით მიიმალა. ვერავინ მოასწრო მანქანის ნომრის ჩაწერა.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა ავარიის მორიგე და საგამომკვლევო განკოფილების ოპერაწმუნებული ნ. დარახველიძე. ადგილობრივი დათვალიერებისას ნახული იქნა მანქანის ძარის ფიცრის ნატეხები. სხვა კვალი ადგილზე არ ყოფილა. მოწმეები ადასტურებდნენ მხოლოდ მომხდარ ფაქტს და ასახელებდნენ მანქანის სახეობას. სხვა მონაცემები არავის არ გააჩნდა.

ოპერაწმუნებული ნ. დარახველიძე მაშინვე შეუდგა მოკვლევას. იმავე დღეს შემოწმებული იქნა შემთხვევის ადგილის ახლომახლო და მანქანის მიმავალი მიმართულებით მდებარე ავტოსატრანსპორტო კანტორები და მანქანის სადგომები. ერთ-ერთი ავტოსატრანსპორტო კანტორის ეზოში ნახეს სატვირთო მანქანა № — 44-79, რომლის მძლოლი იქვე იდგა ნასვამ მდგომარეობაში. იგი აღმოჩნდა შ. ი. ბერაძე. მასზე ეჭვი შეიტანეს და იქვე დააკავეს.

მანქანის დათვალიერებით გაირკვა, რომ მას ჩამომტვრეული ქონდა ძარის უკანა გვერდის ფიცარი. შეადარეს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ფიცრის ნამტვრევები. იგი ზუსტად დაემთხვა ძარის ფიცარს და შეავსო კიდევ მომტვრეული ფიცრის ადგილი.

შემდეგში ექსპერტმა კატეგორიულად დაადასტურა, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ფიცრის ნამტვრევები ეკუთვნის აღნიშნული მანქანის ძარის უკანა მხარის ფიცარს.

მანქანის წინა მხარეს აღიბეჭდებოდა ელექტრობოძზე დაჯახების ნიშნება. ყველაფერი ნათელი იყო. მიუხედავად ამისა მძლოლმა მაინც უარყო მის მიერ ჩადენილი დანაშაული და განაცხადა, რომ მანქანა სხვაგან დაზიანდა, ვითომცდა კედელზე მიჯახებით. მაგრამ მტკი-

ცებები უტყუარი იყო. მას სასამართლომ ათი წლით პატიმრობა მიუსჯა.

1961 წლის 17 მაისს საღამოს, დაახლოებით 21 საათზე, 5 დეკემბრის ქუჩაზე მოქ. ი. ტალაღევს დაეჯახა „პობედის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანა, რის შედეგადაც ი. ტალაღევი გარდაიცვალა. მძლოლი მანქანით მიიმალა.

საქმეზე მოკვლევა დაიწყო ოპერაწმუნებულმა ნ. დარახველიძემ. ავარიის შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი იქნა მანქანის წინა ფარის მინის ნამტვრევები. მინის (მუშის) ნამტვრევებზე აღინიშნებოდა მომწვანო საღებავის თხელი ფენა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ მანქანა, რომლითაც მოხდა საგზაო შემთხვევა, შეღებილი უნდა ყოფილიყო აღნიშნულ ფერზე.

შემთხვევის ადგილზე მყოფთაგან ზუსტად ვერავინ დაიმახსოვრა მანქანის ნომერი, ასახელებდნენ ნომრის ზოგიერთ ციფრს და იმასაც, რომ მანქანა იყო „პობედის“ მარკის. დასახელებულ ციფრების მიხედვით იმავე დამეს სწრაფად დაიწყო შემოწმება მსგავსი ციფრების მქონე ნომრის „პობედის“ მარკის მანქანებისა, მაგრამ ყველა მანქანის შემოწმება საჭირო აღარ გახდა, რადგან ორი-სამი მანქანის შემოწმების შემდეგ მიგნებული იქნა მანქანა № — 96-77, რომელსაც ჩაწყლელი ჰქონდა წინა მარჯვენა ფრთა და ჩამტვრეული ფარის მინა. მანქანის ძრავა ჯერ კიდევ თბილი იყო. ფარის ღრუში აღმოჩენილი იქნა მინის ნამტვრევები, რომელიც სავსებით შეედარა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ მინის ნამტვრევებს. დაემთხვა სხვა მონაცემებიც. ექსპერტმა დაადასტურა, როგორც მინის, ისე საღებავის იგივეობა. მანქანა აღმოჩნდა მოქ. ტ. სააკოვის. მძლოლი გაკვირვებული დარჩა ასე სწრაფად მიგნებით და აღიარა კიდევ დანაშაული.

გასული წლის ნოემბრის თვეში სოფელ ლილოსაკენ მიმავალ გზაზე აღმოჩენილ იქნა 9 წლის ბავშვის გვამი,

რომელსაც თავზე გადავლილი ჰქონდა მანქანის ბორბალი. გზაზე აღინიშნებოდა მანქანის ოთხი წყვილი საბურავის კვალი. ემჩნეოდა, რომ მანქანაზე მობმული უნდა ყოფილიყო ოთხი წყვილი საბურავიანი ტრალერი. მონაცემებს იმ დასკვნამდე მივყავდით, რომ ბავშვის თავზე გადავლილი უნდა ყოფილიყო მანქანაზე მობმული ტრალერის მარჯვენა მხრის უკანა საბურავი.

ამ ნიშნებით დაიწყო მოკვლევა ოპერატორების მიერ დადგინდა, რომ მანქანის მქონე მანქანები. აღმოჩნდა, რომ იქვე ახლოს ბეტონის ქარხანაში ყოფილა მანქანა ტრალერით, რომელსაც იმ ხანებში წაუღია საამშენებლო მასალა. ჩქარა მონახული იქნა აღნიშნული მანქანა და წინასწარ ჩანაფიქრი გამართლდა. სისხლისა და ტვინის კვალი ტრალერის უკანა საბურავზე იყო აღბეჭდილი.

აღნიშნული საგზაო უბედური შემთხვევა ისე მომხდარა, რომ მანქანის მძღოლს არც კი გაუგია რაიმე მომხდარი შემთხვევისა და ამიტომ არც შეეცადა კვლის დაფარვას. ტრალერის საბურავზე აღბეჭდილი კვალი სრულიად ხელუხლებელი იყო.

1961 წლის 9 იანვარს დამით, ოქტომბრის ქუჩაზე, ავტომანქანა დაეჯახა მოქ. ს. წიკლაურს და იგი მძიმედ დააზიანა. მანქანა მიიძალა. საგზაო შემთხვევის დამსწრე მოწმეებმა დაასახელეს მანქანის მხოლოდ მარჯა („მოსკვიჩი“) და ფერს.

საქმე მოკვლევისათვის გადაეცა უფროს ოპერატორს მ. გორდელაძეს, რომელმაც დაკითხა მოწმეები. ერთ-ერთმა მოწმემ განაცხადა, რომ შემთხვევის მომენტში იქ მყოფმა უცნობმა ბავშვმა რაღაც მიაწერა კედელზე.

ს. გორდელაძემ განმეორებით დაათ-

ვალეგრა შემთხვევის ადგილი და შენობის კედლები. ერთ კედელზე ნახა დაწერილი ციფრი „22 29“. ამის მიხედვით შეამოწმა ავტონისპექციაში „მოსკვიჩის“ ნომრები, მაგრამ № 22—29 „მოსკვიჩი“ არ აღმოჩნდა.

ამის შემდეგ მომკვლევმა კერძო დავალებები გაგზავნა აზერბაიჯანის და სომხეთის სსრ მილიციის ორგანოებში. სომხეთის სსრ მილიციის სამმართველოდან მიღებული იქნა ცნობა, რომ დასახლებული ნომრისა და ფერის მოსკვიჩი ეკუთვნოდა სომხეთის სსრ ებიტაკის რაიონში მცხოვრებ სენიკ მაცაყის-ძე პეტროსიანს. მანქანას აღმოაჩნდა დაზიანებაც, რაც მიღებული ჰქონდა დაჯახების შედეგად. მანქანის პატრონმა აღიარა დანაშაული.

1961 წლის 31 მაისს ავჭალის გზატკეცილზე ავტომწვევი მანქანა, რომელსაც მართავდა მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ზაურ შავლოხოვი, დაეჯახა მოქალაქე ლ. გაგნიძეს, რომელიც იქვე გარდაიცვალა. მანქანის ნომრის დამასოვრება ვერავინ მოასწრო. საქმე მოკვლევისათვის მიენდო უფროს ოპერატორს მ. გორდელაძეს, რომელიც მაშინვე შეუდგა გამოძიებას. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული იქნა მანქანის ფარის მინის ნამტვრევები. დაკითხულმა მოწმეებმა დაასახელეს მხოლოდ მანქანის სახეობა—ყოფილა ავტომწვევი მანქანა.

ს. გორდელაძემ იმავე დღეს შეამოწმა ყველა ავტომწვევი მანქანები და ჩქარა მიაგნო კიდევ კვალს. ავტომწვევი, რომელსაც ფარის მინა ქონდა ჩამტვრეული, აღმოჩნდა № 2 სააღმშენებლო ტრესტისა გრა 88—44. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მინის ნამტვრევებიც დაემთხვა აღნიშნული მანქანის დაზიანებული ფარის მინას. მძღოლმა ზ. შავლოხოვმა აღიარა დანაშაული.

1961 წლის 12 ივნისს პუშკინის ქუჩაზე მოქალაქე ნ. ი. უსენკოვას, რომ-



მელიც გადადიოდა ქუჩის მარცხენა მხრიდან მარჯვენა მხარეს, მოულოდნელად დაეჯახა მოტოციკლეტი. ნ. უსენკოვამ მიიღო მძიმე დაზიანება (ვადაუტყდა მკლავი). მოტოციკლეტი მიიმალა. ნომრის ჩაწერა ვერავინ მოასწრო. კვალის მიგნების არავითარი მონაცემები არ არსებობდა.

საქმეზე მოკვლევას მაშინვე შეუდგა ოპერაწმუნებული ვ. ქირია, რომელმაც სასწრაფოდ ტელეფონით ქ. თბილისის მილიციის ყველა განყოფილების რაიონებს მისცა დავალება, რომ ქუჩებში შეემოწმებინათ გამგლევი მოტოციკლეტები, აგრეთვე ეცნობებინათ ხომ არ ყავდათ საეჭვოდ ვინმე დაკავებული. ვ. ქირიამ სასწრაფოდ მიიღო ცნობა მილიციის პირველი მაისის რაი. განყოფილებიდან, რომ ეჭვით დაკავებულია უნომრო მოტოციკლეტი, რომელსაც მართავდა ვინმე ვ. სამხარაძე. დაკავების მომენტში იგი ავითარებდა დიდ სისწრაფეს.

ვ. ქირიამ აღნიშნული მოტოციკლე-

ტის მძლოლი მაშინვე გადაიყვანა მილიციის სამმართველოში და მოხერხებული, კარგად გააზრებული დაკითხვით დამნაშავე გამოტყნა დანაშაულში. გამოძიებით ისიც გამოირკვა, რომ აღნიშნულ მძლოს არ ქონდა მმართვეის უფლება, მას ქონდა პირველად სხვა საგზაო შემთხვევა და ამ მიზეზით გადაჭარბებული სისწრაფით მიყავდა მოტოციკლეტი პუშკინის ქუჩაზე, სადაც მოახდინა მეორე, შედარებით მძიმე და სერიოზული ავარია.

არის სწრაფი, ოპერტიული და დაკვირვებული გამოძიების სხვა მაგალითებიც, რის შედეგადაც ადვილად იქნა მიღწეული დანაშაულის გახსნა და დამნაშავის აღმოჩენა. მაგრამ ჯერ კიდევ გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ზომების არადროულად მიღებისა და არასრულყოფილად გამოძიების გამო საგზაო შემთხვევის მეტად სერიოზული დანაშაული დღესაც გაუხსნელია.

ბრალდებულისათვის დასჯის უფლების უპროპორციული ზომიერადი საქმის შესახებ

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბრალდებულის დაცვის უფლებას. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 21-ე მუხლში და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 42-ე მუხლში ჩამოთვლილია ყველა ის უფლებები, რაც მინიჭებული აქვს ბრალდებულს, როგორც წინასწარი გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში განხილვისას, მათ შორის აღნიშნულია დაცვის უფლებაც.

დაცვის უფლების განხორციელებას

დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის ობიექტური ჭეშმარიტების გამოსარკვევად. ზოგ შემთხვევაში ბრალდებული მოკლებულია საშუალებას თავისი განათლებით ან გამოცდილებით, ანდა იმიტომაც, რომ აღმკვეთ ზომად არჩეული აქვს პატიმრობა და ვერ დაუყენებია გამოძიებლის ან სასამართლოს წინაშე ისეთი შუამდგომლობა, რასაც საქმისათვის მნიშვნელობა აქვს.

სწორედ ამიტომაც ჩვენი ახალი საპროცესო კანონმდებლობით დაშვებული წინასწარი გამოძიების დროსაც დამცველის მონაწილეობის უფლება.

როგორც ცნობილია, ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა გააფართოვა ბრალდებულთა დაცვის უფლებები. 43-ე მუხლის შესაბამისად წინასწარი გამოძიების დროსაც დაიშვება ადვოკატი, მათ შორის, ბრალდების წაყენების მომენტიდან ისეთ საქმეებზე, სადაც გადიან არასრულწლოვანები ან პირები, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლიანთ თვითონ განახორციელონ დაცვის უფლება. დანარჩენ შემთხვევაში კი ადვოკატი დაიშვება წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ.

ზოგჯერ ყურადღება არ ექცევა სსსკ 44 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის მოთხოვნებს. ზოგიერთი სახალხო გამოძიებელი და მოსამართლე ჯერ კიდევ არ იცავს მათ, რის გამოც ადგილი აქვს ამ მოტივებით განაჩენების გაუქმებას, თანახმად სსსკ 355 მუხლის მე-4 პუნქტისა.

სსსკ 44-ე მუხლის მე-3 პუნქტში ნათქვამია, რომ „ისეთ დანაშაულის საქმეზე, რომლებზეც სასჯელის ზომად შეიძლება გამოყენებულ იქნას სიკვდილით დასჯა“, აუცილებელია პირი, როგორც წინასწარი, ისე სამსჯავრო განხილვის დროს უზრუნველყოფილი იყოს დამცველით.

ასევე აუცილებელია დამცველით უზრუნველყოფა, „როდესაც სამართალში მიცემულთა დაცვის ინტერესებს შორის არსებობს წინააღმდეგობა, თუ ერთ მათგანს მაინც ჰყავს დამცველი“ (იგივე მუხლის მე-4 პუნქტი).

ასეთი კატეგორიის საქმეები პრაქტიკაში ბევრი გვხვდება. განსაკუთრებით რთულ სამეურნეო ან სხვა სახის ჯგუფურ საქმეებში, მაგრამ მიუხედავად კანონის კატეგორიული მოთხოვნისა, ხშირად ირღვევა ეს მეტად მნიშვნელოვანი საპროცესო ნორმა.

იგივე მუხლის ბოლო ნაწილი სავალდებულოდ ხდის, რომ თუ ბრალდებულს, ან სამართალში მიცემულს, ან და

მის დავალებით სხვა პირს არ მოუწევია დამცველი, სასამართლო ან საქმის გამომძიებელი ვალდებული არიან თვითონ მოიწვიონ დამცველი და მიაღებინონ მონაწილეობა საქმეში.


იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო საქმეს იხილავს და თანახმად სსსკ 44 მუხლისა აუცილებელია ადვოკატის მონაწილეობა საქმეში, სასამართლო ვალდებულია სათანადო წერილობით მოთხოვნით გამოიწვიოს იურიდიული კონსულტაციიდან ადვოკატი და გააცნოს ის საქმე, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს დამცველმა, ხოლო ადვოკატმა კი უნდა წარადგინოს სათანადო ორდერი, რის შემდეგაც მას ეძლევა უფლება მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში.

თუ სამართალში მიცემული უარს იტყვის ადვოკატის აყვანაზე, მაშინ სსსკ 45 მუხლის ზუსტად დაცვით სასამართლო სათანადო განჩინებით ათავისუფლებს ადვოკატს სხდომაში მონაწილეობისაგან.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები საქმეში მონაწილეობას ავალებს სამსჯავრო სხდომის დარბაზში შემთხვევით მყოფ ადვოკატს, რაც ყოველად დაუშვებელია. ასევე დაუშვებელია ისეთი პრაქტიკა, როდესაც ადვოკატის მოწვევის გარეშე სამართალში მიცემულს ჩამოართმევენ ხელწერილს თითქოს და მას არა სურს დამცველის აყვანა. ასეთი მოქმედება არის ზეგავლენის მოხდენა სამართალში მიცემულზე სასამართლოს მხრიდან და იწვევს მისი დაცვის უფლების დარღვევას.

კიდევ უფრო მოუწესრიგებელია ეს საკითხი წინასწარი გამოძიების პროცესში.

სასამართლოების წარმოებაში მყოფი საქმეებიდან ირკვევა, რომ სახალხო გამოძიებლები, როგორც წესი, ეკითხებიან ბრალდებულს სურს თუ არა მას ადვოკატის აყვანა და, თუ ბრალდებულ-



მა უარი განაცხადა ადვოკატის აყვანის სურვილზე, ამით გამოძიებელი თავის მოვალეობას დასრულებულად სთვლის.

ასეთი მოქმედება უსწოროა და ეწინააღმდეგება სსსკ 44 მუხლის მოთხოვნას. აღნიშნული მუხლის მოთხოვნა ისევე სავალდებულოა გამომძიებლისათვის, როგორც მოსამართლისათვის.

თუ გამომძიებლის წარმოებაშია ისეთი საქმე, რომელზედაც აუცილებელია ადვოკატის მონაწილეობა სსსკ 44 მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლის საფუძველზე გამომძიებელი ვალდებულია თვითონ უზრუნველყოს ადვოკატის რეალური მონაწილეობა საქმეში იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა ან მისმა ახლობლებმა ვერ შესძლეს ამა თუ იმ გარემოებათა გამო ადვოკატის აყვანა.

იმ შემთხვევაში, თუ გამომძიებელი თავის ინიციატივით გამოიწვევს ადვოკატს სათანადო იურიდიული კონსულტაციიდან, საქმეში უნდა იყოს სათანადო მიმართვა, რის საფუძველზედაც იურიდიულ კონსულტაციას მიეცემა საფუძველი ორდერის გამოწერის და ადვოკატის გამოყოფისა.

გამომძიებელი წარუდგენს რა ბრალდებულს ადვოკატს, უნდა განუმარტოს, რომ ადვოკატი მოწვეულია თვით გამომძიებლის ინიციატივით და ამის შემდეგ უნდა შეეკითხოს სურს თუ არა მისი აყვანა. აი, ეს არის გამომძიებლის მიერ ბრალდებულის რეალურად დაცვით უზრუნველყოფა.

თუ ბრალდებული უარს იტყვის ასეთ შემთხვევაშიც ადვოკატის აყვანაზე, მაშინ უნდა გაფორმდეს სათანადო ოქმი, თვით ბრალდებულის და ადვოკატის ხელის მოწერით, რაც დაერთება საქმეს, ხოლო ადვოკატი კი განთავისუფლდება საქმეში მონაწილეობის მიღებიდან.

იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება დაცული წინასწარი გამომძიებლის მიერ სსსკ

44 მუხლის მოთხოვნები, სასამართლოში გამწესრიგებელ სხდომაზე არ უნდა მიიღოს საქმე თავის წარმოებაში და იგი უნდა დაუბრუნოს პროკურატურას სათანადო განხილებით დამატებითი გამომძიების ჩასატარებლად.

არის შემთხვევები, როდესაც გამომძიებლის ინიციატივით მიწვეული ადვოკატები (ეგ. წ. „სახაზინო“ დამცველები) ზერელედ ეკიდებიან საქმის შესწავლას, არ ახორციელებენ თავიანთ უფლება-მოვალეობას სსსკ 46 მუხლის შესაბამისად და მხოლოდ ფორმალურად იხდიან მოვალეობას, არ აყენებენ სათანადო შუამდგომლობებს გამომძიებლის წინაშე, ხოლო გამომძიებლები ურიგდებიან ამ გარემოებას და უფრო მეტიც, სასარგებლოდაც კი მიაჩნიათ, რადგან საგამომძიებლო ვადები არ დაერთვებათ.

ასეთი მოქმედება საზიანოა როგორც ბრალდებულისათვის, ისე თვით გამომძიებლისათვისაც, რადგან ის ხარვეზი რომლის გამოძიებასაც შეიძლებოდა თვით გამომძიებლის დროს და უფრო ადვილი შესავსებიც იყო, თავს იჩენს ხშირ შემთხვევაში საქმის სასამართლოში განხილვისას, რის გამოც ხდება საქმის დამატებით გამომძიებაში დაბრუნება, საქმეთა განხილვის ვადების უხეში დარღვევა, გაჭიანურება და ხან კი უფრო ცუდი შედეგიც.

როგორც გამომძიებისას, ისე საქმის სასამართლოში განხილვის დროს საჭიროა ზუსტად იქნას დაცული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები, რაც გამომძიების ხარისხის, საქმეთა გამომძიების და განხილვის ვადების დაცვისა და განაჩენების სტაბილობის საწინდარია.

ი. პოპაშვილი,

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.



კვლევითი მუშაობის და კვლევითი მსახურის ენივნილება

ავტორტექნიკური ექსპერტიზა, როგორც სასამართლო ექსპერტიზის ერთ-ერთი სახე დიდ დახმარებას უწევს სასამართლო-პროკურატურის ორგანოებს, ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მიერ სსრ კავშირის ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად გამოწვეული დანაშაულის განხაზი.

ავტორტექნიკური ექსპერტი, რომელიც საქმეს იხილავს, არ შეიძლება მარტო საგამომძიებლო მასალით დაკმაყოფილდეს, რადგან ავტოსაგზაო შემთხვევა დამოკიდებულია ფიზიკის, თეორიული მექანიკის, მასალათა გამძლეობის, ავტომობილების თეორიის, აგრეთვე ფსიქოლოგიის ძირითად კანონებზე და გარემოს შემქნელ პირობებზე.

ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების შესწავლა ავტორტექნიკურ ექსპერტს შესაძლებლობას აძლევს მათემატიკური მსჯელობით, მეცნიერულად დაასაბუთოს ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის რა წესები აქვთ დარღვეული ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ტრანსპორტის მძღოლებსა და სხვა პირებს.

ავტოსაგზაო შემთხვევები შეიძლება იყოს გამოწვეული სხვადასხვა მიზეზებით:

1. მძღოლების მიერ ავტომანქანების მართვის წესების დარღვევა, რის შედეგად ხდება მანქანების დეტალების, ან მექანიზმების ცვეთა-გატეხვა, რაც თავის მხრივ იწვევს მოცურებას, გადაბრუნებას ან მართვის საშუალებათა დაკარგვას.
2. ქუჩაში და გზებზე მოძრაობის წესების დარღვევა, როგორც მძღოლების, ისე ქვეითად მოსიარულეთა მხრივ.
3. მძღოლების შრომისუნარიანობის შემცირება გამოწვეული გადაღლილობის ან სხვა გარეშე მიზეზების შედეგად

(ხანგრძლივი მოძრაობით, დიდი სიჩქარის დროს, ალკოჰოლური სასმელების მიღება და სხვა).

4. მძღოლის სიფხიზლის შემცირება და უყურადღებობა, რაც გამოწვეულია მისი უღლისციკლინობით.

5. სხვა მძღოლების ან ქვეითად მოსიარულეთა მიერ მოძრაობის წესების ისეთი დარღვევა, როდესაც თავიანთი მოქმედებით ქმნიან ავარიულ მდგომარეობას და ხშირად მძღოლებს აყენებენ გამოუვალ მდგომარეობაში.

6. ავტომანქანების ტექნიკური მდგომარეობა, გზის არაკეთილმოწყობა და ტექნიკური უწყისეობანი.

7. მოძრაობის არასწორი ორგანიზაცია.

შემთხვევის დროს დადგენილი უნდა იქნას ადგილმდებარეობისა და შემთხვევის ხასიათი, სად და რა პირობებში მოხდა შემთხვევა.

მოძრაობის უშიშროება ბევრად არცა დამოკიდებული მძღოლის პროფესიულობაზე, მის მორალურ მდგომარეობაზე. მძღოლის მუშაობა რთულია, რადგან ის ხარჯავს რა ფიზიკურ ენერგიას, ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობის შედეგად იმყოფება დაძაბულ მდგომარეობაში.

მძღოლი მართავს რა საქვს, ვალდებულია მუდმივად აფასებდეს გზისა და გარემოს პირობებს და ირჩევდეს მასთან შეფარდებული მოძრაობის რეჟიმი.

გზის პირობები შედეგა ბევრი სხვადასხვა ცვალებადი ფაქტორებისაგან, ამ ფაქტორთა ერთობლიობა ავტომანქანის მოძრაობის დროს გამუდმებით იცვლება. ეს აძლევს მძღოლებს იმყოფებოდეს მუდმივად ფხიზელ და სწრაფი რეაქციისათვის მზადყოფნის მდგომარეობაში.

სპეციალურ ლიტერატურაში მოყვა-

ნილია ზუსტი ცნობები მძღოლის რეაქციის დროზე და ანგარიშისათვის მიღებულია 0,8 წამი. ხოლო თუ რეაქცია აღმატება 2 წამს, ასეთი აღმანიანი არ შეიძლება იყვნენ მოყვარულნი და მითუმეტეს პროფესიული მძღოლები.

მძღოლის მიერ ავტომანქანის სიჩქარის სწორად შერჩევა მჭიდრო კავშირშია მოძრაობის უსაფრთხოებასთან.

შემთხვევათა დიდი რაოდენობა გამოწვეულია საგზაო პირობებთან, მოძრაობის სიჩქარეთა შეუფარდებლობის გამო. საგზაო შემთხვევები უმეტესად ხდება მაშინ, როცა მძღოლი დასახლებულ პუნქტებში და მოსახვევებში შედის. ამ მდგომარეობის შეუფასებლობისა და ხშირად მძღოლების თვით იმედოვნების გამო შერჩეულ სიჩქარეებს აღარ აკონტროლებენ რაც ხშირად ავარიით მთავრდება.

სიჩქარის გამოთვლისათვის საჭირო მონაცემების უქონლობის დროს საგამომიხებლო ორგანოები ეყრდნობიან შემთხვევის მნახველთა ჩვენებებს, რაც არასწორია, ვინაიდან მნახველებს დაკვირვებით არ შეუძლიათ სიჩქარის ზუსტად განსაზღვრა.

მოძრაობის უსაფრთხოების მეორე პერიოდს ეკუთვნის ავტომობილების სამუხრუჭო მანძილი, ე. ი. მანძილი, რომელსაც გაივლის ავტომობილი დამუხრუჭების მომენტიდან მის სრულ გაჩერებამდე. მისი სიდიდე დამოკიდებულია ავტომობილის მოძრაობის სიჩქარეზე.

ავტომობილის მიერ გავლილ მანძილს იმ მომენტიდან, როდესაც მძღოლმა შეამჩნია საშიშროება (წინააღმდეგობა) მის სრულ გაჩერებამდე უსაფრთხოების მანძილი ეწოდება.

ავტომანქანის გაჩერებაზე დიდი გავლენას ახდენს გზის ფენილის სახეობანი და მისი მდგომარეობა, მოძრაობის სიჩქარე მისი დამუხრუჭების წინ, სამუხრუჭოსისისტემის კონსტრუქციული და

ტექნიკური მდგომარეობა, ძარაზე ტვირთის განაწილება, საბურავებისა და მისაბმელების სახეობანი და სხვა.

ავტოტექნიკური ექსპერტიზის ერთ-ერთი რთული საკითხია ავტომობილის სიჩქარის დადგენა შემთხვევის მომენტიში. უნდა დადგინდეს რამდენად სწორად ქონდა შერჩეული მძღოლს სიჩქარე საგზაო პირობების მიხედვით და შეეძლო თუ არა მომხდარი უბედური შემთხვევის თავიდან აცილება მის მიერ შერჩეული სიჩქარის დროს. ასევე შეიძლება დადგინდეს შემთხვევის დროს მოძრაობის უსაფრთხოების — დასაშვები სიჩქარეც.

ექსპერტს შეუძლია დაადგინოს, თუ მოძრაობის რა წესები დაარღვია მძღოლმა და შემთხვევაში მონაწილე ქვეითად მოსიარულემ, გამოიყენა თუ არა მძღოლმა ავტომანქანის მართვის ყველა საშუალება და მომხდარი საგზაო შემთხვევა ხომ არ არის დაკავშირებული მძღოლის ქმედობა-უმოქმედობაზე.

ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების დროს ავტოექსპერტი ძირითადად ეყრდნობა საგზაო შემთხვევის სქემას, საგზაო შემთხვევის ოქმსა და ტრანსპორტის დათვალიერების ოქმს. ეს სამი ძირითადი საბუთია საჭირო ექსპერტიზის დასკვნისათვის.

გამომძიებელი როდესაც თავის წარმოებაში ღებულობს საქმეს მოკვლევის ორგანოებიდან, ვალდებულია მოითხოვოს საგზაო შემთხვევის სქემა, გაფორმებული მასშტაბში, ადგილმდებარეობისა და შემთხვევაში მონაწილე ავტომანქანების ფოტოილუსტრაცია.

ავტონსპექტორი საგზაო შემთხვევის სქემის შედგენის დროს ვალდებულია აღნიშნოს გარემო შექმნილი პირობები და როგორ მოძრაობდა ავტომანქანა; რა მანძილით იყო დაცილებული ქვაფენილიდან და როგორ მდგომარეობაში იყო ავარიის შემდეგ; მძღოლმა თუ იმოქმედა მუხრუჭებით, რამდენი მეტრი

დატოვა სამუხრუჭო კვალი ოთხივე თვლებით, მარტო უკანა თვლებით, თუ მარტო წინა თვლებით. შეიძლება სამუხრუჭო კვალი დატოვოს მარტო ცალი თვლით. ყველა შემთხვევაში უნდა დავაღლებულოთ ინსპექტორები, რომ მათ აღმოაჩინონ ავტომანქანის სამუხრუჭო კვალი და დაადგინონ იგი. დაგვიანების შემთხვევაში ამ მონაცემების დადგენა შეუძლებელი ხდება.

გამოძიება ვალდებულია ასევე დაადგინოს ქვეითად მოსიარულემ რამდენი მეტრი გაიარა ქვაფენილიდან დაჯახების ადგილამდე და როგორი სისწრაფით (ნელი, დინჯი, აჩქარებული ნაბიჯით, თუ გარბოდა) დაჯახების შემდეგ რამდენ მეტრში გაჩერდა ავტომობილი შემთხვევის ადგილიდან, რამდენ მეტრზე გადაადგო ქვეითად მოსიარულე, შემთხვევის მომენტში მოძრაობდა თუ არა სხვა სახის ტრანსპორტი.

სქემაში აუცილებლად მოცემული უნდა იქნას გზის სიგანე ყველა საგზაო სიგნალების მითითებით.

საგზაო შემთხვევის ოქმით და სქემით უნდა გაირკვეს საგზაო გამაფრთხილებელი სიგნალები რა მანძილით არის დაშორებული შემთხვევის ადგილიდან, არის თუ არა რაიმე მაჩვენებლები, როგორც „სდექ“, „ავტობუსის, ტრამვაიტროლებუსების“ გაჩერება, გადასასვლელი და სხვა. უნდა მოხდეს გზის ფენილის აღწერა ამინდის და დროის ჩვენებით. მითითებული უნდა იქნას ასფალტის მდგომარეობა, გატალახიანებული იყო, თუ გადარეცხილი. რამდენი მეტრია მხედველობის არე; ღამით კი როგორია ქუჩის განათებულობა; თუ არის რაიმე ორმოები შემთხვევის ადგილზე და როგორი ზომისა; თუ შემთხვევა ხდება დაღმართში, რამდენი გრადუსია დაღმართი, მოსახვევში, რამდენი მეტრია მოხვევის რადიუსი და სხვა.

სქემაში ხშირად უჩვენებენ ხიდს, მაგრამ არ აწარმოებენ მის აღწერილობას.

ექსპერტიზის ჩატარებისათვის კი საჭიროა ვიცოდეთ როგორია ხიდის პროფილი (ამობურცულია თუ სწორი) რამდენია სიგრძე და სიგანე. შემთხვევის ადგილიდან მძღოლს რა მანძილზე შეეძლო დაენახა ქვეითად მოსიარულე და რა ზომით ხიდის მოპირდაპირე მხარეზე.

საქმის მასალებში საგზაო შემთხვევის ადგილმდებარეობისა და გარემო პირობების ზუსტი ცნობები ექსპერტს საშუალებას აძლევს განსაზღვროს სხვადასხვა საჭირო კოეფიციენტები ტექნიკური ანგარიშისათვის.

შემთხვევის ადგილმდებარეობის ექსპერტი ეცნობა საგზაო შემთხვევის დათვლიერების ოქმიდან, საგზაო შემთხვევის სქემიდან და საგზაო შემთხვევაში მონაწილე ტრანსპორტის დათვლიერების ოქმიდან.


ამ დოკუმენტებში ზუსტად უნდა იყოს მითითებული ქვეითად მოსიარულეზე დაჯახების და მისი გადაადგების მანძილი, ან ავტოტრანსპორტების შეჯახების ადგილი, მათი განლაგების ადგილი და მანძილი.

თუ ზუსტად ვერ დადგინდება დაჯახების ადგილი იგი შეიძლება მიახლოებით აღდგენილი იქნას მინების ნამსხვრევების, ტალახის ნაწილაკების მდგომარეობით.

ავტოტრანსპორტის მოძრაობის დროს გზის სავალი ნაწილის ფენილზე შეიძლება დარჩეს კვალები: საბურთავების პროტექტორის, სამუხრუჭო კვალი, ბუქსირების, ავტომანქანის მეტალის ნაწილებით გაფხაჭვნის კვალები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ექსპერტიზის ჩატარებისას აქვს სამუხრუჭო კვალს, რადგან ამ კვლით განისაზღვრება ავტომანქანის სიჩქარე დამუხრუჭების წინ.

ამ კვალის სიგრძე იზომება სამუხრუჭო კვალის დატოვების საწყისიდან უკანა თვლებამდე. თუ გვხვდება წყვეტილი



სამუხრუჭო კვალი, მაშინ გაიზომება ყველა ცალკეული სამუხრუჭო მონაკვეთების სიგრძე და მათ შორის თავისუფალი მანძილი.

თუ სამუხრუჭო კვალი გადადის გზის ერთ ფენილიდან მეორეზე უნდა გაიზომოს მათი სიგრძე ცალცალკე (მაგ. გზის გვერდულზე). თუ დამუხრუჭება მიმდინარეობს არა ყველა თვლებით, მაშინ იზომება სამუხრუჭო მანძილი ამ თვლების ჩვენებით.

როცა ავტოტრანსპორტის ურთიერთ შეჯახება ხდება, უნდა განისაზღვროს მოძრაობის მიმართულება დაჯახების მომენტში და დაჯახების კუთხე. ამ კუთხის დადგენა შეიძლება შემთხვევის ადგილზე ავარიამი მონაწილე ტრანსპორტის პროტექტორების კვლით.

ქვეითად მოსიარულეზე დაჯახების შემთხვევაში უნდა განისაზღვროს მძღოლის მხედველობის არეში განვლილ მანძილზე დახარჯული დრო, რისთვისაც ექსპერტს ესაჭიროება შემდეგი მონაცემები:

ა) რამდენი მეტრი გაიარა ქვეითად მოსიარულემ მძღოლის მხედველობის არეში გზის ნაპირიდან დაჯახების ადგილამდე.

ბ) ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის დახასიათებისას ყურადღება უნდა მიექცეს მოძრაობის მიმართულებასა და სიჩქარეს (ნელი, დინჯი, ჩქარი ნაბიჯებით, თუ სირბილით). ასევე რამდენი იყვნენ, როგორ პირობებში მოძრაობდნენ და ხელში რა ეკავათ.

გ) მძღოლის მოსიარულემ გზის სავალი ნაწილი გადაჭრა თუ არა ირიბად (მაშინ განვლილი მანძილი იზომება ირიბად).

დ) მძღოლის მხედველობის არე შემუდღული ხომ არ იყო სხვა სახის ტრანსპორტის დგომით ან მოძრაობით.

იმის დასადგენად, თუ როდის გამოჩნდა ქვეითად მოსიარულემ მძღოლის მხე-

დველობის არეში, რა მანძილით იყო მოშორებული ავტომანქანა დაჯახების ადგილიდან, — საჭიროა შემდეგი მონაცემები:

მძღოლის მხედველობის არის შემუდღული საგნის წინ რამდენი მეტრით გადაჭრა გზა ქვეითად მოსიარულემ, როგორი იყო გვერდითი ინტერვალი ავტომანქანასა და შემუდღული არის საგანს შორის და ა. შ.

მხედველობის არე განისაზღვრება მეტრებით და აღინიშნება ავტოსაგზაო შემთხვევის სათანადო საბუთებში, სადაც მოცემული უნდა იყოს, როგორც საერთო მხედველობის არე, ასევე კონკრეტული საგნის არსებობის დროს, რომელიც მიზეზი გახდა ავტოსაგზაო შემთხვევისა.

ავტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის ანალიზით ექსპერტი ახდენს იმ უწყესიერობის შესწავლას, რომელიც შეიძლება გახდეს ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი. ეს უწყესიერობანი შეიძლება იყოს: სამუხრუჭო, საჭის მართვის და განათების სისტემებში, საბურავების გაცვეთილობა და სხვ. ავტოტრანსპორტის ტექნიკურ მდგომარეობას ექსპერტი საზღვრავს ტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების ოქმის საფუძველზე, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში ავტომანქანების პირადი დათვალიერების საფუძველზე.

საბურავების გზასთან ჩაჭიდების კოეფიციენტის განსაზღვრისათვის და ავტომანქანის ტექნიკურად მზადყოფნის მდგომარეობის დადგენისათვის დათვალიერების ოქმში აუცილებელია შეტანილ იქნეს მუხრუჭების და საჭის მექანიზმის ტექნიკური მდგომარეობა და საბურავების ცვეთის ხარისხი.

ავტოავარიაში მონაწილე ტრანსპორტის დაზიანებათა აღწერის დროს უნდა იყოს მითითებული დეფორმაციის სახე და მიმართულება, რაც ექსპერტს საშუ-

ალებას მისცემს განსაზღვროს რომელია ავტომანქანამ მოახდინა დაჯახება.

მძლოლის ქმედობა-უმოქმედობისა და ქუჩიებსა და გზებზე მოძრაობის წესების დარღვევის განსაზღვრისათვის საჭიროა საქმეში მოიპოვებოდეს მასალები, რომლებიც მიუთითებენ გზაჯვარედინთა სახეობაზე და გამაფრთხილებელი ნიშნების არსებობაზე.

გზაჯვარედინთა არსებობის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს გზაჯვარედინებზე გადაკვეთი გზების სიგანეებს, ტროტუართა და ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელების არსებობას; გზაჯვარედინთა დახასიათება რეგულირდება. თუ არა და რომელი ითვლება მთავარ გზად.

რა დარღვევა აქვთ მძლოლებს ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის დროს—განსაზღვრავს საგზაო გამაფრთხილებელი ნიშნების არსებობა ავტოსაგზაო შემთხვევის ზონაში.

ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში მოცემული უნდა იქნეს საქმის მოკლე შინაარსი, ფაქტები და მონაცემები, რაც გამოძიებელს დადგენილად მიაჩნია.

ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპერტის წინაშე საკითხების დასმას. ხშირ შემთხვევაში ექსპერტისათვის გაუგებარია კონკრეტულად რა საკითხის გადაჭრა აინტერესებს გამოძიებებს და სვამენ ისეთ საკითხებს, რომლის გადაწყვეტა არ შედის ექსპერტის კომპეტენციაში.

იმ მიზნით, რომ დახმარება გაუწიოს საგამომძიებლო დარგის მუშაკებს მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავსვათ ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის დროს სანიმუშო კითხვები, რომელიც საორიენტაციოდ ექნებათ მათ ასეთი სახის ექსპერტიზის დანიშვნის დროს:

1. რა სიჩქარით მოძრაობდა ავტო-

მანქანა დამუხრუჭების დაწყების მომენტში, თუ დამუხრუჭებით დატოვა 20,8 მეტრი სწორი და 24,2 მეტრი გვერდცდენის კვალი 90° შემობრუნებით?

2. რა სიჩქარით მოძრაობდა ავტომანქანა დამუხრუჭების წინ, თუ დამუხრუჭებით დატოვა 10 მეტრი კვალი დაჯახების მომენტში?

3. კატასტროფის შედეგად მიღებული მღვამარეობით და ავტომანქანებზე მიყენებული დეფორმაციის სახით განისაზღვროს რომელი ავტომანქანა დაეჯახა, თუ დაჯახების შედეგად ერთი ავტომანქანა შემობრუნდა 180° , ხოლო მეორე ავტომანქანა დარჩა ადგილზე და გადაბრუნდა მარჯვნივ?

4. ტექნიკური თვალსაზრისით შეეძლო თუ არა დამჯახებელ ავტომანქანას უბედური შემთხვევის თავიდან აცილება და რა საშუალებით?

5. ავტომანქანის მძლოლებს სსრ კავშირის ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის რა წესები აქვს დარღვეული და რაში გამოიხატება ისინი, არის თუ არა ეს დარღვევა მიზეზობრივ კავშირში მომხდარ შედეგთან?

6. იყო თუ არა ავტომანქანა ტექნიკურად გამართული შემთხვევის დროს. თუ მუხრუჭები სრულყოფილად იჭერდენ მეორე დაწოლის შემდეგ?

7. იყო თუ არა ავტომანქანა ტექნიკურად გამართული შემთხვევის მომენტში, თუ საჭის ლუფტი იყო 35° ? და ა. შ.

ასეთი კითხვების დასმის შემდეგ ავტოტექნიკურ ექსპერტს საშუალება ეძლევა მოკლე დროში მისცეს კატეგორიული დასკვნა.

6. ბანდაქი,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის ავტოტექნიკური ექსპერტი-ინჟინერი.

კანონის სფერო განმარტებისთვის!

ბ. ფურცხვანიძის წერილი „დანაშაუ-
ლი პიროვნების სიცოცხლის წინააღმ-
დეგ ახალი კოდექსის მიხედვით“,¹
პრაქტიკოს იურისტთა ყურადღების
ცენტრში მოექცა. იგი მიეძღვნა ახალი
სისხლის სამართლის კანონის განმარ-
ტებას, რაც უთუოდ მისასალმებელია,
რადგან საქართველოს სსრ კანონმდებ-
ლობის კომენტარების უქონლობა იყო
და რჩება მეტად საჩუქნარო ფაქტად
და ამ მხრივ ქართველი სწავლული იუ-
რისტები დიდ ვალში არიან.

განსაკუთრებული ინტერესი კი ბ.
ფურცხვანიძის ამ წერილისადმი იმითაა
გამოწვეული, რომ იგი იძლევა საქარ-
თველოს სსრ სისხლის სამართლის კო-
დექსის 104 მუხლის მეცხრე პუნქტის
ისეთ განმარტებას, რომელიც ჩვენი
აზრით მცდარია.

ბ. ფურცხვანიძე წერს: „ყოველი სა-
ხის განზრახი მკვლელობა, რა მოტივი-
თაც, რა პირობებშიც არ უნდა იყოს
ჩადენილი განსაკუთრებით საშიშ რე-
ციდივისტს მიერ, ყოველთვის ჩაითვ-
ლება დამამძიმებელ გარემოებაში ჩა-
დენილ მკვლელობად და დაკვალიფი-
ცირდება კოდექსის 104-ე მუხლის მე-
ცხრე პუნქტით“.

და შემდეგ: „ასევე დაკვალიფიცირ-
დება ყოველი სახის განზრახი მკვლელო-
ბა იმ პირის მიერ, ვისაც აღრე ჰქონდა
ჩადენილი განზრახი მკვლელობა გარდა
106 და 107 მუხლებით გათვალისწინე-
ბულ მკვლელობისა“.²

ბ. ფურცხვანიძის დასახელებუ-
ლი წერილიდან მოყვანილი ციტატები
ცხადყოფს, რომ ავტორის შეხედულებ-

ებით, განსაკუთრებით საშიშ რეციდი-
ვისტს შეიძლება დაენიშნოს სასჯელის
უმკაცრესი ღონისძიება — თვით დახვ-
რეტაც კი, თუ იგი ჩაიდენს განზრახ
მკვლელობას დამოუკიდებლად მისი ხა-
სიათისა — ე. ი. მაშინაც კი, თუ ეს
განზრახი მკვლელობა ჩადენილია „უე-
ცარი ძლიერი სულიერი აღელვების
დროს, რომელიც გამოწვეულია დამნა-
შავის ან მისი ახლობლების მიმართ და-
ზარალებულის მიერ უკანონო ძალადო-
ბით ან მძიმე შეურაცხყოფით“, ან კი-
დეგ აუცილებელი მოგერიების ფარგ-
ლების გადაცილების დროს. ეს მაშინ,
როცა ასეთ შემთხვევებზე გარემოე-
ბებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის-
თვის სხვა მოქალაქეებს გამასწორებელი
სამუშაოებიც კი შეიძლება დაენიშნოს.

გამომდინარეობს თუ არა ჩვენი სისხ-
ლის სამართლის კანონმდებლობიდან
პასუხისმგებლობის ასეთი რადიკალუ-
რად განსხვავებული მიდგომის დამ-
კება?

ჩვენს ქვეყანაში, სისხლის სამართ-
ლის მეცნიერების განვითარების დღე-
ვანდელ დონეზე წარმოუდგენლად უნ-
და მივიჩნიოთ სისხლის სამართლის კა-
ნონის ისეთი კონსტრუქცია, რომლითაც
მოქალაქეს — თუნდაც განსაკუთრებით
საშიშ რეციდივისტს, ბრალის შემამ-
სუბუქებელ გარემოებად არ შეერაც-
ხოს განზრახ მკვლელობა დაზარალებუ-
ლისა უკანონო ძალადობის ან მძიმე
შეურაცხყოფის გამო გამოწვეული
ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარ-
ეობაში, ან იმ პირობებში, როცა გან-
ზრახი მკვლელობა გამოწვეული იყო

1) ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, № 5,
2) იქვე გვ. 37-38.

აუცილებელ მოგერიების ფარგლების გადაცილებით არამართლზომიერი ხელყოფის მოგერიების დროს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ კანონმდებელს არც მოუცია სისხლის სამართლის კანონის ასეთი კონსტრუქცია და ამიტომ ბ. ფურცხვანიძის შემოადინებული დასკვნა მართებული არ უნდა იყოს.

ამ საკითხზე კომენტატორებს უკვე აქვთ გამოთქმული თავიანთი მოსაზრებანი. დავასახელებთ ა. სახაროვსა და ნ. ზაგოროდნიკოვს. ეს უკანასკნელი ასკვნის, რა რომ შემამსუბუქებელ პირობებში ჩადენილი განზრახვი მკვლელობა განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტსაც არ შეიძლება შეერაცხოს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად, წერს: „ასეთ დასკვნამდე ჩვენ იმ დებულებას მივყავართ, რომ მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას და მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში, თუმცა განზრახვი მკვლელობაა, მაგრამ მისი განსაკუთრებული ნიშნები მიუთითებენ მნიშვნელოვნად ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებაზე მაშინაც კი, როცა ეს დანაშაული განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტის მიერაა ჩადენილი და იგი არ შეიძლება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობად იქნას მიჩნეული“.¹

ამ ავტორის მოსაზრება განზრახვი მკვლელობის განმეორებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, ჩვენი აზრით, დასაბუთებულია.

„ჩვენ მიგვაჩნია, — წერს იგი, რომ განზრახვი მკვლელობა ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას, ან დაზარალებულის მიერ ჩადენილი არამართლზომიერი ყოფაქცევით გამოწვეულ ძლიერი სულიერი


მღელვარების მდგომარეობაში, არ წარმოქმნის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობის შემადგენლობას, კიდევ რომ ეს მკვლელობა განმეორებით იყოს ჩადენილი“.²

ამ დებულების ნათელსაყოფად ავტორს მოყავს მოსაზრებანი, რომელთა აზრიც იმაში მდგომარეობს, რომ ისეთი განზრახვი მკვლელობანი, როგორცაა: აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ან ძლიერი უცარი სულიერი მღელვარების მდგომარეობაში ჩადენილი, კანონით ისეთი ნიშნებითაა დახასიათებული, რაც მოწმობს, რომ დამანაშავე არ ფიქრობდა ჩადენა ასეთი დანაშაული და იგი ჩადინა მეტწილად თვით დაზარალებულის არამართლზომიერი საქციელის გამო. ამიტომ, ამ დანაშაულის განმეორებას არ შეუძლია შეცვალოს მისი საერთო შინაარსი.

ეს განმარტებანი, როგორც ვხედავთ, დიამეტრალურად განსხვავდება ბ. ფურცხვანიძის განმარტებისაგან და ამასთან, ჩვენი აზრით, იგი სავესებით შეესაბამება საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 104 მუხლის მეცხრე პუნქტს. ამ მხრივ, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესატყვის 102 მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104 მუხლს შორის ის განსხვავებაა, რომ ჩვენ კოდექსში განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი და პირი, ვისაც ადრე ჰქონდა ჩადენილი განზრახვი მკვლელობა, გაერთიანებულია ერთ-მეცხრე პუნქტში, ხოლო რსფსრ სს კოდექსში დანაშაულის ეს სუბიექტები ცალ-ცალკე პუნქტებშია მოცემული და თან განმარტება: „104 და 105 მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობის გარდა“ რსფსრ კოდექსში არა აქვს იმ პუნქტს, რომე-

¹ Н. И. Загородников, „Преступления против жизни по Советскому уголовному праву“, Москва, 1961 г. гл. 148.

² იქვე, გვ. 146.



ლიც განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტს შეეხება. მიუხედავად ამისა, გაუგებრობას არ ქონია ადგილი და განმარტებულ იქნა, რომ ეს უკანასკნელიც პასუხისმგებლობის თვალსაზრისით ისეთივე პირობებშია, როგორშიც პირი, ვისაც ადრე ჩაუდენია განზრახი მკვლელობა. განმარტებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი შეიძლება იყოს ის პირიც, ვისაც მკვლელობა არასოდეს ჩაუდენია.

შეუძლებელია მოქალაქეს, ვინც არ უნდა იყოს იგი, აეკრძალოს ჩავარდეს აფექტის მდგომარეობაში, ვთქვათ უკანონო ძალადობის გამო. ამიტომ, შემამსუბუქებელ ვარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენისათვის კანონით მინიჭებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი პირობებით ყველა მოქალაქემ უნდა ისარგებლოს. საყოველთაოდ აღიარებულ ამ პრინციპზე ზოგი მოქალაქის მიმართ უარის თქმა, შორს არ არის იმის დაშვებისაგან, რომ დამამძიმებელ ვარემოებებში მკვლელობისათვის პასუხი მოეთხოვოს პირს, რომელმაც მოძალადეთა არამართლობიერი ქცევის შედეგად, აფექტის დროს, განზრახ მოკლა, ვთქვათ, ორი კაცი. ორი ან მეტი პირის მკვლელობა ხომ განზრახ მკვლელობის მაკვალიფიცირებელი ვარემოებაა? სწორედ ამის შესახებ სწერს ამხ. ა. სახაროვი: „სასამართლო პრაქტიკაში შეიძლება იყოს მკვლელობის ისეთი შემთხვევა, რომელიც ერთდროულად შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი ვარემოებებით ხასიათდება (მაგალითად, მკვლელობა ძლიერი სულიერი მღელვარების მდგომარეობაში, რაც ჩადენილია განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ; ან მკვლელობა ორი ადამიანისა აუცილებელი

მოგერიების ფარგლების გადაცილებით და ა. შ.). უნდა მივიჩნიოთ, რომ რსფსრ სსკ 104 და 105 მუხლებში აღნიშნულ ვარემოებათა არსებობისას, დამნაშაღის მოქმედება კვალიფიცირებულ უნდა იქნას, სახელდობრ, ამ მუხლებით დამოუკიდებლად სხვა, რომელიც არ უნდა იყოს დამატებით ვარემოებებისაგან“¹.

პრაქტიკოსს მუშაკებს კანონის ყოველმხრივი განმარტება სჭირდებათ და როცა რომელიმე საინტერესო მოსაზრება ბოლომდე არ არის მიყვანილი, ისინი რა თქმა უნდა კმაყოფილი არ რჩებიან. ამხ. ბ. ფურცხვანიძე სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ „განმეორებით განზრახი მკვლელობის ჩადენა ყოველთვის დამამძიმებელი ვარემოებაა, იმისდამოუხედავად დამნაშაღემ ადრე ჩადენილ მკვლელობისათვის მოიხადა თუ არა სასჯელი“. აქვს თუ არა მნიშვნელობა ამ შემთხვევაში ზანდაზმულობას ან ნასამართლობის მოხსნას, ამაზე სამწუხაროდ ავტორი არაფერს ამბობს, ეს კი მეტად საინტერესო საკითხია და თან არც ისეთი, რომელიც თავისთავად იგულისხმება.

ზემოდასახელებული ავტორი, ამხ. ნ. ი. ზაგოროდნიკოვი, ამ საკითხს დადებითად წყვეტს და ასკვნის, რომ პირველი მკვლელობიდან სისხლის სამართლის დევნის ვადების გასვლა, ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლობის მოხსნა ფაშორიცხავს ახალი დანაშაულის კვალიფიკაციას რსფსრ სს კოდექსის 102 მუხლით მკვლელობის განმეორების ნიშნის მიხედვით.²

სწორია ეს შეხედულება? აუცილებელია უფრო სიფრთხილით მოვექცეთ მოქმედი კანონმდებლობის კომენტარებს.

ადვოკატი ბ. ბ. ლეშავა.

¹ А. Сахаров. УК РСФСР об охране жизни, здоровья и достоинства личности“, Советская Юстиция“, № 2, 1961 г. рз. 4.

² იქვე, 83-147.

სპეციალისტის როლი სისხლის სამართლის პროცესში

ვიდრე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი იქნებოდა ნორმა სპეციალისტის მოწვევის შესაძლებლობის შესახებ, ბევრი საბჭოთა კრიმინალისტი გამოთქვამდა აზრს, რომ სპეციალისტის დაშვება სისხლის სამართლის პროცესში გამოიწვევდა ექსპერტა როლის უგულველყოფას.

ამჟამად ეს საკითხი კანონმდებლის მხრივ დადებითად იქნა გადაწყვეტილი. სპეციალისტის მოწვევის საკითხი გამოძიების პროცესში პირდაპირ რეგლამენტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 179 მუხლით, სადაც ნათქვამია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც გამოძიებელი აწარმოებს ადგილის დათვალიერებას, ანდა ცალკე ობიექტების გაზომვას, ფოტოგრაფირებას, ადგენს გეგმებს და სქემებს, ამზადებს კვალის ტვიჯარს და ანაბეჭდებს, ასეთ შემთხვევებში გამოძიებელს შეუძლია შიიწვიოს სპეციალისტი. მაშასადამე, სპეციალისტის მოწვევის საკითხი მინდობილი აქვს გამოძიებელს და მას თავის შეხედულებით შეუძლია გადაწყვიტოს ეს საკითხი. სპეციალისტის როლი სისხლის სამართლის პროცესში გაცილებით ვიწრო და სპეციფიურია ვიდრე ექსპერტისა. ვეცნობით რა სპეციალისტის როლს სისხლის სამართლის პროცესში იბადება კითხვა: შესაძლებელია თუ არა დანიშნოს ექსპერტად პიროვნება, რომელიც გამოძიებლის მიერ მოწვეული იყო, როგორც სპეციალისტი? აღნიშნული სა-

კითხის შესახებ პროფესორმა ა. ი. ვინბერგმა დადებითად უპასუხა¹.

ჩვენი აზრით პროფესორი ა. ი. ვინბერგის ეს მოსაზრება აშკარად მცდარია, რადგან პიროვნება, რომელიც სპეციალისტის მოვალეობას ასრულებდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს, ექცევა გამოძიების ერთგვარ გავლენის ქვეშ, და მას უმუშავდება აზრი იმ კონკრეტულ სპეციალურ საკითხზე, რომლის გასარკვევადაც გამოძიებელმა ის მოიწვია. ამდენად არ არის გამორიცხული, რომ ექსპერტი, რომელიც ადრე სპეციალისტად იყო მიწვეული, მისცემს ისეთ საექსპერტო დასკვნას, რაც მის მიერვე უკვე რეკომენდებული იყო, როგორც სპეციალისტის მოსაზრებანი.


ჩვენის აზრით ექსპერტად მოწვეული უნდა იყოს პიროვნება, რომელიც არაფრით დაინტერესებული არ არის და მას წინასწარვე შემუშავებული არა აქვს ამა თუ იმ საკითხზე თავისი მოსაზრება და საექსპერტო დასკვნას არ შეუფარდებს გამოძიების იმ ვერსიებს, რომელსაც გამოძიებელი წინასწარვე ვარაუდობდა. ასეთ პირობებში მიცემული დასკვნა უფრო დამაჯერებელი და სრულყოფილი იქნება.

ექვს იწვევს პროფესორ ა. ი. ვინბერგის მეორე მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ თითქოსდა გამოძიებლის მიერ სპეციალისტის მოწვევა მაშინ იყოს აუცილებელი, როდესაც არ არის აუცილებლობა ექსპერტიზის დანიშვნისა.²

რა თქმა უნდა ყოველივე ეს დასაშვებია, მაგრამ საეჭვოა სწორედ იმის

¹ ჟურნალი Социалистическая законность, 1961 г. № 9, стр. 32, 33.

² ჟურნალი Социалистическая законность, № 9, стр. 30.



მტკიცება, რომ თითქოსდა სპეციალისტის მოწვევა აუცილებლობას წარმოადგენდეს მხოლოდ ისეთ საქმეებზე, როდესაც ექსპერტიზის ჩატარება არ არის აუცილებელი.

საგამომძიებლო და სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც სპეციალისტის მონაწილეობა აუცილებლობას წარმოადგენს მაშინაც კი, როდესაც ექსპერტიზა უნდა იქნეს ჩატარებული. სპეციალისტის მონაწილეობა ექსპერტიზის დანიშნამდე იმითაც არის გამოწვეული, რომ ზოგ შემთხვევაში გამომძიებელი არ არის გარკვეული იმ დარგის სპეციფიურ თვისებებზე, რომელშიც ექსპერტს მოუხდება მუშაობა. ასეთ პირობებში სპეციალისტის დახმარებით გამომძიებელი წინასწარვე შეადგენს კითხვარს, რაც ექსპერტის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სპეციალისტის მოწვევის საკითხი მხოლოდ ერთ შემთხვევაშია რეგლამენტირებული, კერძოდ კი დათვალიერების დროს (იხ. სსკ 179 მუხლი). მაგრამ, ამავე კოდექსის 181 მუხლი გამომძიებელს უფლებას აძლევს მოიწვიოს ექიმი, როდესაც საქმე ეხება ბრალდებულის, ექვმიტანილის, მოწმის ან დაზარალებულის ტანზე დანაშაულის კვალის განსაკუთრებული ნიშნების არსებობის დადგენას, მაგრამ ყველა ეს შემთხვევა ჩამოთვლილი შემთხვევები არ ამოწურავს საქმეთა იმ წრეს, რომლის დროსაც სპეციალისტის მონაწილეობა აუცილებელია. ამიტომ ისმის კითხვა, შესალებელია თუ არა გამომძიებელმა მოიწვიოს სპეციალისტი ძველ გარემოებათა დადგენის დროს, რაც სისხლის სამართლის პროცესში მითითებული არ არის?

ჩვენი კანონმდებლობის ერთ-ერთ ძი-

რითად პრინციპს წარმოადგენს ის, რომ საქმეთა გამომძიების დროს დადგენილი იქნეს ობიექტური ჭეშმარიტება, რისთვისაც გამომძიებელი გულდასმით უნდა გაერკვეს და შეისწავლოს საქმისათვის ყველა მნიშვნელოვანი გარემოება, ამიტომ თუ კი გამომძიებელი არკვევს სახელმწიფო თანხების მითვისების ხერხს და საშუალებებს და გამოძიებას წარმართავს, რათა არა მარტო გამოძიებულ იქნეს ყველა დამნაშავე პირი, არამედ გამოავლინოს ხელშემწყობი პირობებიც, რომლებმაც ხელი შეუწყო ბოროტმომქმედს, რათა შემდგომ ჩატარდეს პროფილაქტიკური ღონისძიებანი, ასეთ შემთხვევებში გამომძიებელს დიდ დახმარებას გაუწევს სპეციალისტი ბუხჰალტერი, ინჟინერი და ასე შემდგომ.

გამომძიებელი, რომელიც საჭიროებს სპეციალისტის დახმარებას, ძალიან დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდოს სპეციალისტის პიროვნების შერჩევის საკითხს, რადგან სპეციალისტი არასწორი კონსულტაციისათვის პასუხს არ აგებს, ვინაიდან კანონით მათი უფლება-მოვალეობანი რეგლამენტირებული არ არის. სპეციალისტი, როგორც წესი, არ იძლევა წერილობით დასკვნას. ყოველივე ის, რაც სპეციალისტის რჩევა-დარიგებით გარკვეული იქნება პროცესუალურად ფორმდება, როგორც გამომძიებლის მიერ უშუალოდ შესრულებული. თუ კი გამომძიებელი, — წერს პროფესორი ა. ი. ვინბერგი — ანაბეჭდის ახალგადად მოიწვევს ცუდ სპეციალისტს, რომელიც აიღებს არამნიშვნელოვნად შესამჩნევ ანაბეჭდს, ეს მხოლოდ გამომძიებლის ბრალი იქნება და არავითარი პასუხისმგებლობა სპეციალისტს არ დაეკისრება¹.

¹ ჟურნალი Социалистическая законность, № 9. стр. 32.

„იუკრილივი ვაკინოლოგიის“ საკელაქსიო კოლექციისაგან

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ ფურცლებზე 1959-1960 წლებში გამოქვეყნდა შერჩეული მისალა იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ლექსიკონისა, რომელიც შედგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის განყოფილებაში. წერილში, რომელიც ლექსიკონის შემდგენლებმა წარუშმდგარეს მასალას, აღნიშნული იყო ამ უკანასკნელის შერჩევის პრინციპები და გამოქვეყნების მიზანი: „ლექსიკონის შემდგენლებსა და სარედაქციო კოლეგიას მიაჩნიათ, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა, კერძოდ; სამართლის დარგის მუშაკები ლექსიკონის გამოცემაზე უნდა გაეცნონ მის ძირითად პრინციპებს, მის აღნაგობას და, განსაკუთრებით, მასში შეტანილ იმ ქართულ ტერმინებსა და გამოთქმებს, რომლებიც ასე თუ ისე სცილდებიან ჩვენს იურიდიულ პრაქტიკაში დამკვიდრებულ ტრადიციას, ან ცალკეული ქართველი ავტორების მიერ სმარებულ შესაბამის ტერმინებსა და გამოთქმებს. ასეთი წინასწარი გაცნობის მიზნით ამ ჟურნალში გამოქვეყნდება რამდენიმე წერილი. მკითხველის გამოხმაურება, მისი კრიტიკული შენიშვნები უთუოდ ხელს შეუწყობს ლექსიკონის საბოლოო რედაქტირებას“.²

თავის მხრივ ჟურნალის რედაქციამ, მხარი დაუჭირა რა ლექსიკონის შემდგენელთა ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, „საბჭოთა სამართლის“ ფურცლები დაუთმო მკითხველთა გამოხმაურებასა და კრიტიკულ შენიშვნებს გამოქვეყნებული მასალის გარე; ჟურნალში დაიბეჭდა ასეთი ხასიათის ოთხი წერილი: აკადემიკოს გ. ახვლედიანისა,³ ა. ბელოვანისა⁴, მ. ლომიძისა⁵ და დოც. ს. ჯორბენაძისა⁶. გარდა ამისა, გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა ო. მგელაძის წერილი.⁷ ლექსიკონის შემდგენლებმა 1959 წლის

დეკემბერში მიიღეს აგრეთვე იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ს. ჯაფარიძის კრიტიკული შენიშვნები რეცენზიის სახით.

ლექსიკონზე მუშაობა არ შეწყვეტილა იმ დროის განმავლობაში, როდესაც შერჩეული მასალა პერიოდულად ქვეყნდებოდა და იწვევდა კრიტიკულ გამოხმაურებას; ეს მუშაობა გაგრძელდა მასალის გამოქვეყნების შემდგომ და მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილებაში. ლექსიკონის საბოლოო რედაქტირებისას (1961 წლის თებერვალი-მაისი) სარედაქციო კოლეგიამ გულდასმით განიხილა ამ დროისათვის მიღებული ყველა შენიშვნა და მადლიერების გრძნობით ზოგი მათგანის საფუძველზე სათანადო შესწორებებიც შეიტანა ლექსიკონში, რომელიც ამჟამად უკვე ბეჭდვის პროცესშია.

ეჭვი არაა, რომ იურიდიული ტერმინოლოგიის (რუსულ-ქართული ნაწილის) გამოცემა ფართო ინტერესს გამოიწვევს და მისი ავკარგიანობა სპეციალური განხილვის საგანი გახდება. მაგრამ სარედაქციო კოლეგიას საჭიროდ მიაჩნია ახლავე აღწყობს კრიტიკული შენიშვნების ავტორებსა და საერთოდ „საბჭოთა სამართლის“ მკითხველებს თავისი მოსაზრებანი იმ შენიშვნების გამო, რომლებიც მან ვერ გაიზიარა.

* * *

კრიტიკული შენიშვნების ერთი ნაწილი შეეხება ლექსიკონის შედგენის პრინციპებს. ესაა, უპირველეს ყოვლისა, საკითხი იმის შესახებ, თუ რა კრიტერიუმით უნდა იქნას შერჩეული სიტყვა-გამოთქმები იურიდიული ტერმინოლოგიისათვის. ლექსიკონის შემდგენლებმა შერჩეულ მასალაზე სადმი წარმდგარებულ წერილში აღნიშნეს:

1 იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1959 წლის №№ 5, 6; 1960 წლის №№ 1, 2, 3, 4, 5.

2 „საბჭოთა სამართალი“, 1959 წ. № 5, გვ. 49.


3 იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1960 წ. № 1.

4 იხ. იქვე.

5 იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1960 წ. № 4.

6 იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1961 წ. № 5.

7 იხ. ო. მგელაძე, საჭიროა ტერმინების დაზუსტება, გაზ. „თბილისი“, 1961 წ.



...ამგვარ ლექსიკონში უნდა შევიდეს მხოლოდ ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ან ყოველთვის მარტოოდენ იურიდიული მნიშვნელობით იხმარებიან, ე. ი. წმინდა იურიდიულ ტერმინებსა და გამოთქმებს წარმოადგენენ... ან ძალიან ხშირად იღებენ იურიდიულ შინაარსს, დამახასიათებელი არიან სამართლებრივი ურთიერთობისათვის...“¹.

კრიტიკული შენიშვნების ავტორთაგან არც ერთს არ გამოუთქვამს საწინააღმდეგო აზრი, მაგრამ მ. ლომიძეს მიაჩნია, რომ ლექსიკონში „აქა-იქ გვსვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც თავისთავად არ წარმოადგენენ იურიდიულ ტერმინებს“, და რომ იურიდიული მნიშვნელობა არ უნდა მიეცეთ ყველა სიტყვას, რომელიც ამა თუ იმ იურიდიულ დოკუმენტში იხმარებაო. ასეთი სიტყვების მაგალითად მ. ლომიძეს მოჰყავს *изъясн, исповедание, кустарная промышленность, добыч* და *запальчивость*.

ეს სიტყვები ლექსიკონში შეტანილია არა იმიტომ, რომ თითოეული მათგანი „იურიდიულ დოკუმენტში იხმარება“, არამედ იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობისათვის ფრიად დამახასიათებელი ცნებებია. მაგალითად, ვალდებულებით სამართალში, კერძოდ, ნასყიდობის, მიწოდების და სხვა ხელშეკრულებებთან დაკავშირებით *изъясн* ისევე იხმარება, როგორც *დეფექტი*, და წარმოადგენს გააქცივლის თუ მიმწოდებლის პასუხისმგებლობის ერთ-ერთ საფუძველს; მრავალ სახელმწიფოში ამა თუ იმ რელიგიის *исповедание* სამართლებრივი მნიშვნელობის მომენტია ფიზიკური პირის უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისას და, როგორც სამართლებრივი ცნება, განეკუთვნება სამართლის სხვადასხვა დარგებს (სახელმწიფო, საოჯახო, საერთაშორისო სამართალს და სხვ.), *кустарная промышленность* სპეციალური რეგულირების საგანია არა მხოლოდ აღმინისტრაციულ სამართალში, არამედ სამართლის სხვა დარგებშიაც (განსაკუთრებით სოციალისტურ სახელმწიფოში) და ა. შ.

აკად. გ. ახვლედიანი შენიშნავს, რომ „სრულიად არაა საჭირო ტერმინი — „ბესი“ (*задаточный*)“¹. თუ ეს შენიშვნა ეხება საერთოდ არსებითი სახელებისაგან წარმოებულ შედსართაფებს, მაშინ უნდა ითქვას, რომ მეტწილად სწორედ ასეთი შედსართაფების ქართული შესატყვისების დაზუსტება ფრიად მნიშვნელოვანია იურიდიული ტერმინოლოგიის დახადგენად. მაგალითად, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს *закон* ითარგმნოს კანონად, მაგრამ

законный-ს შესატყვისი რომაა ზოგჯერ კანონიერი, ხოლო ზოგჯერ კანონისმიერი (შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავებული სიტყვები), ამის აღნიშვნა აუცილებელია. როგორც გამოქვეყნებული მასალიდან ჩანს, შედსართავი სახელები ლექსიკონში მოცემულია არსებით სახელებთან ერთად, ე. ი. განსაზღვრებების სახით სხვადასხვა მაგალითებში (*земельная аренда მიწის ოჯარა, земельная община საადგილმამულო თემი, земельный банк საადგილმამულო ბანკი, земельный фонд მიწის ფონდი და ა. შ.*); მაგრამ შეუძლებელია, რომ ლექსიკონი შეიცავდეს განსაზღვრების სახით შედსართავის ხმარების ყველა შესაძლებელ შემთხვევას; ამიტომ „იურიდიული ტერმინოლოგიის“ შედგენისას ერთ-ერთ პრინციპად იქნა მიღებული იურიდიული მნიშვნელობის შექონე არსებითი სახელიდან წარმოებული შედსართავის ცალკე შეტანათვისის შესატყვისითურთ. მაშასადამე, რაკი *задаток* (ბე) შევიდა ლექსიკონში, როგორც სამართლებრივი შინაარსის ცნება, მასში შეტანილ იქნა აგრეთვე *задаточный* (ბესი), რომელიც აგრეთვე იურიდიული შინაარსისაა.

აკად. გ. ახვლედიანის მეორე შენიშვნა იმის შესახებ, რომ საჭიროა განსაზღვრების განმეორება შემოკლებით მაინც, როდესაც საზღვრული ორი ან მეტი შესატყვისითაა მოცემული, სავსებით სამართლიანია და სარედაქციო კოლეგიამ იგი წესად მიიღო. ეს წესი გამოყენებულია მაშინაც, როდესაც საზღვრულს ერთი შესატყვისი აქვს, ხოლო განსაზღვრებას — ორი ან რამდენიმე (მაგალითად, *земельная регистрация მიწის რეგისტრაცია, საადგილმამულო რ.*).

მსაზღვრელ — საზღვრელიან გამოთქმებთან დაკავშირებით დოც. ს. ჯორბენაძეს პრინციპში მართებულად მიაჩნია ასეთი გამოთქმების შეტანა ლექსიკონში შედბრუნებული სახითაც, ე. ი. როდესაც, მაგალითად, *земельная аренда*-ს გარდა მოცემულია აგრეთვე *аренда земельная*, მაგრამ შედბრუნად თვლის ამ წესის დაცვას ყველა შემთხვევაში. შესაძლოა ზოგჯერ მართლაც შედბრუნად მოგვეჩვენოს მსაზღვრელ — საზღვრულიანი გამოთქმის მოცემა შედბრუნებით, მაგრამ სარედაქციო კოლეგია ფიქრობს, რომ ლექსიკონის შედგენის ესა თუ ის წესი დაცული უნდა იქნას ბოლომდე, ყველა შემთხვევაში; გამოწაკისი დაუშვებელია, იგი გააძნელებდა ლექსიკონით სარგებლობას.

დოც. ს. ჯორბენაძის ერთ-ერთი შენიშვნის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი ტერმინის ქართულ შესატყვისს დაემატოს მისი

¹ „საბჭოთა სამართალი“, 1959 წ. № 5, გვ. 49.

შინაარსის ახსნა-განმარტება. სახელდობრ, ს. ჯორბენაძე ასეთ ახსნა-განმარტებას („სპეციფიკური, პოლიტიკურ-იურიდიული მნიშვნელობის“, ანდა „ისტორიულად მრავალგვაროვანი გაგების“ ახსნას) მოითხოვს სიტყვებისათვის: **ინოროდეц** (სხვისტომი), **туземец** (მკვიდრი, ადგილობრივი მცხოვრები) და **откуп** (იჯარა), თუმცა თვით ქართული შესატყვისების წინააღმდეგი არაა.

ჭერ ერთი, იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ლექსიკონის მიზანია რუსული იურიდიული ტერმინებისა და გამოთქმებისათვის ქართული შესატყვისების შერჩევა და არა მათი შინაარსის ახსნა-განმარტება; ახსნა-განმარტებითი ელემენტის შეტანა ასეთ ლექსიკონში გამონაკლისის სახითაც კი სავსებით დაუშვებელია. ეს იქნებოდა ლექსიკონის ძირითადი, თარგმნითი პრინციპიდან სრულიად გაუშვარებელი გადახვევა. მაშასადამე, მსგელობის საგანი უნდა იყოს მხოლოდ ის, თუ რამდენად შესაბამეა **ინოროდეц**-ს სხვისტომი და **туземец**-ს მკვიდრი, ადგილობრივი მცხოვრები, ე. ი. შესაძლებელია თუ არა ეს ქართული შესატყვისები გამოიყენოთ იქ, სადაც რუსულად (რუსულ იურიდიულ ტექსტში, რაც გულისხმობს აგრეთვე უცხოური იურიდიული ტექსტის რუსულ თარგმანს) ნახმარია **ინოროდეц** და **туземец**.

მართალია, **ინოროდეц** რეგულაციამდე რუსულ ლიტერატურაშიცა და რუსეთის იმპერიის სამართალშიც იხმარებოდა სპეციფიკური მნიშვნელობით, სახელდობრ, ამა თუ იმ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირის აღსანიშნავად (და ამდენად მიუთითებდა აგრეთვე ამ პირის დისკრიმინაციულ უფლებრივ მდგომარეობაზე), მაგრამ არც „სხვისტომი“ გამოიცხავს ასეთ მნიშვნელობას. ეტიმოლოგიურად **ინოროდეц** ნიშნავს **лицо иного рода** და მან იმიტომ შეიძინა ზემოაღნიშნული სპეციფიკა, რომ რუსეთის იმპერიაში ძირითად მოსახლეობად ითვლებოდნენ რუსული წარმოშობის პირები, ხოლო ყველა დანარჩენი — **иного рода**, ე. ი. სხვა წარმოშობის, სხვა ტომის პირებად. მაშასადამე, ასეთივე სპეციფიკური მნიშვნელობით შესაძლებელია გავიგოთ **ინოროდეц**-ის სემანტიკურად შესატყვისი და ეტიმოლოგიურად მსგავსი „სხვისტომი“.¹

გარდა ამისა, ფრიად საყურადღებოა, რომ უკვე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ **инородец** იხმარებოდა საერთო მნიშვნელობითაც, აღნიშნული დისკრიმინაციული ელემენტის გარეშე; მაგალითად, ვ. ი. ლენინის სტატიაში „К вопросу о национальностях или об „автономизации““ (იხ. უ. „Коммунист“, 1956, № 9) ვკითხულობთ: „...Было бы непростительным оппортунизмом, если бы мы накануне этого выступления Востока и в начале его пробуждения подрывали свой авторитет среди него малейшей хотя бы грубостью и несправедливостью по отношению к нашим собственным инородцам“.

რაც შეეხება **туземец**-ს, ს. ჯორბენაძის მსგელობა ამ ცნების ირგვლივ ზუსტი არაა. ეს ცნება აბორიგენის სინონიმია და აღნიშნავს მკვიდრს, ადგილობრივ მცხოვრებს² არა მართლ აზიის, აფრიკის და ავსტრალიის კონტინენტებისა, არამედ ყოველი ქვეყნისა თუ ტერიტორიისა, რომლის მკვიდრი მოსახლეობა რასობრივად ან ეთნიკურად განსხვავდება მისული ელემენტისაგან. ამიტომაც (წინააღმდეგ ს. ჯორბენაძის მტკიცებისა) იხმარება გამოთქმა „туземцы Британских островов“ და მასში იგულისხმება ისტორიულად კელტური ტომები, ხოლო ამჟამად — მათი შთამომავლობა, რომელმაც თავისი ენაც კი შეინარჩუნა შოტლანდიაში და უელსში. თანამედროვე რუსული ლიტერატურული ენა ერთგვარ უპირატესობას აძლევს გამოთქმას **коренное население**, მაგრამ იმავე მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე **туземцы** და **туземное население**. ამასვე ადასტურებს უცხოური იურიდიული ლიტერატურის უახლესი რუსული თარგმანებიც³ ეტიმოლოგიურადაც **туземец** სხვა არაფერია, თუ არა **житель той земли**.

ერთ-ერთი შენიშვნა ეხება უცხოური იურიდიული ტერმინების შეტანას ჩვენს ლექსიკონში. ვერ დავეთანხმებით დოც. ს. ჯორბენაძეს, როდესაც წერს: „უნდა გამოვიყოლოდეთ იქაღან, რომ უცხო სიტყვის ხმარება ტრანსკრიპციით (!?) მაშინაა გამართლებული, თუ კი არა გვაქვს შესაბამისი ქართული სიტყვა, ანდა უნდა გაკეთდეს მითითება იმაზე, რომ ეს უცხო ტერმინი სინონიმია შესაბამისი ქართული ტერ-

¹ შეად. Толковый словарь русского языка, под. ред. проф. Д. Н. Ушакова, т. I, 1209.

² იქვე. ტ. IV, 1940, გვ. 824.

³ მაგ. Л. Опшенгейм, Международное право. т. т. I-II. М. 1948—1950 г., სადაც ინგლისური სინონიმები **native**, **indigene**, **aboriginal** თარგმნილია ხან როგორც **туземец**, ხან როგორც **коренный житель**.

მინისა. თავისი მნიშვნელობით ფიქციური ქარ-
თულად ნიშნავს მოჩვენებითსაც, ვითარსს, მო-
გონილს, მაგრამ ყველა შემოჩამოთვლილი ზედ-
სართავებით ბათილი გარიგებები განსხვავებული
სახეების ფორმითაა წარმოდგენილი ლექსიკო-
ნის მსაღებში. ეს დიდ გაუგებრობას ჰქმნის¹.

დოც. ს. ჯორბენაძის მსჯელობა ამ ციტატით
არ ამოწურება და ისევ და ისევ იმ ჭეშმარი-
ტების მტკიცებას უნდებდა, რომ ვითარსი და
ფიქციური გარიგებანი ერთი და იგივეა (ს.
ჯორბენაძე სამოქალაქო სამართლის ორსახელმ-
ძღვანელოსაც იშველიებს!). ამ ვრცელი მსჯე-
ლობის აზრი იმაშია, რომ ს. ჯორბენაძე წინა-
დადებას ვაჭაღვებს მნიშვნელოვან და
ფიქტივურად ვითარსი გარიგება, ე. ი. უარი ვთქვით ფიქცი-
ურ გარიგებაზე, ანდა, თუ ამ უკანასკნელს მა-
ინც შევითვალთ ლექსიკონში ფიქტივურად
საქმისა-ს შესატყვისად, მივუწეროთ მას გან-
მარტება, რომელიც მკითხველს აუწყებდა, რომ
ეს იგივეა, რაც ვითარსი გარიგება.

ცალკეულ იურიდიულ ცნებათა შინაარსის
ახსნა-განმარტება რომ ასეთ ლექსიკონში დაუშ-
ვებელია, ამის შესახებ შემოთ უკვე ითქვა და
აქ აღარ გავიმეორებთ. რაც შეეხება „ფიქციურ
გარიგებაზე“ უარის თქმას, გაუგებარია, რატომ
არ უნდა ვიხმაროთ ეს გამოთქმა იქ, სადაც
რუსულად იხმარება ფიქტივურად საქმისა-
საქმისა ცნობილია, რომ ამა თუ იმ ენაზე
ზოგჯერ რამდენიმე ტერმინი გამოხატავს ერთ
ცნებას. თუ რუსულ ენაზე არ ქმნის უზრუნვე-
ლობას სინონიმების მნიშვნელოვან და ფიქტივ-
ურად საქმისა-ს არსებობა, რატომ უნდა განვდევნოთ
„ფიქციური“ ქართული იურიდიული ტერმი-
ნოლოგიიდან? მით უმეტეს, რომ ფიქცია, ფიქ-
ციური თანამედროვე ლიტერატურულ ქარ-
თულში ხმარებული სიტყვებია.

იგივე უნდა ითქვას ს. ჯორბენაძის შენიშვ-
ნაზე, რომლის მიხედვით ლექსიკონში მითი-
თებული უნდა იყოს, რომ иск о присуждении
(მიკუთვნებითი სარჩელი) და исполнитель-
ный иск (აღსრულებითი სარჩელი) სინონიმურ-
ნი ცნებებია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შემ-
თხვევაში არსებითად ერთი და იგივე სარჩელი
გამოხატულია სხვადასხვა რუსული სიტყვებით;
ეს კი იმას ნიშნავს რომ, მიუხედავად ამ ორი
ცნების ტოლფასობისა, მათში სხვადასხვა მო-
მენტებია წამოწეული წინა ბლანზე.

დასასრულ, ლექსიკონის შერჩეული მასალის
გამო გაკეთებული ზოგადი შენიშვნებიდან აღ-
სანიშნავია აქად. გ. ახვლედიანის სამართლიანი
მითითება, რომ „უცხოური ტერმინების გაქარ-
თულებისას უნდა ვერიდოთ — ირების წარმო-
ებას...“ ლექსიკონის შემდგენელთა წერაღში,
რომელიც წარემძღვარა შერჩეული მასალის
გამოქვეყნებას, ნათქვამი იყო, რომ რუსულ-
ენაში სხვა ენებიდან შესული იურიდიული მნი-
შვნელობის ზმნის შესატყვისად ლექსიკონი
ქართულად იძლევა ზოგჯერ როგორც უცხოურ
ნაშენარს სახელს, ასევე იმავე უცხოურ არს-
ებით სახელს ქართული ზმნის მოშველიებით და
ასეთ შემთხვევაში ზმნის ფორმა (პირი, რიცხვი,
დრო) ქართული ზმნის ფორმის დახმარებითაა
შედგენილი. მაგალითად მოტანილი იყო амни-
тировать — ამნისტირება, ამნისტიით პატიება
(ამნისტიით აპატიება), ратифицировать —
რატიფიცირება, რატიფიკაციის მოხდენა (რატი-
ფიკაციას მოახდენს). აქად. გ. ახვლედიანი
სწორედ „ამნისტირების“ წინააღმდეგია.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ლიტე-
რატურულ ქართულში უკვე დამკვიდრებულია
ამ გზით წარმოებული მრავალი სიტყვა, მაგა-
ლითად, რეგულირება, რედაქტირება², და მათ-
გან წარმოქმნილი ზედსართავები: რეგულირე-
ბული, რედაქტირებული და ა. შ. ვერც
„ამნისტირებას“ და ამგვარად წარმოებულ სხვა
იურიდიულ ტერმინებს გავეცდებით; ეს აუცი-
ლებლობა განსაკუთრებით იგრძნობა ნორმატი-
ული მასალის თარგმნისას რუსულიდან ქართუ-
ლად, როდესაც კონტექსტში ყოველთვის რუ-
დი ხდება შესაძლებელი „ამნისტირების“ შეც-
ვლა „ამნისტიით განთავისუფლებით“. რა თქმა
უნდა, ლექსიკონის შემდგენლები ცდილობდნენ
„ირებით“ წარმოებული სიტყვების რაოდენობა
მინიმუმამდე დაეყვანათ.

* * *

კრიტიკული შენიშვნების უმრავლესობა მა-
სალის სახით გამოქვეყნებულ ცალკეულ ტერ-
მინებსა და გამოთქმებს შეეხება. განვიხილოთ
ეს შენიშვნები ანბანური თანმიმდევრობით
(რუსული ტერმინებისა და გამოთქმების ანბან-
ზე დალაგების შესაბამისად).

ო. მგელაძის აზრით АДВОКАТ-ის ქართული
შესატყვისად უნდა დავტოვოთ მხოლოდ „ვე-
ქილი“ და უარი უნდა ვთქვათ „ადვოკატზე“.
ჩვენის ფიქრით არ არსებობს იმის საფუძვე-

¹ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შეტანილია არა მარტო რეგულირება, რე-
დაქტირება და მისთ., არამედ შესაბამისი ხმნური ფორმებიც: რეგულირდება, რედაქტირდება.

² მათ შორის „ამნისტირებულიც“. იქვე, ტ. I, გვ. 315.

ლი, რომ არაბული წარმოშობის „ვეკილს“ (რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში სულ სხვა მნიშვნელობის ცნებაა) უპირატესობა მივანიჭოთ ლათინურიდან წამოსული „ადვოკატის“ წინაშე, რომელიც ცნების შინაარსსაც ზუსტად გამოხატავს და ქართულ ენაშიც დამკვიდრებულია.

დოც. ს. ჯორბენაძეს მართებულად არ მიაჩნია **БЕЗВЕСТНОЕ ОТСУТВИЕ** ვთარგმნოთ როგორც „უკვალოდ დაკარგულობა“. მისი აზრით, უმჯობესია დარჩეს აქამდე ხმარებული „უგზო-უკვლოდ დაკარგვა“, რაკი სიტყვა „უკვალოდ“ რუსული **БЕССЛЕДНО-ს** შესატყვისიაო. ეს არგუმენტი არაფერს ამბობს იმის სასარგებლოდ, რომ **БЕЗВЕСТНО-ს** შესატყვისად ვამჯობინოთ „უგზო-უკვლოდ“. ამ კომპოზიტიში სჭარბობს პირველი ელიმენტის მნიშვნელობა (უგზოდ, გზაარეულად; ამიტომ მისი გალატანიოთ მნიშვნელობაა უთავბოლოდ, უაზროდ), რაც **БЕЗВЕСТНОЕ ОТСУТВИЕ-ში** სრულებით არაა საჭირო, აქ მთავარია ის, რომ უცნობია პირის ადგილსამყოფელი, მისი კვალიც კი არ ჩანს. სწორედ ამას გამოხატავს „უკვალოდ დაკარგულობა“. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ **ОТСУТВИЕ** მდგომარეობას აღნიშნავს და ამიტომ სჯობს ვიხმაროთ „დაკარგულობა“ და არა „დაკარგვა“. შესაბამისად **БЕЗВЕСТНО ОТСУТВИЮЩИЙ** იქნება „უკვალოდ დაკარგული“.

ს. ჯორბენაძის წინადადება აგრეთვე **БУКВАЛЬНОЕ ТОЛКОВАНИЕ** ვთარგმნოთ ასოანბანურ განმარტებად. „ასოანბანური“ **БУКВАЛЬНОЕ-ს** მექანიკური წამბაძველობითაა შეთხზული და მაინც გაუგებარია, თუ საიდან გაჩნდა მისი მეორე ნაწილი — „...ანბანური“. **БУКВАЛЬНОЕ ТОЛКОВАНИЕ** აღნიშნავს ტექსტის განმარტებას მისი სიტყვების პირდაპირი, ვიწრო მნიშვნელობის მიხედვით, რაც შესაძლოა საქმეო არ იყოს მოლიანად ტექსტის აზრის გასაგებად. ამიტომ **БУКВАЛЬНО-ს** ამ შემთხვევაში დააბატონება სავსებით შეესაბამება ქართულ მეტყველებაში ცოცხალი და ჩვენს მწერლობაში დამკვიდრებული „სიტყვა-სიტყვით“, ხოლო **БУКВАЛЬНОЕ ТОЛКОВАНИЕ-ს** — სიტყვა-სიტყვითი განმარტება.

კრიტიკული შენიშვნები გამოიწვია **ВВОД В НАСЛЕДСТВО-სა** და **ВВОД ВО ВЛАДЕНИЕ-ს** ქართულმა შესატყვისებმა (მემკვიდრეობაში შეყვანა, მფლობელობაში შეყვანა); ს. ჯორბენაძე თვლის, რომ ეს თარგმანი მექანიკურია, სიტყვასიტყვითი (**sic!** რატომ არაა „ასოანბანური“?), „მემკვიდრეობაში შეყვანას“ იგი

იწუნებს, მაგრამ პირდაპირ არ გვთავაზობს სხვა ვარიანტს. ამასთან **ВВОД ВО ВЛАДЕНИЕ-ს**თვის იგი ამჯობინებს თარგმანს დ. ჩუბინიშვილის ლექსიკონიდან: დაბატონება, „მამულის პატრონად გახდომა“. რაკი ს. ჯორბენაძე ამ ორ ტერმინზე ერთად მსჯელობს, ალბათ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ **ВВОД В НАСЛЕДСТВО-ს** შესატყვისად მას მიაჩნია „მემკვიდრეობის დაბატონება“. ს. ჯავახიძე ში გვთავაზობს „სამკვიდროს დაუფლება“ (თუმცა არ იწუნებს „მფლობელობაში შეყვანას“).

ორივე შემთხვევაში იგულისხმება საკუთრების (მეორე შემთხვევაში — მფლობელობის) უფლების განხორციელების დასაწყისი ახალი მესაკუთრის (თუ მფლობელის) მიერ. ისტორიულად იგი გამოხატებოდა განსაზღვრული მოქმედებით, სახელდობრ, ადგილ-მამულში ახალი მესაკუთრის თუ მფლობელის შეყვანით (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ე. ი. ფიზიკური მოქმედების მნიშვნელობით) და ამ აქტს განხორციელებდა, ე. ი. ადგილმამულში ახალ მესაკუთრეს თუ მფლობელს შეყვანდა საამისოდ უფლებამოსილი პირი. ამ „შეყვანას“ ხშირად თან ახლდა სხვადასხვა სიმბოლური მოქმედების შესრულება საკუთრების თუ მფლობელობის უფლების გადაცემის აღსანიშნავად. **ВВОД-იც** ხომ სწორედ იმას ნიშნავს, რომ **ОДНО ЛИЦО ВВОДИТ ДРУГОГО ВО ЧТО-ТО**, მაშინ როცა ს. ჯორბენაძის „დაბატონება“ და ს. ჯავახიძის „დაუფლება“ შეიძლება დღეს უფრო იმ მნიშვნელობით იქნას გაგებული, რომ პირი თვითონ დაეპატრონა, თვითონ დაეუფლა ქონებას, რაც უწინააღმდეგება **ВВОД-ის** შინაარსს. გარდა ამისა, „დაბატონებას“ ერთგვარად თვითნებური მოქმედების ნიუანსიც ახლავს და, რაც მთავარია, ფართო, ზოგადი შინაარსის „პატრონი“ ვერ გადმოგვეცხოს სწორედ „მესაკუთრის“ ზუსტ იურიდიულ მნიშვნელობას; ხოლო სამკვიდროს „დაუფლება“ იმიტომაც არაა სწორი, რომ მემკვიდრე იძენს არა მფლობელობის, არამედ საკუთრების უფლებას („დაუფლება“ ლექსიკონში გამოყენებულია **завладение-სა** და **овладение-ს** შესატყვისად).

ა. გელოვანს მიაჩნია, რომ **ВВОДНЫЙ ЗАКОН-ის** შესატყვისია არა „(სამოქმედოდ) შემომღებუ კანონი“, არამედ „შესავალი კანონი“. ამ შეხედულებას ვერ დავეთანხმებით იმიტომ, რომ **ВВОДНЫЙ ЗАКОН** აღნიშნავს სწორედ იმ კანონს, რომლის ძალით ხდება სხვა კანონის სამოქმედოდ შემოღება. იგი შესავალი კანონის, როდეს

1 იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, გვ. 1478.

კი არ ასრულებს, ანდა ყოველთვის ჩართულ კანონს კი არ წარმოადგენს, როგორც ა. გელოვანი წერს, არამედ ხშირად კანონმდებლობის ცალკე აქტია, დამოუკიდებელი კანონია.

Векселедержатель ჩვენ ვთარგმნეთ როგორც „თამასუქის ხელთმქონე“. ეს ახალი ტერმინი ზუსტად მიუთითებს იმ პირზე, ვისაც ამ მომენტში ხელთ აქვს თამასუქი. სწორედ ამას აღნიშნავს **векселедержатель**. ს. ჭავჭავაძის წინადადება ამ ცნებისათვის ვიხმაროთ „თამასუქის მქონებელი“. „მქონებელი“ იგივეა, რაც „მქონე“. „ხელთმქონეს“ უპირატესობა ჩვენის ფიქრით იმაშია, რომ იგი ყურადღებას ამახვილებს აღნიშნულ მომენტზე (**держание векселя**) და შესაძლებელს ხდის მკვეთრად განვასხვავოთ თამასუქის **держатель** იმ პირისაგან, რომელსაც ეუთოვნის თამასუქი. ვერ გავიზიარებთ ს. ჭავჭავაძის არგუმენტაციას, თითქოს „ხელთმქონე“ აღნიშნავს პირს, რომელსაც უსათუოდ ხელში უნდა ეჭიროს თამასუქი და არა ჭიბუში ან სადმე სხვაგან ინახავდეს მას.

მ. ლომიძის აზრით **вероятная смерть**-ის შესატყვისია „შესაძლო სიკვდილი“ ან „მოსალოდნელი სიკვდილი“ და არა „სავარაუდო სიკვდილი“. **Вероятная смерть**-ს იურიდიული მნიშვნელობით მაშინ ვხმარობთ, როდესაც, მაგალითად, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში უწყალოდ დაკარგული უნდა ჩავთვალოთ გარდაცვალებულად, ე. ი. ვვარაუდობთ, რომ ეს პირი ცოცხალი აღარაა, ვუშვებთ სიკვდილის შესაძლებლობას. ჩვენის ფიქრით, ამ პრეზუმფციას კარგად ვადასტურებთ „სავარაუდო სიკვდილი“, მაშინ როცა „შესაძლო სიკვდილი“ თუ „მოსალოდნელი სიკვდილი“ უფრო იმას გვანიშნებს, რომ დაპარაკია სიკვდილზე, რომელიც მომავალში შესაძლებელია ან მოსალოდნელი.

Винovníк-ის შესატყვისად ჩვენ მივიჩნით ერთი მნიშვნელობით ბრალეული, დამნაშავე, ხოლო მეორე მნიშვნელობით მიზეზი, საბაბი. ა. გელოვანის აზრით **виновник** უნდა ითარგმნოს ბრალიანად. პირველი მნიშვნელობით **виновник** იგივეა, რაც **виновное лицо**. ზედსართავი **виновное** კი იურიდიული სიზუსტისათვის უნდა ვთარგმნოთ ბრალეულად (ამას **виновное действие**-ს შემთხვევაში ა. გელოვანი სავსებით იწონებს); მასხადამე, **виновник**-იც ბრალეულია. ა. გელოვანის მოსაზრება, რომ რაკი „ბრალეული“ პირსაც აღნიშნავს და ჩადენილი მოქმედების ხასიათსაც, ამიტომ გაუგებრობას იწვევსო, ჩვენის ფიქრით უმარ-

თებულოა; ზედსართავის ხმარება არსებითი სახელის მნიშვნელობით უცხო არაა ქართულსათვის. მაგალითად, „შუურაცხმყოფელი“ შესაძლოა ვიხმაროთ საზღვრულის გარეშე, ე. ი. როგორც არსებითი სახელი, და ამავე დროს მოქმედების ხასიათსაც განსაზღვრავს („შუურაცხმყოფელი მოქმედება“).

Вид на жительство ლექსიკონში თარგმნილია, როგორც საბინადრო მოწმობა. მ. ლომიძე, გამოდის რა **жительство**-ს ქართული შესატყვისიდან „ბინადრობა“, ამკვირნებს „ბინადრობის მოწმობას“. მაგრამ საქმე ისაა, რომ **вид на жительство** ის დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს პირის უფლებას იცხოვროს განსაზღვრულ ტერიტორიაზე! და არა ბინადრობის ფაქტს; ე. ი. **вид на жительство** საბინადროდ გატყუებული დოკუმენტია, საბინადრო მოწმობაა.

სხვადასხვაგვარი კრიტიკა გამოიწვია **военное преступление**-ს და **военный преступник**-ის თარგმნაშ მომის დანაშაულად და ომის დამნაშავედ. აკად. გ. ახვლედიანი გვთავაზობს „ომისეულ დანაშაულს“, ა. გელოვანი — „საომარ დანაშაულს“, ხოლო მ. ლომიძე — „სამხედრო დანაშაულს“. სავსებით მართებულია მ. ლომიძის არგუმენტები „ომისეულისა“ და „საომარის“ წინააღმდეგ (ამიტომ მათი განმეორება აქ ზედმეტად მიგვაჩნია), მაგრამ „ომის დანაშაულის“ კრიტიკას იგი ვერ იძლევა. **Военное преступление** და **военный преступник**, როგორც განსაზღვრულია იურიდიული შინაარსის ტერმინები, 1945 წლიდან დაშვდნობის იურიდიულ პირველად ისინი გამოყენებულ იქნენ სამი დიდი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციის დოკუმენტებში (2 აგვისტოს ოქმში); შემდეგ, 1945 წ. 8 აგვისტოს, ლონდონში დაიდო 4 დიდი სახელმწიფოს შეთანხმება „ღერძის ევროპულ სახელმწიფოთა ომის მთავარი დამნაშავეების სასამართლო დენისა და დასჯის შესახებ“, რომლის საფუძველზე შეიქმნა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი.

ამ ტრიბუნალის წესდების მე-6 მუხლში ჩამოვლილია დანაშაულთა ტრიბუნალი მოქმედებანი, რომლებზედაც გატყუებულია ტრიბუნალის იურისდიქცია, ე. ი. რომელთა ჩამდენ პირებს ეწოდათ **главные военные преступники**. ამის შესაბამისად ასეთ დანაშაულთა სამივე ჯგუფს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამავე მუხლში (დანაშაულნი მშვიდობის წინააღმდეგ, ომის დანაშაულნი, დანაშაულნი ადამიანობის წინააღმდეგ), მთლიანად მიეცა ომის დანაშაულთა-

1 სხ. მაგ., *Юридический словарь*, т. I, 1956, გვ. 104.

სახელწოდება. ეს ტერმინოლოგია ამავე შინა-არსით იყო გამოყენებული ნიურნბერგის პროცესზე, კერძოდ, საბრალდებო დასკვნაში. ამგვარად, **военное преступление** ამ დოკუმენტებში ნახშირია ორი მნიშვნელობით: ვიწრო მნიშვნელობით იგი აღნიშნავს ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევას, ხოლო ფართო მნიშვნელობით — ზემოთ აღნიშნულ სამივე ჯგუფს. ამ ჯგუფებში ჩამოთვლილ დანაშაულებათა აქ დასახელება შორს წაგვიყვანდა; აღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მათი დიდი ნაწილი ისეთი დანაშაულებრივი მოქმედებანია, რომლებიც ომის წარმოებასთან არ არიან დაკავშირებული, ე. ი. მათ ვერ მივცემთ „სამხედრო დანაშაულთა“ სახელწოდებას, როგორც ამას მ. ლომიძე გვიჩვენებს, მით უმეტეს, რომ „სამხედრო დანაშაული“ **воинское преступление**-ს შესატყვისია და მას სულ სხვა შინაარსი აქვს (ეს აღნიშნულია თვით მ. ლომიძის წერილში).

რაც შეეხება **военный преступник**-ს, ეს ტერმინი ყველა აღნიშნულ დოკუმენტში (და სხვა წყაროებშიც) ფართო მნიშვნელობითაა გამოყენებული და აღნიშნავს პირს (როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო თანამდებობისა), რომელმაც ჩაიდინა დანაშაულთა სამი ჯგუფში დასახელებული ესა თუ ის მოქმედება, ე. ი. ისეთი დანაშაულიც, რომელსაც არავითარი „სამხედრო“ ხასიათი არ გააჩნია. მაშასადამე, **военное преступление**-ს და **военный преступник**-ს ვერ ვთარგმნით სამხედრო დანაშაულად და სამხედრო დამნაშავედ. ასეთი თარგმანი არსებითად დამახინჯებდა ამ ცნებათა შინაარსს.

„ომის დანაშაულისა“ და „ომის დამნაშავეს“ ნაკლი ისაა, რომ ეს ტერმინები თავისთავად ბუნდოვანია, ისინი ვერ ნათელჰყოფენ გამოთქმულ ცნებათა შინაარსს, მაგრამ განა შესაბამის რუსულ ტერმინებსაც იგივე ნაკლი არ ახასიათებს? ასევეა სხვა ენებზეც, მაგალითად, ინგლისური **war criminal**, ან გერმანული **Kriegsverbrecher**. ორივე სიტყვა ზუსტად ისევეა წარმოებული, როგორც მათი ქართული შესატყვისი „ომის დამნაშავე“, ა. გელოვანი შენიშნავს: „საკითხის ასე გადაწყვეტა საფუძვლიანი იქნებოდა, საქმე რომ გვქონდეს ისეთ რუსულ გამოთქმასთან, როგორც არის, **преступник войны**“ სხვათა შორის, რუსულად

военный преступник-ის პარალელურად ოციკალურ წყაროებშიც ხშირად გვხვდება **преступник войны**.¹ რა თქმა უნდა, აღნიშნული ტერმინებისათვის აჩოტებდა „ომის“ სავან წარმოებულ ზედსართავს. მაგრამ ქართული-სათვის ცნობილი არც ერთი მათგანი (საომარი, ომისეული, ომისმიერი, ომისებური და მისთ.) ამ შემთხვევაში არ გამოდგება.

Воображаемое преступление ჩვენ ვთარგმნით, როგორც მოჩვენებითი დანაშაული. ა. გელოვანი **воображаемое**-ს პირდაპირი თარგმანისა და მათემატიკური ტერმინოლოგიის ანალოგიური გვეთვალავს „წარმოსახვით დანაშაულს“. ამ მოსაზრებას ვერ გვეზიარებთ, რადგან **воображаемое преступление** იმას ნიშნავს, რომ პირი საკუთარ ქმედობას თვლის დანაშაულად, თუმცა სინამდვილეში ეს ქმედობა დანაშაულს არ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო ბუნებრივია ვთქვათ, რომ პირს ეს ქმედობა დანაშაულად ეჩვენება, ვიდრე ის, რომ მას ეს ქმედობა დანაშაულად აქვს წარმოსახული; მაშასადამე, ასეთი ქმედობის შეფასებისათვის სუბიექტური მომენტის გთვალისწინებით სჯობს ვიხმაროთ „მოჩვენებითი დანაშაული“ და არა „წარმოსახვითი დანაშაული“.

ვერ დავეთანხმებით ს. ჯაფარიძეს იმაში, რომ **вскрытие завещания** ითარგმნოს ანდერძის გამოქვეყნებად. ანდერძის საიდუმლოება შეწყდება მაშინ, როდესაც ანდერძის ამართლებელი ან სხვა უფლებამოსილი პირი ანდერძს წაუკითხავს გარდაცვალებულის ნათესავებს. ამ აქტს ვერ ვუწოდებთ „გამოქვეყნებას“, რადგან ამით ანდერძი არ სდება საქვეყნოდ ცნობილი, არ უწყება ფართო საზოგადოებრიობას. გარდა ამისა, რისამე „გამოქვეყნება“ არ ნიშნავს უსათუოდ იმას, რომ ეს რაღაც მანამდე საიდუმლოებას წარმოადგენდა (მაგალითად, შესაძლებელია გამოქვეყნება სელნაწერისა, რომელიც ექსპონირებულია მუზეუმში, სადაც მისი წაკითხვა ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია). ლექსიკონში შესული „ანდერძის გახსნა“ კი სწორედ იმავე მიუთითებს, რომ აქამდე საიდუმლოდ დაცული დოკუმენტი გამოეცხადა დაინტერესებულ პირებს, მოხდა ამ საიდუმლოების გახსნა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

¹ იხ. მაგ., გავრთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1947 წლის 31 ოქტომბრის რეზოლუციის რუსული რეკუსტი („Международное право в избранных документах. т. III, М., 1957, стр. 405).

ზუსტად დაზიანეთ სოციალისტური კანონიერება და მართლმართობა

გადაუღებელი ამოცანა

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა აღზრდას შრომისმოყვარეობის, კოლექტივიზმის, სოციალისტური მორალის პრინციპების სულსკვეთებით. ახალი ადამიანის ჩამოყალიბება სოციალისტურ გმირული შემოქმედებითი შრომით, წარსულის გადმონაშთებია აღმოფხვრის გზით. ახლა, როცა ჩვენა ქვეყანა წარმატებით მიღის კომუნისმისაკენ, განსაკუთრებით მწვავედ დგება საკითხი, რომ გავაძლიეროთ ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, ზუსტად დაეცივათ საბჭოთა კანონიერება და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები.

ჩვენს ქვეყანაში ყოველ წელს მცირდება სისხლის სამართლის დანაშაულობათა რაოდენობა. სოციალისტური წყობილება, რომელიც არ შეიცავს დანაშაულობის წარმოშობ მიზეზებს, ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ წარმატებით ებრძოლოთ ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო ისეთი მოვლენების წინააღმდეგ, როგორც არის სუბკულტურა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება, მექრთამეობა, ხულიგნობა და წარსულის სხვა საზიზღარი გადმონაშთები.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად შოთხოვს რაც შეიძლება მალე მოედოს ბოლო ამ მახინჯ მოვლენებს, რომლებიც დიდად საძულველია ჩვენი საზოგადოებისათვის, სოციალისტური წყობილებისათვის.

უღმობელი ბრძოლა — სახალხო დოვლათის დამტაცებლებს, მერქთამეებს!

პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენამ, — ზავასამით აღნიშნა თავის მოხსენებაში აშხ. ქავთარაძემ, — კოლექტიური ხელმძღვანელობის განმტკიცებამ, საბჭოთა დემოკრატიის გაფართოებამ, სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვამ და განვითარებამ შექმნა ვითარება იმისათვის, რომ უფრო მიზანსწრაფულად ებრძოლოთ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის, საბჭოთა მოქალაქეების

უკანასკნელ ხანს, პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებები ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეთა უფლებების განუზრდელ დაცვისათვის, სოციალისტური კანონიერების და მართლმართობის განმტკიცებისათვის.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებში განსაზღვრულია სასამართლოს, პროკურატურის, მილიციის ორგანოების პასუხსაგები ამოცანები, რომელთა შესრულება მოითხოვს შემდგომ ამაღლდეს მათი როლი დანაშაულობის და განსაკუთრებით ყველაზე საშიშ სისხლის სამართლის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

რესპუბლიკაში დანაშაულობისა და ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხს მიეძღვნა საქართველოს სსრ სასამართლოს, პროკურატურის ორგანოებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთა პარტიული აქტივის კრება, რომელიც 12 ივნისს გაიმართა თბილისში. აქტივის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, რესპუბლიკურ უწყებათა, სავაჭრო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.

კრებამ მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თ. ქავთარაძის, საქართველოს სსრ პროკურორის პ. ბერძენიშვილისა და რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ე. ტაკიძის მოხსენებები.

პიროვნების დაცვისათვის, სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ ხანს გამოცემული კანონები უზრუნველყოფენ პირობებს, რომ გაძლიერდეს ბრძოლა ისეთ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ, როგორც არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცე-

ბა, მექრთამეობა, ბანდიტიზმი, უკანონო სავალუტო ოპერაციები, გაუპატუვება და სხვ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელობითა და დახმარებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განახორციელა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა ძირეულად გაუმჯობესდეს ბრძოლა ყოველგვარი დამნაშავეობის წინააღმდეგ და ამდღეს ბრძოლი შემადგენლობის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.

გააქტიურდა მილიციის ორგანოების საქმიანობა, რის შედეგადაც გაძლიერდა ბრძოლა დატყვის, სპეკულაციისა და სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ. დიდი ყურადღება ეთმობა იმ ზარალის ანაზღაურების საკითხს, რომელიც დამნაშავეებმა მიაყენეს სახელმწიფოს. მაგრამ ეს დიდი მუშაობის მხოლოდ დასაწყისია.

არ შეიძლება შევერიოდეთ იმას, რომ ჯერ კიდევ არც თუ იშვიათია ისეთი სახეობათა დანაშაულის შემთხვევები, როგორც არის ხულიგნობა, დანის ტრიალი ლოთობის ნიადაგზე და სხვა ამორალური დანაშაულობანი. ეს მოვლენები, კერძოდ აიხსნება იმით, რომ მილიციისა და სასამართლოს ორგანოები საკმაოდ არ იყენებენ საზოგადოებრიობის ძალეებსა და შესაძლებლობებს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვისათვის ბრძოლაში.

ღონისძიებები, რომლებსაც პარტიულ-საბჭოთა და აღმინისტრაციული ორგანოები ახორციელებენ დამნაშავეობისა და სამართლის დარღვევის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამბობს ამხ. ქავთარაძე, გაცილებით უფრო ეფექტიანი იქნებოდა, ამ საქმეში დიდ პასუხისმგებლობას რომ გრძობდნენ ყველა საწარმოს, დაწესებულების, სასწავლებლის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები. დადგა დრო, როცა ამა თუ იმ საწარმოს, დაწესებულების საქმიანობა უნდა შეფასდეს არა მარტო იმით, თუ როგორ ასრულებს იგი საწარმოო გეგმებსა და სხვა მაჩვენებლებს, არამედ იმითაც, თუ როგორ იცავს თავის კოლექტივში სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

მომხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დეთმოს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური საკუთრების დაცვასთან, მექრთამეობისა და სხვა თანამდებობრივ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლასთან. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ თავიანთ ოპერატიულ საშუალებებსა და შესაძლებლობებს. დამაკმაყოფილებლად არ წარმოებს ბრძოლა დატყვისა და სხვა ბოროტ-

მოქმედების აღსაკვეთად, ცუდად იყენებენ საზოგადოებრიობის დახმარებას.

აყოვნებენ და აჭიანურებენ მშრომელთა სიგნალების შემოწმებას, რის შედეგადაც დროულად ვერ ვლინდება მფლანგეულების, მექრთამეების, სპეკულანტების დანაშაულებრივი მოქმედება. მილიციის ორგანოების მუშაობებს ჯერ კიდევ არ დაუმყარებიათ სათანადო კონტაქტი საკონტროლო-სარევიზიო აპარატთან. მილიციის ზოგიერთი ორგანოს უფროსები ყოველდღიურად არ ხელმძღვანელობენ მუშაობას სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის დარგში, სწორად არ წარმართავენ მათი ხელშეყვითა მუშაობის საქმიანობას.

მილიციის ორგანოების მიერ გამოაშკარავებული საქმეების შესწავლა ცხადყოფს, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება, უწინარეს ყოვლისა, ხდება იქ, სადაც უყურადღებოდ მიტოვებულია აღრიცხვა, სადაც ცუდად იცავენ მატერიალურ ფასულობებს. არღვევენ წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, არ იცავენ სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს, ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმებს და, რაც მთავარია, დამაკმაყოფილებლად არ აწარმოებენ კადრებისა და უწინარეს ყოვლისა, მატერიალურად პასუხისმგებელი მუშაკების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას.

გამოვლინებულია შემთხვევები, როცა სხვადასხვა მასალის ხელფონურად შექმნილი აღრიცხვითი ნამეტი საღებვა სავაჭრო ქსელში, ადგილობრივი მრეწველობის, ყრუმწიფთა და უსინათლოთა საზოგადოების წევრი გადასამუშავებელ საწარმოო საამქროებში, სადაც ზოგჯერ თავშესაფარს პოულობენ ყოველი ჯურის გაძვირები, თაღლითები, თბილისის ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის № 1 და № 2 ატელიეებში, უსინათლოთა საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ფეხსაცმლის წარმოებასა და ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში დამნაშავენი დიდი ხნის მანძილზე იძენდნენ დატაცებულ ტყავებს, კერავდნენ ალურიცხავ ფეხსაცმელს, რომელსაც ფიქტიურ შტამებს ასვამდნენ და შემდეგ სავაჭრო ქსელის მეშვეობით ასაღებდნენ. გამოაშკარავებულია თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკაში ტყავეულის ორგანიზებულად მოპარვის აღმავფოთებული ფაქტები. საფამოშრელო საამქროს მუშაკთა ჯგუფს დანაშაულებრივი კავშირი დაუძყარებია საწყობის მუშაკებთან და მთელი რიგი წლების მანძილზე ხდებოდა გამოჭრის დროს დაზოგილი ტყავის დატაცება.

საკვებით გასაგებია, რომ მილიციის თანამშრომლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმისა-

თვის, რომ დროზე არ გამოავლინეს დამტაც-ხელთა ხროვა. მაგრამ იბადება კითხვა, ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ და 26 კომისიის სახელობის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამაც რატომ არაფერი არ იცოდნენ ამ სამარცხვინო მდგომარეობის შესახებ ასეთ მსხვილ საწარმოში და რატომ უფლიდნენ გვერდს იმ ფაქტებს, რომ ამჟამად მხილებული დამნაშავენი ხელგამლილად ცხოვრობდნენ საქვე შემოსავლით.

ჯერ კიდევ ხდება ბოროტმოქმედება ვაჭრობაში. ამ უკანასკნელ ხანს მხილებული არიან მთელი რიგი პირები, რომლებიც იტაცებდნენ ფულად სახსრებს, ყიდდნენ უფაქტურო საქონელს, ატყუებდნენ მომხმარებელს.

გამომყარევეთულია დატაცების ფაქტები ზოგიერთ დამამზადებელ ორგანიზაციაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ქოველივე ეს საწარმოო, სავაჭრო, მომმარაგებელი, დამამზადებელი და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ავალებს კრიტიკულად უფლებობდნენ მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაკთა კადრების დაკომპლექტებას და პარტიულად ყოველდღე უწევდნენ კონტროლს მათ საქმიანობას. ძირეულად უნდა გარდაიქმნას საკონტროლო-სარევიზიო აპარატების მუშაობა. უნდა მოწესრიგდეს საწარმოებში კონტროლისა და გაშვების სისტემა.

გადაჭრით უნდა გაძლიერდეს ბრძოლა მექ-

რობების, კაპიტალისტური წარსულის ამ სემარცხვინო და საზიზღარი მოვლენის წინააღმდეგ. ბოროტება ის არის, რომ მექრობამთა როლში ზოგჯერ ცალკეული თანამდებობის პირებიც კი გამოდიან, რომლებზედაც დამოკიდებულია მშრომელთა, საწარმოთა და დაწესებულებათა სხვადასხვა საჭიროების მოგვარება.

ამ უკანასკნელ ხანს მილიციის ორგანოებმა გამოამყარავეს მექრობამთასთან დაკავშირებული მთელი რიგი საქმეები. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერჯერობით ცოტა რამ გაკეთდა და აღნიშნული მანკიერების წინააღმდეგ ჯეროვანი ბრძოლა საქმარისად როდია გამლილი.

საჭიროა უფრო ენერგიულად გაიშალოს ბრძოლა სპეკულაციის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების სპეკულაციის წინააღმდეგ. სპეკულანტებისა და სხვა ანტისაზოგადობერი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა ჩავაბათ აქტივი, სახალხო რაზმეულები და ამავე დროს გავაძლიეროთ აღმზრდელი მუშაობა მოსახლეობაში და მაშინ სწორად გამოყენებულ სადამსჯელო პოლიტიკასთან ერთად დადებითს შედეგებს მივაღწევთ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობაში მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ისე უნდა წარმართოთ, რომ ავამაღლოთ მინდობილი საქმისათვის მუშაკთა პასუხისმგებლობის გრძნობა, მათი პატიოსნება, უანგარობა და შეურთებლობა ნაკლოვანებებისადმი.

გზა გადავულობოთ სამართლის დარღვევებსა და დამნაშავეობას

მოხსენებით გამოსულმა საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა თქვა, რომ კომუნისტურმა პარტიამ თავის ახალ პროგრამაში, რომელიც სკკპ 22-ე ყრილობამ მიიღო, დასახა ამოცანა — უზრუნველყვით სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, მართლწესრიგის ყოველი დარღვევის აღმოფხვრა, დამნაშავეობის ლიკვიდაცია, მისი წარმოშობი ყველა მიზეზის აღმოფხვრა. ეს ამოცანა წინასწარ ვანსაზღვრავს პროკურატურის ორგანოების საქმიანობის კურსს. კომუნისმის მშენებელ საზოგადოებაში არ უნდა იყოს სამართლის დარღვევა და დამნაშავეობა.

მომხსენებელი ამბობს, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული დამნაშავეობასთან და სოციალისტური კანონიერების დარღვევასთან ქმედითი ბრძოლის ორგანიზაციისათვის. სუსტად წარმოებს მუშაობა დანაშაულობათა თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის. მილიციის ორგანოების არაღამაჟმა-5. საბჭოთა სამართალი № 3.

ყოფილებელ საქმიანობად უნდა მივიჩნიოთ კერძოდ ის, რომ მეტი წილი დატაცებანი გამოამყარებულ იქნა არა მათი ჩარევის შედეგად, არამედ საუწყებო რევიზიისა და ინვენტარიზაციის, აგრეთვე საერთო ზედამხედველობის წესით წარმოებული შემოწმების საფუძველზე.

პროკურორები და გამომძიებლები ჯეროვანდ ვერ იყენებენ მათ მიერ გამოძიებულ სისჯლის სამართლის საქმეთა მასალებს, რათა დააყენონ საკითხი დანაშაულის ჩადენისათვის ხელისშემწყობი ამა თუ იმ მიზეზისა და პირობის აღმოფხვრის შესახებ. ნაკლებად არის გამოყენებული საზოგადოებრიობის დამხარება დანაშაულთა გამოამყარავეებისა და გამომძიებისათვის წარმოებულ მუშაობაში.

ამს. ბერძენიშვილმა ანალოზი გაუკეთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება-განაივების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობას. მან აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ წლებში გაუმჯობესდა მუშაობა სოციალისტური



საკუთრებას დაცვის კანონების განსახორციელებლად. მაგრამ ბევრი ორგანიზაციის პრაქტიკულ საქმიანობაში კვლავ გვხვდება ამ კანონების დაცვისადმი უპასუხისმგებლო, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ დანაშაულებრივ დამოკიდებულების ფაქტები.

მაგალითად, მიმდინარე წლის აპრილსა და მაისში რესპუბლიკის პროკურატურამ შეამოწმა, თუ როგორ სრულდება სოციალისტური საკუთრებას დაცვის კანონები ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის სისტემებში. გამოიჩინა, რომ აქ გაფლანგვისა და დატაცების მხრივ კვლავ ცუდი მდგომარეობაა, ხოლო მათი თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის სრულიად არაშედეგიანი ღონისძიებები ხორციელდება. უფრო მეტიც, არის შემთხვევები, რომ სახალხო დოვლათის დამტაცებლებს ლობიერად, გულკეთილად ეპყრობიან, მფარველობას უწევენ მათ.

დატაცება-გაფლანგვის ხელშემწყობი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ სავაჭრო ორგანიზაციებში შესუსტდა სიფხიზლე სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი, უხეშად ირღვევა კადრების შერჩევის პრინციპები. სავაჭრო საწარმოებში საშუაოდ ხშირად შეძერბიან ხოლმე უპატიოსნო, არაკეთილსინდისიერი ადამიანები. ისეც ხდება, რომ წინად დანაშაულისათვის ნასამართლე პირებს ნიშნავენ ისეთ თანამდებობებზე, რომელიც დაკავშირებულია მატერიალურ პასუხისმგებლობასთან, და იქ კვლავ სჩადიან თავიანთ ბუნდ საქმეებს.

სოციალისტური საკუთრების დატაცება და ბოროტმოქმედებანი მართო სავაჭრო ორგანიზაციებში როდი ხდება. ჩვენს დროში ეს შეუწყნარებელი მოვლენები გამოაშკარავებულია ცალკეულ სამრეწველო საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში, სადაც ეს მოვლენები ხშირად გვხვდება სახელმწიფო და სხვა ანგარიშგების დოკუმენტებში წარმატების, სიყალბის სახით. ამგვარად, სახელმწიფო სახსრები სხვადასხვა არხებით ყალთაზანდების ჯიბეში გადადის.

მთელი რიგი საქმეების გამოძიების პრაქტიკა,

ამბობს ამხანაგი ბერძენიშვილი, გვიჩვენებს, რომ სამრეწველო საწარმოებში დატაცებას ხელს უწყობს პროდუქციის დასამზადებელი ნედლეულის გადიდებულ ნორმები, სხვა რესპუბლიკებიდან ნედლეულის უგეგმოვად შემოტანა დანაშაულებრივი მოქმედების გზით, მუშაკთა არასწორი შერჩევა განსაკუთრებით მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე; მაგალითად, გორის ბამბეულის კომბინატის საწყობის გამგედ დანიშნეს ვინმე გ. თვრალაძე, განათლებით მათემატიკოსი. მან გამოიყენა თავისი „მათემატიკური“ ცოდნა და 25 ათას მეტრზე მეტი ქსოვილი მიითვისა.

პროკურატურისა და გამოძიების მუშაკები უღობულად უნდა ებრძოდნენ დამნაშავეებს, უფარულებდნენ მათ სასჯელის მკაცრ ზომებს. ამავე დროს ფართოდ უნდა ვიყენებდეთ საზოგადოებრივ ზემოქმედებისა და იმ პირთა ხელახლად აღზრდის ღონისძიებებს, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს ნაკლებნიშნელოვანი დანაშაული.

მტკიცე ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ, საჭიროა ქუჩის კომიტეტების, სახლმმართველობების, მთელი საზოგადოებრიობის დახმარებით გამოვავლინოთ მუქთახორები, რომლებსაც არა სურთ ჩაეზან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში და უპატიოსნო შემოსავლით ცხოვრობენ.

მოხსენებაში განხილულ იქნა საკითხი, თუ რა მდგომარეობაშია მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმე. პროკურატურის ორგანოებში მშრომელთა საჩივრებსა და განცხადებებს სერიოზული ყურადღება ეთმობა. მაგრამ ამ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ზოგიერთ მუშაკ ავიწყდება, რომ თითოეულ საჩივარს უკან აღამიანი. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა დიდი ყურადღებით, გულდასმით, ღრმად, არსებითად გავერყვეთ მშრომელთა ყველა საჩივარსა და განცხადებაში და უცლებლად ყველას უნდა გამოვეზნაუროთ.

მართლმსაჯულება — საბჭოთა კანონების სრული შესაბამისობით

მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ე. ტაყაიძეს. იგი ამბობს, რომ სკკპ მე-20 და 22-ე ყრილობების ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა დიდი როლი შეასრულა მართლმსაჯულების სწორი განხორციელების საქმეში. დადგენილებანი, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანს მიიღეს პარტიამ და მთავრობამ, ავალებენ სა-

სამართლოს მუშაკებს, ისევე როგორც სხვა აღმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს, გააძლიერონ ბრძოლა მექრთამეობის, ფლანგვის, სოციალისტური საკუთრების დატაცების, აგრეთვე სხვა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ. სასამართლო ორგანოების ამოცანაა სადამსჯელო პოლიტიკის სწორი განხორციელება.

არსებული სიგნალები გვიჩვენებენ, რომ მართლმსაჯულების ზოგიერთი მუშაკი კეთილსინდისიერად არ ეკიდება თავის სამსახურებრივ მოვალეობას. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა დაუყოვნებლივ გამოვეხმაროთ ასეთ სიგნალებს, ვაფშინდით ჩვენი რიგები მორალურად მერყევს ადამიანებისაგან, რომლებიც არცხვენენ მართლმსაჯულების ერთგულ პატიოსან მუშაკებს.

სასამართლოს მუშაკთა მექრთამეობა, დამნაშავეთა გამართლებისათვის ხელის შეწყობა, მათი საქმეებისადმი ლიბერალური დამოკიდებულება უნდა მივიჩნიოთ უმძიმეს დანაშაულად პარტიის, მთავრობის, ხალხის წინაშე. დამნაშავეებს უმკაცრესი პასუხი უნდა ვაგებინოთ.

ზოგიერთ სასამართლო ორგანოს გაუმართლებლად ლმობიერი განაჩენი გამოაქვს ხალხის ქონების დამტაცებლების და სხვა დამნაშავეებისათვის. მავალითად, გორის რაიონის სახალხო სასამართლომ (სახალხო მოსამართლე ამხ. გიორგაძე) განიხილა თანდილაშვილისა და ამირანაშვილის საქმე, რომლებმაც ჰოიპარეს 67 ათას მანეთისაზე მეტი საკოლმეტურეო ქონება. სასამართლომ შესაძლოდ მიიჩნია შეეფარდებინა მათთვის, თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ სამსამი წლით. წალენჯიხის რაიონის სახალხო სასამართლომ (სახალხო მოსამართლე ამხ. გეთია) ჭალის სავაჭრო წერტის გამგე-გამყოდველს უბილაეას 25 ათასამდე მანეთის მითვისებისათვის მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის უმაღლესი სასამართლოთა კოლეგიები მთელ რიგ შემთხვევებში დაუსაბუთებლად უმცირებენ მსჯავრდადებულთ სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილ სასჯელს. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობამ მომავალში პერსონალური

პასუხისმგებლობა უნდა დააკისროს იმ მუშაკებს, რომლებიც გაუმართლებელ ლმობიერებას გამოიჩენენ განსაკუთრებით საშიში დამნაშავეთა მიმართ.

ზოგიერთი სასამართლო და საგამომძიებლო ორგანო ჯეროვნად ვერ აფასებს საზოგადოებრიობის მონაწილეობას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

არ შეიძლება უგულვებლევით კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი იმ პირთა ხელახლა აღზრდასა და გამოსწორებაში, რომლებმაც ნაკლებმნიშვნელოვანი დანაშაული ჩაიდინეს. საჭიროა ავამაღლოთ ამხანაგური სასამართლოების ავტორიტეტი.

არ შეიძლება შევერიოთ ისეთ პრაქტიკას, როცა ჭინურდება სასამართლო საქმეთა განხილვის ვადა, მავალითად, შარშან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახალხო სასამართლებმა ვადების დარღვევით მოისმინეს საქმეთა 28 პროცენტი.

სახალხო მოსამართლეები აღჭურვილი არიან მშრომელთა დიდი ნაობით. ისინი რეგულარულად უნდა გამოდიოდნენ თავიანთი ამომრჩევლების წინაშე საანგარიშო მოხსენებებით. უამბობდნენ, თუ რა მუშაობა გასწიეს. ფაქტები კი მოწმობენ რომ ცხაკაიას, ლენტეხის რაიონების, ქალაქ რუსთავის სახალხო მოსამართლეები მთელი გასული წლის განძილზე ერთხელაც არ შეხვედრიან ამომრჩევლებს.


სასამართლოს მუშაკები უნდა ითვალისწინებდნენ, რომ ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშგებას, საქმეთა განხილვას საზოგადოებრივ ბრალდებათა და დამცველთა მონაწილეობით დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კანონების პოპულარიზაციისთვის, ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პროფილაქტიკური ღონისძიებაა, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის თავიდან აცილებას.

აღმოვფხვრათ საბჭოთა საზოგადოებისათვის უცხო მოვლენები

მოსხენებათა განხილვის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის სასამართლოს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები თანმიმდევრულად და მტკიცედ უნდა ახორციელებდნენ პარტიის იმ ხაზს, რომ მტკიცე ბრძოლას ეწეოდნენ სახალხო დოვლათის დატაცების, ქრთამის აღებისა და მიცემის და სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან უფრო სრულად გამოიყენონ საზოგადოებრივი ზეგავლენის ისეთი ფორმები, როგორც არის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, ამხანა-

გური სასამართლოები, ქუჩის კომიტეტები. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა, თქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ს. ჩხატრიშვილმა, მტკიცედ და თანმიმდევრულად ებრძვიან სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთ. რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან, რომ აღკვეთონ დანაშაულობანი, აწარმოონ ყოველდღიური აღმზრდელი მუშაობა მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში.

ანტისაზოგადოებრივი, დამნაშავე ელემენტებ-



ბის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს მიეძღვნა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები და პარტიის რაიკომების პლენუმები. გამოვლინებულ იქნა მატერიალურ ფასეულობათა დატაცების, გაფლანგვის, მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების დარღვევის, უფაქტურო საქონლის გაყიდვის, ხელიდან გადაშვების, კრებების მონაწილეებმა მოითხოვეს სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს ამ სამარცხვინო მოვლენებს. აღინიშნა, რომ მილიცია, პროკურატურა და სახალხო სასამართლოები საქმაოდ არ მუშაობენ დანაშაულებრივ გამოვლინებათა აღსაკვეთად.

თბილისის ზოგიერთი რაიონის პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები აჭიანურებენ გაფლანგვის, დატაცების საქმეების გამოძიებას. ისინი იშვიათად იყენებენ აღზრდის ისეთ ეფექტიან მეთოდებს, როგორიც არის ღია საჩვენებელი პროცესების მოწყობა საწარმოებში, კლუბებში საზოგადოებრივ ბრალმდებელთა მონაწილეობით. 26 კომისიის რაიონისა და პირველი მანის რაიონის სახალხო მოსამართლეებს მფლანგველებისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დამატაცებლებისათვის გამოქმენადი ღმობიერი, ლიბერალური განაჩენები. საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ ბრძოლა პარაზიტული ელემენტების, სპეკულანტების, ხელიდანგების წინააღმდეგ.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. ღვინჯილიამ აღნიშნა, რომ აფხაზეთის სასამართლო ორგანოებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებითა და პარტიული ორგანოების დადგენილებებით, გარკვეული მუშაობა გასწიეს დამნაშავეობისა და სამართლის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. განმარტავდა სასამართლო ორგანოების კავშირი საზოგადოებრიობასთან.

გაფლანგვასა და დატაცებას, განაცხადა მას შემდეგ, ხელს უწყობს სარევიზიო მუშაობის ცუდი დაყენება და ზოგიერთ რევიზორთა არაკეთილსინდისიერი, ხშირად, დანაშაულებრივი დამოკიდებულება საქმისადმი, მავალითად, ტყვარჩელის ავტოსატრანსპორტო კანტონაში, დიდხანს მოქმედებდა სოციალისტური საკუთრების დამატაცებელთა ხროვა, რომელშიც იყენებნარმანია, ძდივანი და მელნიკოვა. ავტოსატრანსპორტო კანტონის სადინანსო-მატერიალური საქმიანობა ორჯერ შეამოწმეს საქართველოს რევიზორებმა—ოსიპოვმა და პოდოსოვმა, მაგრამ რატომღაც ვერაფერი აღმოაჩინეს. ორივე ამ მტრეთოდებულ რევიზორს დაედო მსჯავრი დამტაცებლებთან ერთად. საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ცუდი დაყენების გამო დიდი დატაცე-

ბა მოხდა საქმინვაქრობის აფხაზეთის განტორაში.


სახელმწიფო ფასეულობათა დატაცებას ხელს უწყობს კადრების ზერელე შერჩევა. ამის გამო სახსრების დიდი დატაცება მოხდა „აფხაზეთომომარაგებაში“. პასუხისგებაში მიცემულ პირთა შორის არის ათი კაცი, რომლებიც წინათ გასამართლებული იყვნენ გაფლანგვისა და კომბინაციებისათვის. მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე უნდა ვაწინაურებდეთ გულდასმით შემოწმებულ, პატიოსან, კეთილსინდისიერ ადამიანებს.

ფოთის მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსმა დ. აღანიაშვილმა აღიარა, რომ ქალაქ ფოთში ჯერ კიდევ ეკმაოდ არ წარმოებს ბრძოლა დამნაშავე ელემენტების წინააღმდეგ. ხელიდანგების, დებოშორებისა და მართლწესრიგის სხვა დამრღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში სუსტად ვიყენებთ სახალხო რაზმელებს. ამის მიზეზი ის არის, რომ რაზმელებს საქმაოდ არ ხელმძღვანელობენ პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები. მათ მთავარ ყურადღება უნდა მიექციონ ახალგაზრდობაში მასობრივ-აღმზრდელი მუშაობის გაუმჯობესებას.

— საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს აღწევს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და ამოქმენის კომუნისზმის მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, — ამბობს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტური შრომის უზნის ხელმძღვანელი გ. თევზაძე. ახლა მთავარი ამოცანა აღზარდოთ მშრომელები კომუნისტური სულიკეთებით, წარსულის იმ გადმონაშთებისადმი შეურავებლობის სულიკეთებით, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩა ზოგიერთი ადამიანის შეგნებაში.

ძირსეციანად უნდა აღმოვფხვრათ კაპიტალიზმის ისეთი მავნე მეგვიდრეობა, როგორც არის მუქთაზრობა, ლოთობა, ხელიდანგობა, სპეკულაცია, მექრთამეობა, ქალისადმი უზრდელი დამოკიდებულება, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს წინსვლას.

ამ ამოცანის გადაჭრაში მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებს ეხმარება საზოგადოებრიობა. მუშათა და მოსამსახურეთა კრებები, ამხანაგური სასამართლოები მერყევი ელემენტების აღზრდის მძლავრი საშუალება გახდა. ქალაქ რუსთავში შეიქმნა საზოგადოებრივ რაზმელთა 57 რაზმი, რომლებიც 5 ათასამდე კაცს აერთიანებენ. რაზმებმა ამხილეს ბევრი გამფლანგველი, სახალხო დოვლათის დამატაცებლები, მექრთამეები.



თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ბ. ფურცხვანიძე აღნიშნავს, რომ საბჭოთა საზოგადოება ევლარ მითითებს სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებს, მექრთამეებს, მოძალადეებს, ხულიგნებს, მუქთახორებს და სხვა პარაზიტებს. ბრძოლა ამ საშიშ დამნაშავეთა წინააღმდეგ უნდა წარმოებდეს მწვავედ, კანონის მთელი სიმკაცრით.

დიდი საზოგადოებრიობის მნიშვნელობა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დანაშაულის საშიშ სახეობათა წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი და ძირითადი სიმძიმე აწევბათ მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებს.

სავამომხიებლო ორგანოებმა და სასამართლომ უნდა უზრუნველყონ ყველა დანაშაულებრივი მოქმედების საჭარო გამოცხადება, ვინც უნდა ჩაიდინოს იგი, რათა, როგორც ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, გაეაქარწყლოთ შეზღუდულებანი დამნაშავეთა დაუსჯელობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი თ. ბაღურაშვილი ამბობს, რომ ჩვენი საზოგადოების ჯანსაღ სხეულზე ჯერ კიდევ არის წარსულის მავნე გავლენათების წყლულები. მათი სრულად და სწრაფად აღმოფხვრა თვითეული კომუნისტის, თვითეული საბჭოთა ადამიანის წმიდათაწმიდა მოვალეა. მან ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელსაც რაიონის პარტიული ორგანიზაციები ეწევიან სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა, თაღლითობის, ხულიგნობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აშხ. ბაღურაშვილმა გააკრიტიკა ცეკავშირისა და საქაქრობის საკონტროლო-სარევიზიო აპარატები, რაიკომის მიერ თელავის რაიონის სავაჭრო ქსელის არაერთგზის შემოწმების შემდეგ, უტყვე ამ აპარატების მონაწილეობის მიუღებლად და ჩურჩელად, გამოაშკარადა გავლანგავდატაცებანი. კონტროლის გაძლიერების მიზნით პარტიის რაიკომთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა საწარმოთა, სამშენებლო და სავაჭრო ორგანიზაციათა მუშაობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის სამი კომისია.

ლოთობის, ხულიგნობისა და ავტომოჩირითეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე ილაპარაკა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის მოადგილემ ი. გონაშვილმა. სამხრეთ ოსეთის პარტიულმა, საბჭოთა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საზოგადოებრიობამ გააძლიერეს დახმარება მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებისადმი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მუშაობაში ჩაებნენ საოლქო განეთები, რადიო. ისინი

ულმობლად ამხილებენ გამფლანგელებს, კომბინატორებს, ხულიგნებს, ააშკარაებენ დანაშაულობათა მიზეზებს. საზოგადოებრიობის შემოქმედება დადებით შედეგებს იძლევა — ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა რაოდენობა წელს შარშანდელთან შედარებით სანახევროდ და მეტად შემცირდა.


გავლანგვისა და დატაცების ძირითადი მიზეზებია, აღნიშნავს აშხ. გონაშვილი, უპასუხისმგებლო მიდგომა კადრების შერჩევისადმი. სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის ორგზის ნასამართლევი შ. იოსებაშვილი პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ სამუშაოდ მოეწყო ცხინვალუაჭრობაში მაღალის გამგედ და მოკლე ხანში მითთვისა 7000 მანეთი. სპეკულაციურ მაქინაციებს ეწეოდა ქსუისის ხილის დამზადების პუნქტის გამგე თაკაევი. მან და მისმა დაქაშებმა 8 თვის განმავლობაში მოასწრეს გავლანგვათ 100 ათასი მანეთი.

საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. მეტრეველმა ილაპარაკა ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობის შემოქმედებითის შრომაზე, მათ წარმატებებზე სწავლაში, საწარმოებში, საბჭოთა მეტურნეობებში, კოლმეურნეობებში. სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და დაწესებულებებში თავდადებით შრომობს ათეულ ათასობით ქალიშვილი და ქაბუკი. ისინი ქმნიან ახალ მანქანებს, იღებენ ქვანახშირს, აღნობენ ლითონს, აგებენ შენობებს, მოჰყავთ უხვი მოსავალი მიწდრებებსა და პლანტაციებში.

მათ გვერდით უმაღლესი ჩანან მუქთახორები, უქნარები, ხულიგნები და დებოშიორები — ახალგაზრდები, რომლებიც სწორ გზას ასცდნენ. მათ შორის უნდა ვაწარმოთ ყოველდღიური აღმზრდელითი მუშაობა, ჩავაბათ ისინი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. უნდა ვამხილოთ ის უქნარები ახალგაზრდათა რიცხვიდან, რომლებიც საეჭვო სახსრებით ცხოვრობენ, სჩადიან უმსგავსობას, რომელიც სწორად დანაშაულს უტოლდება. ახალგაზრდობა, უწინარეს ყოვლისა კომკავშირელები, მართლწესრიგის დამტრვეთა წინააღმდეგ მებრძოლთა მოწინავე რიგებში უნდა იყვნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრმა დ. თუხარულმა თქვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმს, რომ აღამაშნები, რომლებმაც მცირე დანაშაული და ხულიგნობა ჩაიდინეს, ხელაზლა აღზარდონ იმ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეტურნეობების, დაწესებულებების კოლექტივებმა, სადაც ისინი მუშაობენ. საქორთა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ საქმეების გასარჩევად ამხანაგური სასამართლები.

სასამართლო ორგანოებმა უკანასკნელ ხანს



მკვეთრად შეამცირეს პირობითი განაჩენის გამოტანა. ასეთ განაჩენებს კი დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს იმ პირობათვის, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს მცირე დანაშაულობანი. ამავე დროს უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა სოციალისტურად საშიში ელემენტების — სახელმწიფო, კოლპერაციული ქონებისა და სახსრების დამტაცებლებისა და გამფლანგების წინააღმდეგ, რომლებიც ზიანს აყენებენ ჩვენი ქვეყნის წარმატებით განვითარებას.

ქობულეთის რაიონის პროკურორმა დ. თაძაშვილმა აღნიშნა, რომ გამოვლინებული გაფრთხილებები, დატაცებანი, ხელიგნობა მოწმობის, მსაჯობად არ წარმოებს პროფილაქტიკური საბა, რომელიც უზრუნველყოფს იმის შედეგობას, რომ თავიდან ავიცილოთ დაქუელი ჩანასახვიე, სწორ გზაზე დაეყენოთ დამცდარი ადამიანები. პარტიული ორგანიზაციები მკაცრად უნდა სჯიდნენ იმ საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, სადაც მათი დოყლაბიობის გამო ჩადენილია დანაშაულობანი.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე. იგი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოების მუშაობა შესაშინეველ გააქტიურდა, უფრო პრინციპული და შეტევიითი ხასიათი მიიღო. მათი ღონისძიებებით გამოვლინებული და თავიდან აცილებულია ბევრი სხვადასხვა დანაშაული. მხილებულია თადლითა, საქმოსანთა, კომბინატორთა, წამგლეჯთა, მომხეველთა მნიშვნელოვანი რიცხვი. მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს თვითდამშვიდებას მივცეთ.

ფაქტები მოწმობენ, რომ დანაშაულობანი შესაძლებელი გახდა უწინარეს ყოვლისა ზოგიერთი კომუნისტის სიფხიზლის მოღუენების, უკონტროლობის, პარტიული, საბჭოთა—სამეურნეო ორგანოებისა და ორგანიზაციების, მათი ცალკეული ხელმძღვანელების ყურადღებისა და მომთხოვნელობის შესუსტების შედეგად.

ანალიზს უკეთებდნენ რა იმ მიზეზებს, რომლებიც ხელს უწყობენ სახალხო დოვლათის განიავებას, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე კომუნისტები ავლინებდნენ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და ბოროტმოქმედებას მუშაობაში, მოწყვედათ უყარაობის, გამფლანგელობის, თვალისახვევის, სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის დარღვევის მავალითები. ისინი აცხადებდნენ, რომ მზად არიან უღობილად შეუტეონ ყველა მიმართულებით ყოველივე უცხოის, მიუღებელს, რაც კი მემკვიდრეობად მივიღეთ ძველი სამყაროსაგან, სანამ საბოლოოდ არ აღმოფხვრიან მას.

ამხ. სირაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახალხო, ფართოდ გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პირობებში, დადგა დრო ასე სრულად და მწვავედ დაეყენოთ საკითხი ყოველივე იმის უსწრაფესად აღმოფხვრის შესახებ, რაც კი ხელს უშლის საბჭოთა ადამიანების გიგანტურ, შემოქმედების შრომას ჩვენს ქვეყანაში კომუნისტების მშენებლობის იმ დიდი პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც პარტიამ შეიმუშავა და სკკპ XXII ყრილობამ მიიღო.


ორატორებმა თავიანთ გამოცდებში გააშუქეს წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა ხალხმა და მასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს პარტიის ყრილობის შემდეგ კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით. საბჭოთა ადამიანების მიერ მოპოვებულ ამ გამარჯვებათა პირობებში, ამბობს ამხ. სირაძე, სრულიად შეუწყურებელი და დაუშვებელი ხდება ცალკეული, თუნდაც უმნიშვნელო გადახვევა ცხოვრების საერთოდ მიღებული ნორმებისაგან, პარტიული, სახელმწიფოებრივი დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევები.

ვ. ი. ლენინი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ „სულ მცირე უკანონობა, საბჭოთა წესრიგის სულ მცირე დარღვევა უკვე ნაკლია, რომელსაც მყისვე გამოიყენებენ მშრომელთა მტრები“.

შართლაც, დღესაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს არა ჰყავთ უფრო საშიში მტრები, ვიდრე წამგლეჯები და სპეკულანტები, ეგოისტები და მომხეველები, საქმოსნები და სახალხო სიმღიდრეთა დამტაცებლები, მუქთასორები და უქნარები, რომლებიც ოპივით მაცნე ნაღუქად შემორჩენილან და მზამავენ ჩვენს ნათელ ცხოვრებას.

ამხ. სირაძე ამბობს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა პროფილაქტიკური, გამაფრთხილებელი მუშაობა. მთავარი ის არის, რომ ჩანასახვიე აღკვეთით და აქტიური ზემოქმედება მოეხდინოთ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს, გამოვიყენოთ მათ წინააღმდეგ არა მარტო სასჯელის ყველა ზომა, არამედ ხელახლა აღზრდის ღონისძიებათა სისტემაც.

ყველაზე მეტად სწორედ ამ საკითხში სცოდავენ მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები. არ შეგვიძლია დავასახელოთ თითქმის არც ერთი შემთხვევა, რომ თავიდან აცილებული ყოფილიყო განზრახული დიდი კომინაცია, გაფლანგვა ან დატაცება. ცალკეულ უწყებებში კანონიერების დარღვევათა და მათ ხელშეწყობი მიზეზების აღმოფხვრის შესახებ წინადადებანი, სახელმწიფო სახსრების დატაცე-



ბის ხელშეწყობი სხვადასხვა არხებისა და საძრომების ლიკვიდაციის შესახებ რადიკალური წინადადებანი ცოტა შემოდის პროკურატურისაგან ჩვენს ხელმძღვანელ და ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში.

გამოდის ლოგიკური დასკვნა, რომ პროკურატურა ადგილებზე სრულფასოვნად არ უწყევს კონტროლს საბჭოთა კანონების ზუსტად შესრულებას.

უკვე მხილებულ დანაშაულებათა კვალდაკვალაც კი ჩვენი ადმინისტრაციული ორგანოები მეტად უხალისოდ იჩენენ ინიციატივას, რომ ცალკეულ საწარმოთა კოლექტივებთან ერთად განიხილონ საკითხი, თუ სახელდობრ რა პირობებში შეუწყო ხელი დანაშაულის ჩადენას და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ძირფესვიანად აღმოიფხვრას ეს პირობები.

მთელ თავიანთ მუშაობას დანაშაულებათა აღკვეთისათვის ადმინისტრაციული ორგანოებშია საფუძვლად უნდა დაედონ მჭიდრო კონტაქტი საზოგადოებრიობასთან, ხალხთან, ჯეროვნად დაეყრდნონ საზოგადოებრიობას და იმოქმედონ მისი უშუალო კონტროლით.

ასლანდელ პირობებში ეს გაცილებით უფრო ადვილი განსახორციელებელია, რამდენადაც ყველა პირველად ორგანიზაციაში შესამჩნევად იგრძნობა სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის საკითხებში ჩაურევლობის პოზიციისა და პოლიტიკის შეცვლა. მთელი ორგანიზაციაში უშექმნილია საზოგადოებრივი კომისიები, რომლებიც კონტროლს უწყვენ მატერიალურ ფასეულობათა დაცვას საწარმოებში, მშენებლობებზე, საწყობებში, ბაზებში, სავაჭრო დაწესებულებებში.

ყოველივე ეს უფრო ხელშეწყობ ნიადაგს ქმნის, რეალურ შესაძლებლობას აძლევს ადმინისტრაციულ ორგანოებს უფრო სრულად გამოავლინონ მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ დატაცებას, უფრო გაბედულად დააყენონ იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მათთვის მინდობილ ფასეულობათა დაცვას და ქმნიან ხელშეწყობ ვითარებას ანტისაზოგადოებრივი ელემენტებისათვის, რომლებიც ხელყოფენ სახალხო დოვლათს.

ამხ. სირაძემ თავის გამოსვლაში დაწვრილებით განიხილა გადაუდებელი ამოცანები, რომლებიც დგას რესპუბლიკის სასამართლოს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების წინაშე. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა ამაღლდეს ადმინისტრაციული ორგანოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. უნდა მივა-

ღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ პირველ რიგში პირველად პარტიულ ორგანიზაციებსა და მათ მდივნებს ეკისრებოდეთ სრული პასუხისმგებლობა კომუნისტების საქმეებსა და მოქმედებისათვის, მათი მორალური სახისათვის, იმისათვის, რომ დარაზმონ და წარმართონ ყველა მუშაი იმ ამოცანების წარმატებით გადასატრელად, რომლებსაც პარტია აყენებს პროკურატურის, სასამართლოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგენენ მუშაობას იმისათვის, რომ გაწმინდონ ორგანოები საექვო, უპატიოსნო პირებისაგან, უფრო გაბედულად, მოურიდებლად გამოუცხადონ მათ უნდობლობა, თუ ისინი ამის ღირსი არიან. საჭიროა გადატრიათ ვაგაუმჯობესოთ მუშაობა კადრების აღზრდისა და სრულყოფისათვის, მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელებისათვის.

თავისი გამოსვლის დასასრულს ამხ. სირაძემ თქვა, რომ გაფლანგვების, დატაცების, მექრთამეობის, მექთანბრობისა და წარსულის სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლა ხანმოკლე კამპანია როდია, არამედ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების, ადმინისტრაციული ორგანოების, მთელი ჩვენი საზოგადოების ყოველდღიური ზრუნვის საგანია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების პარტიული ორგანიზაციები, ყველა კომუნისტი, თავიანთი მოვალეობის სრული შეგნებით გააჩაღებენ ბრძოლას ჩვენი საზოგადოებისათვის სამარცხვინო, მავნე, უცხო გამოვლინებათა წინააღმდეგ, განსახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს მუშაობაში დამკვიდრებული შტელომებისა და ხარვეზების ლიკვიდაციისათვის, გამარავლებენ თავიანთ ღონისძიებებს საბჭოთა კანონების ზუსტად დაცვის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

განხილულ მოხსენებათა გამო მიღებულა გადაწყვეტილება.

პარტიული აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ა. გუგუშიძე, დ. გ. სტურუა, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, რ. ი. ფრუბე, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგვაძე, შ. ი. ჭანუყვაძე, თ. ე. ჩერქეზია, სკვპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების ინსტრუქტორი ს. ვ. მურაშოვი, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები. (საქდესი).

სამეცნიერო კონფერენცია სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე

1962 წლის 24 მაისს ქ. თბილისში გაიხსნა სამეცნიერო კონფერენცია სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე, რომელიც მოიწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის სამეცნიერო-კვლევითმა კრიმინალისტურმა ლაბორატორიამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრამ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის გამოჩენილმა იურისტებმა, მრავალი ინსტიტუტისა და ლაბორატორიის ექსპერტებმა, სასამართლო, პროკურატურის და მომკვლევო ორგანოების მუშაკებმა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ მ. ყ. ლომიძემ.

მოსხენება — თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის მუშაობის 10 წლისთავის შესახებ, — გააკეთა ლაბორატორიის გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, აშ. გ. ციმაკურიძემ. მომხსენებელმა ვრცლად მოუთხრო დამსწრეთ ლაბორატორიის განვლილი მუშაობის შესახებ, ილაპარაკა იმ დიდ დახმარებაზე, რომელსაც კრიმინალისტური ლაბორატორია უწყევს ჩვენი რესპუბლიკის მოკვლევის, პროკურატურის და სასამართლო ორგანოებს დანაშაულის გახსნის საქმეში.

კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი დოც. გ. ინწკირველი, რსფსრ-ს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის განყოფილების უფროსი ა. ე. შლიახოვი, საქართველოს სსრ პროკურატურის პროკურორ-კრიმინალისტი ო. ე. ვლენტი, დუშანბეს სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის გამგე — დოცენტი, ი. მ. იაკოვლევი, ხარკოვის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი — დოც. ვ. პ. კოლმაკოვი; ლენინგრადის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე ვ. ნ. ესტიუკოვი, ლიტვის სსრ სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ა. ბ. ჩიპასი; ერევნის სასამართლო ექსპერტიზის

სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი ი. პ. ოგანიანი. აზერბაიჯანის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ფ. ე. დავუდოვი; ყაზახეთის სსრ სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ვ. ა. ხვანი; საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ი. ფ. გვიგითაძე; საქართველოს სსრ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს უფროსი რ. რ. გვეტაძე, რიგის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის გამგე ვ. ა. სოკოლოვი; სსრ კავშირის პროკურატურის კრიმინალისტიკის სამეცნიერო-კვლევითი საკავშირო ინსტიტუტის დირექტორი ა. ი. ვინბერგი.

პლენალურ სხდომაზე მოხსენებით — „სახოგადობრივი ორგანიზაციების როლი სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში“ — გამოვიდა პროფ. ს. პ. მიტრიჩევი. სასამართლო ექსპერტიზის საგანზე ილაპარაკა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. პ. შლიახოვმა. თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის უფროსმა ექსპერტმა ო. მეგლაძემ წაიკითხა სინტერესო მოხსენება თემაზე: „კრიმინალისტური ექსპერტიზისა და მისი დაწესებულებების ისტორიის საკითხისათვის საქართველოში“.

მოხსენებების განხილვის შემდეგ სასამართლო ექსპერტიზის ცალკეულ საკითხებზე გაიმართა სექციების სხდომები.

კონფერენციაზე მუშაობდა ორი სექცია. პირველი სექციის ხელმძღვანელი იყო იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოც. ბ. ხარაზიშვილი. მეორე სექციის ხელმძღვანელი — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ა. ფალიაშვილი.

სასამართლო ექსპერტიზის თეორიულ და პროცესუალურ საკითხებზე მოხსენებით გამოვიდნენ: ვ. ა. ხვანი (გრადიკული ექსპერტიზის სინთეზები), ა. ვ. კიხნერი (რენდგენული მეთოდების როლი და მნიშვნელობა საექსპერტო და სამძებრო პრაქტიკაში), ა. ი. ჩერ-

ნოვა (უნივერსალური საექსპორტო ფოტოდანადგარი), მ. პ. ქელბახიანი (ბასრიმჭრელი იარაღის კრიმინალისტური გაიგივება), კ. ზ. ბონდარევი (გასროლილი მასრების მიხედვით დროის ხანდაზმულობის საკითხისათვის), მ. ს. შლუბიკოვი (ლითონზე კვლების გამოკვლევის ზოგიერთი თავისებურებების შესახებ); ო. ვ. ყავლაშვილი (გარეგანი ნიშნების მიხედვით სასამართლო ექსპერტიზის წარმოების მეთოდის ზოგიერთი საკითხი).

მოხსენებით თემაზე — „ხელის ნიშნების მდგრადობა ხელნაწერებში, რომლებიც შესრულებულია დროის დიდი სხვაობით“, — გავიდის ხარკოვის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტი ი. მ. მოყარა.

მოხსენება თემაზე — „გასროლილი ტყვიებისაგან დაზიანებული ლულით ცეცხლმსროლელი იარაღის იდენტიფიკაციის საკითხისათვის“, — გააკეთა გ. ა. ვაჩივილი. მას მოყავს დასაბუთებული მაგალითები, თუ როგორ წყვეტენ დღერსათვის ცეცხლმსროლელი იარაღის იდენტიფიკაციის საკითხს. გ. ა. ვაჩივილი წამოაყენა მთელი რიგი საინტერესო მოსაზრებანი და გზები ამ საკითხის უფრო სრულყოფილად გადაწყვეტისათვის.

საბოლოო სხდომაზე თავმჯდომარე ლომიძე სიტყვას მოხსენებისათვის აძლევს სასამართლო ექსპერტიზის სექციის ხელმძღვანელს ა. ფალიაშვილს: იგი აღნიშნავს, რომ სექციამ სულ მძიმისა 14 მოხსენება, საინტერესო მოხსენებით გამოვიდნენ რსფსრ, უკრაინის, ყაზახეთის, ლიტვის, სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების ხელმძღვანელები. ა. ფალიაშვილი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ვ. ხვანის, ი. მოყარის, ხ. ჯაქსიმბეტოვის მოხსენებებს, რომლებიც დიდ სარგებლობას მოუტანენ ექსპერტ-

გრაფიკოსებს, ბალისტებს, ავტოსაგზაო და ტექნიკური გამოკვლევის მუშაკებს.

სასამართლო ექსპერტიზის ზოგადთეორიული და პროცესუალური საკითხების სექციის ხელმძღვანელმა ბ. ხარაზიშვილმა შეაჯამა სექციის შედეგები და აღნიშნა, რომ ამ საკითხებზე მოსმენილი იყო 10 მოხსენება, ხოლო მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო კონფერენციის 4 წევრმა. ბ. ხარაზიშვილმა მიუთითა სექციის მუშაობის ნაკლებეც — ერთი თემის ირგვლივ წაკითხული იქნა სამი მოხსენება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ მ. ყ. ლომიძემ, დასკვნით სიტყვაში შეაჯამა კონფერენციის შედეგები და ილაპარაკა იმ დიდ მნიშვნელობაზე და სარგებლობაზე, რომელიც კონფერენციამ მოუტანა არა მარტო ქართველ კრიმინალისტებს, არამედ მოძმე რესპუბლიკების სასამართლო ექსპერტიზის, სასამართლოს, პროკურატურის და მოკვლევითი ორგანოების მუშაკებს. ამხ. მ. ლომიძე რწმუნას გამოთქვამს, რომ ჩვენი ქვეყნის კრიმინალისტები კიდევ უფრო ამაღლებენ კრიმინალისტური კვლევის მეთოდებს, რითაც ხელს შეუწყობენ ბოროტმოქმედების აღმოფხვრას.

სიტყვის დასასრულს მ. ყ. ლომიძემ მადლობა გადაუხადა კონფერენციის მონაწილეებს და უსურვა წარმატებები შემდგომ მუშაობაში.

კონფერენციის შემდეგ სტუმრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს. იყვნენ მცხეთაში. სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს უძველესმა დედაქალაქმა. კონფერენციის მონაწილეებმა ინტერესით დაათვალიერეს აგრეთვე ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი სავერამოში.

ლ. კავლიშვილი.



სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის

თბილისში სანიმუშო წესრიგის დამყარება მთელი საზოგადოებრიობის მოვალეობაა, მშრომელთა ფართო მასების ღვიძლი საქმეა. ამ საფრთხის მიძღვრა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს, მილიციის, პროკურატურის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტივის კრება. მომხსენებლებმა — რაიონის პროკურორმა შ. გუმბარიძემ და პარტიის ორჯონიკიძის რაიონის მდივანმა ვ. კაჭარავამ აღნიშნეს, რომ კომუნისმის გაშლილი მშენებლობის ეტაპზე, ჩვენი ქვეყნის მოსაზრებლები ვერ დაუშვებენ პარაზიტების, მუქთანობების, სხვის ხარჯზე უშრომლად გამდიდრების მანიით შეპყრობილი ანტისაზოგადოებრივი ელემენტების დაუსჯელ თაერუს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით უკანასკნელ ხანს მიღებული კანონები — სოციალისტური საკუთრების დაცვების, მექრთამეობის, გაუპატიურების და მილიციის მოუხადისა და რაზმელების ხელყოფის სათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, აგრეთვე სხვა კანონების გამოცემა თვით ცხოვრებით იყო ნაკარნახევი.

რაიონის სახალხო სასამართლოს, მილიციის, პროკურატურის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა ბოლო ხანებში გაუმჯობესდა. სულ უფრო მცირდება სახელმწიფო დოვლათის დაცვების, მექრთამეობის, სპეკულაციის და სხვა სახის დარღვევთა შემთხვევები. გაძვირით გაუმჯობესდა მომკვლევით და საგამომძიებლო ორგანოების საქმიანობა. შემცირდა საქმეთა გამოძიების განხილვის ვადები. გაძლიერდა დასჯით პრაქტიკა განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა მიმართ.

მაგრამ ჯერ კიდევ არადაამკმაყოფილებლად წარმოებს ბრძოლა საზოგადოებრივი ქონების დაცვების წინააღმდეგ. ხშირად ასეთი დანაშაული გამოწვეულია წარმოება — დაწესებულებებში მატერიალურ-საპასუხისმგებლო თანამდებობებზე კადრების არასწორი შერჩევით, მატერიალურ-ფასეულზეა აღრიცხვის საქმის მოუწესრიგებლობით. ბევრგან ცუდად არის დაცული სახელმწიფო ქონება, არადაამკმაყოფილებლად მუშაობენ უწყებათა სარევიზიო აპარატები, ადგილი აქვს დამნაშავე პირთა მფარველობის შემთხვევებსაც.

მომხსენებელს მოყავს მაგალითები რაიონში განლაგებულ სავაჭრო ორგანიზაციების შემოწმების შედეგებზე, სადაც გამოვლინდა არაერთი ფაქტი, როდესაც მატერიალურ პასუხისმგებელ თანამდებობაზე მუშაობდნენ წარსულში ნასამართლობის მქონე პირები,

მარჯვენა ნაპირის თბილკვებავარობის დირექციამ № 88 მაღაზიის გამგის თანამდებობაზე მიიღო სახელმწიფო ქონების დაცვებისათვის წარსულში სამართალში ყოფილი ვ. ხელუაშვილი, რომელმაც სამი თვის განმავლობაში მითვისა 1854 მანეთი, აგრეთვე სარეალიზაციოდ ფარდულში შეიტანა 180 ბოთლი ფალსიციურებული არაყი. თბილკვებავარობის № 161 ფარდულში გამყიდველად მუშაობდა რამდენჯერმე მძიმე დანაშაულისათვის სამართალში ნაყოფი პირი გ. სარქისოვი, რომელიც სხვა ბოროტმოქმედებთან ერთად თავს დაესხა სტორტული ინვენტარის საჩქროს და დიდი ოდენობის სახელმწიფო ქონება გაიტაცა.

შემოწმებამ სერიოზული დარღვევები გამოავლინა სამშენებლო ორგანიზაციებში.

თბილისკომუნის № 5 სამშენებლო სამართველოში კადრების დიდ დენადობას აქვს ადგილი (უფროსი ამხ. ზ. გუდაძე, კადრების განყოფილების გამგე ე. ვინჯარაძე). აქ მატერიალურ-საპასუხისმგებლო თანამდებობებზე შეუმოწმებელ პირებს ღებულობენ, გაფლანგვისათვის სამუშაოდან განთავისუფლებულ პირებს არ უსწორებენ ანგარიშს, შრომის წიგნაკში არ უწერენ სამსახურიდან წასვლის ნამდვილ მიზეზს. სამართველოში 1958 წელს სამუშაოთა მწარმოებლად მიღებულ იქნა ინჟინერი ჯ. წულაია. 1959 წლის 23 ივლისს, იგი, როგორც ამ საქმისათვის შეუფერებელი ათისთვეად იქნა ჩამოყენებული, ამავე წლის 31 ივლისს სამშენებლო სამართველოს უფროსის ბრძანებით მოიხსნა სამუშაოდან, 15 დეკემბრის ბრძანებით ჯ. წულაია აღდგენილ იქნა იმავე თანამდებობაზე, ხოლო 1961 წლის 26 აპრილს ზ. გუდაძის ბრძანებით, მშენებლობის უხარისხოდ ჩატარებისათვის, იგი განთავისუფლებული იქნა სამუშაოდან, მას კი ამ დროისათვის 104.19 მანეთი დანაკლისი ქონდა, რაც ბრძანებაში აღნიშნული არ იყო. ჯ. წულაიამ ხელზე მიიღო შრომის წიგნაკი, რომელშიც არ იყო მითითებული სამუშაოდან განთავისუფლების მოტივი, დაუბრკოლებლად მოეწყო სხვა სამუშაოზე და გააგრძელა ბოროტმოქმედება. ანალოგიურ მდგომარეობას ქონდა ადგილი სხვა სამშენებლო სამართველოებშიც.

გაფლანგვა — მტაცებლობის შედეგად 1961 წლის განავლობაში სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი 66.249 მანეთს შეადგენს. აქედან სამშენებლო კოოპერატივებში გაფლანგული იყო 41.647 მანეთი,

მოსხენებში დიდი ადგილი დაეთმო მშრომელთა განცხადებების განხილვა-გადაწყვეტის საქმეს.

მოყვანილი იქნა იმის მაგალითები, როდესაც ცალკეული უპრინციპო ადამიანები შეურაცხყოფენ საქმიან და პატიოსან ადამიანებს, წერენ უსახელო წერილებს. ასე მაგალითად: პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში აბიტურიენტთა ჩარიცხვისას ქრთამის გამოძღვას ადასტურებდა ერთ-ერთი უსახელო წერილი. დრო ბევრი დაიხარჯა. წერილში მოყვანილი ფაქტები არ დადასტურდა, ხოლო მისი ავტორი კი დაადგინეს. იგი აღმოჩნდა ამავე ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი ა. მიხაილოვი, რომელიც ადრე გარიცხული იყო ინსტიტუტიდან — აკადემიური ჩამორჩენილობის გამო.

მომხსენებლები შეეხენ აგრეთვე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ფაქტებს არასრულწლოვანთა მიერ, რომლებზედაც როგორც მშობლები, ისე სკოლაც არასაკმარის აღზრდებით ზეგავლენას ახდენს.

მომხსენებლები ვრცლად შეეხენ რაიონის მილიციის, სახალხო სასამართლოს, პროკურატურის და რაიონის იურიდიული კონსულტაციის სხვა ნაკლოვანებებს.

სიტყვით გამოსულმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ს. ჯობენაძემ აღნიშნა, რომ დამნაშავეთა უმეტესობა ახალგაზრდობაა, რომლებიც დანაშაულს სიმთვრალეში ჩადიან. აუცილებელია გატარდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები დანაშაულთა აღსაკვეთად. ამაში დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტის შექმნას.

მილიციის რაიგანყოფილების უფროსმა ო. ჟღენტმა ილაპარაკა სისხლის სამართლის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მილიციის მუშაკთა როლზე და აღნიშნა, რომ 1962 წელს, 6 თვეში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, რაიონის მილიცია უფრო დაძაბულად, ოპერატიულად მუშაობდა და დადებით შედეგებსაც მიაღწია. მილიციას დიდ დახმარებას უწყევნ სახალხო რაზმელები, რომლებიც სათანადო პროფილაქტიკურ და აღმზრდელობით მუშაობას ატარებენ რაიონში.

მეტად სამწუხაროა, აღნიშნავს ამხ. ო. ჟღენტი, რომ 1962 წლის პირველ ნახევარში მილიციის ორგანოების მიერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთაგან ზოგიერთი

სტუდენტია. როგორც ჩანს მათთან საზოგადოებრივი ორგანიზაციები სათანადო მუშაობას არ ატარებენ.

ამხ. ო. ჟღენტს სასურველად მიაჩნია ჩამოყალიბდეს სახალხო რაზმეულები სახლმმართველობებთან, აგრეთვე პენსიონერებისა და სხვა მოქალაქეებისაგან, რომელნიც სახლმმართველობის ტერიტორიაზე ჩაერვიან მეზობლების დავაში, კონტროლს გაუწყვენ პატიმრობიდან განთავისუფლებულთ, დაეხმარებინ მილიციის ორგანოებს საპასპორტო რეჟიმის დაცვის საქმეში.

სიტყვით გამოვიდა აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბ. კუხიანიძე, რომელმაც ილაპარაკა კადრების სწორად შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის შესახებ, რასაც დიდ ყურადღებას აქცევს აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია. როგორც იგი აღნიშნავს, გადაწყვეტ ადვილზე, სადაც დოვლათი იქმნება, ღირეჟცია და პარტიული კომიტეტი ვაბედულად აწინაურებს ახალგაზრდა სპეციალისტებს. როგორც მან აღნიშნა, წარმოებაში ჯერ კიდევ არის წვრილმანი ქურდობის, სახელმწიფო წესრიგის დარღვევის ფაქტები და კარგი იქნება, თუ კავშირი რაიონის წარმოება-დაწესებულებებსა და მილიციის, პროკურატურის, სასამართლო ორგანოებს შორის განმტკიცდება.

რაისაბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიის თავმჯდომარე მ. გელაძე შეეხო რაიონში საპასპორტი რეჟიმის დარღვევის ფაქტებს. მან აღნიშნა, რომ ხშირია შემთხვევები, როცა მოქალაქეები ჩაწერილი არიან ერთ ადგილზე და არ ცხოვრობენ ხანგრძლივად იქ, განსაკუთრებით სტუდენტულმა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლებში.

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიულ-როს მდივანი ვ. მიქაძე, რომელმაც ილაპარაკა სახალხო რაზმეულების როლზე საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში.

რაიონის სახალხო სასამართლოს საქმიანობაზე და მის შემდგომ ამოცანებზე ილაპარაკა სახალხო მოსამართლემ ვ. უვანიაძე.

აქტივის კრების მუშაობა შეაჯამა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ჰანჭულიაშვილმა.

დ. ნანობაშვილი

სამეცნიერო სენია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის განყოფილებამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულმა კომისიამ მიმდინარე წლის 29-30 მაისს ჩატარეს სამეცნიერო სესია, მიძღვნილი „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებისა“ და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლებისადმი“.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პროკურატურის, სასამართლოს, არბიტრაჟის მუშაკებმა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა პროფ. თ. წერეთელმა. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში მიმდინარეობს ფართო საკანონმდებლო მუშაობა. მიღებული იქნა სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლები, რომელთა ბაზაზე შემუშავდა მოკავშირე რესპუბლიკების, კერძოდ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები. სულ ცოტა ხნის წინ კი მიღებული იქნა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები“, და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლები“. ეს არის პირველი საკავშირო საკანონმდებლო აქტები, რომლებშიც მოცემულია სამოქალაქო კანონმდებლობისა და სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითადი პრინციპული დებულებები. „საფუძვლები“ ბაზაზე უნდა შემუშავდეს მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსები. მათში უნდა შევიდეს „საფუძვლების“ ყველა ძირითადი ნორმა, მაგრამ „საფუძვლები“ უტოვებენ მოკავშირე რესპუბლიკებს საკანონმდებლო შემოქმედების ფართო უფლებებს. მოკავშირე რესპუბლიკის კოდექსებში უნდა დაკონკრეტდეს, დაზუსტდეს და განვითარდეს საფუძვლების მთელი რიგი ნორმები. პროფ. წერეთელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების შემუშავება აყენებს მეტად სპაისუხისმგებლო ამოცანებს, როგორც მეცნიერი-იურისტების, ისე პრაქტიკული მუშაკების წინაშე და მოითხოვს მათი ძალების გაერთიანებას.


სესიაზე მოსმენილი იქნა ზეითი მოხსენება,

მოსხენებით, — „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები“, — გამოვიდა თ. ცაგურია. მოხსენებელმა დაახასიათა რა „საფუძვლები“, აღნიშნა, რომ იგი პირველი საერთოსაკავშირო საკანონმდებლო აქტია, რომელშიც მოცემულია საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობის პრინციპები. „საფუძვლებში“ შენარჩუნებულია ძირითადი მნიშვნელობის დადგენილებები, რომელთა სისწორე შემოწმებულია მათი ხანგრძლივი გამოყენების გამოცდილებით. შეტანილია ახალი საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ემყარებიან საარბიტრაჟო პრაქტიკას და სამოქალაქო სამართლის მეცნიერების მიღწევებს. დასახულია სამოქალაქო კანონმდებლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და XXII ყრილობის სხვა მასალების შესაბამისად.

თ. ცაგურია ვრცლად შეეხო „საფუძვლები“ ცალკეულ მუხლებს და ხაზი გაუსვა იმ ახალ ნორმებს, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა. მავ: სამოქალაქო კანონმდებლობაში ახალი „საფუძვლების“ მე-7 მუხლი პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ; მოქალაქის უკვალოდ დაკარგულად ცნობა და გარდაცვალებულად გამოცხადება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის თანახმად სხვადასხვა წესით ხდებოდა. „საფუძვლებმა“ ერთგვარობა შეიტანეს ამ მნიშვნელოვანი საკითხის მოწესრიგებაში და დაადგინეს, რომ მოქალაქის უკვალოდ დაკარგვის ცნობა და გარდაცვალებულად გამოცხადება უნდა წარმოებდეს სასამართლო წესით; გაფართოებულია მოქალაქეთა საბინაო უფლებები: (მუხ. მუხ. 63, 59) და სხვა.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა თ. ლილუაშვილმა გააყენა მოხსენება თემაზე, — „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების ძირითადი საკითხები“.

— სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლები, — აღნიშნავს მომხსენებელი, აღგენენ სასამართლო წარმოების ერთიან და სავალდებულო პრინციპებს სსრ კავშირის ყველა სასამართლოსათვის. ამასთან ერთად საფუძვ-



ლები მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციას აკუთვნებენ ამ პრინციპების განვითარებას და კონკრეტულობას.

თ. ლილუაშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს სრული შესაძლებლობა ეძლევათ ფართო საკანონმდებლო შემოქმედებისათვის. მომხსენებელი ჩერდება იმ მუხლების დაწვრილებით განხილვაზე, რომელიც სამოქალაქო სასამართლო წარმოების ძირითად საკითხებს ეხება.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ „საფუძვლებით“ აღიარებულია მეტად მნიშვნელოვანი დებულება, რომლის მიხედვით ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უფლება დარღვეულია, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს უფლება მხოლოდ სადავოადა გამხდარი. (მუხ. 5).

ანალიზი გაუკეთა რა 49 მუხლს თ. ლილუაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ საქმის ზედამხედველობის წესით წარმოების დრო და ადგილი საჭირო შემთხვევაში უნდა ეცნობოს მხარეებს. ყოველივე ეს მეტად მნიშვნელოვანი სიახლეა და დიდ სარგებლობას მოუტანს პრაქტიკას.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა „საფუძვლების“ იმ ნორმების პრაქტიკულ მნიშვნელობას, რომლებიც პროცესში მონაწილე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს ეხება.

მოხსენებით, — „საკუთრების უფლების საკითხები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში“, — გამოვიდა შ. ჩიკვაშვილი.

„საფუძვლებმა“, ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, — აღნიშნავს მომხსენებელი, — რომ სახელმწიფო, კოლმეურნობათა და სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციათა და მათ გავრთიანებათა საკუთრების გარდა, სოციალისტურ საკუთრებად ითვლება საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკუთრებაც, რაც მოწმობს ამ ორგანიზაციების როლის ზრდას კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

შ. ჩიკვაშვილი ყურადღებას ამახვილებს „საფუძვლებით“ აღიარებულ არსებით ხასიათს დებულებაზე, რომლის თანახმად საკოლმეურნეო კომპლსის წევრს პირად საკუთრებაში არ უნდა ჰქონდეს ქონება, რომელიც კოლმეურნეობის წესდების შესაბამისად შეიძლება მხოლოდ საკოლმეურნეო კომპლს ეკუთვნოდეს.

თავის მოხსენებაში შ. ჩიკვაშვილი აშუქებს იმ ნორმებს, რომლებიც საკუთრების უფლებას ეხება.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ს. ჯაფარიძემ გააკეთა მოხსენება თემაზე: „მემკვიდრეობითი სამართლის საკითხები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მიხედვით“.

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მემკვიდრეობითი სამართლის განვითარება განუყრელად დაკავშირებულია მოქალაქეთა და საკოლმეურნეო კომლთა პირადი საკუთრების უფლებასთან. მოქალაქეთა პირადი საკუთრების მემკვიდრეობის უფლება დაცულია კანონით.

ს. ჯაფარიძე შეჩერდა კანონით მემკვიდრეობის უფლება-მოსილებაზე და გამოთქვა აზრი, რომ თუ პირველი რიგის კანონით მემკვიდრეები არ არიან ან მათ მემკვიდრეობა არ მიიღეს, მეორე რიგის კანონით მემკვიდრეებად უნდა ჩაითვალოს გარდაცვლილის პაპა, დიდედა, ძმები და დები, ამასთან შემოღებული უნდა იქნეს დისა და ძმის შვილების წარმომადგენლობის უფლებით სამემკვიდრეოდ გამოწვევის შესაძლებლობა.

მომხსენებელი ანალიზს უკეთებს „საფუძვლების“ იმ ნორმებს, რომლებიც ეხებიან მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს.

მოხსენება, — „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები, როგორც საერთაშორისო კერძო სამართლის წყარო“, — გააკეთა დოც. გ. ყვანიამ. მან აღნიშნა, რომ უცხო სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობათა გაფართოებისა და მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურული თანამშრომლობის პროცესის სულ უფრო იზრდება კონვენციური ნორმების როლი საერთაშორისო ხასიათის სამოქალაქო ურთიერთობათა მოწესრიგებაში. მაგრამ ჯერ კიდევ დიდია იმის აუცილებლობა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს შინაგანი კანონმდებლობა ადგენდეს ნორმებს, რომლებიც: ა) განსაზღვრავენ უცხოელთა სამოქალაქო უფლებაუნარიანობას, ბ) მიუთითებენ იმაზე, თუ რომელი სახელმწიფოს კანონს უნდა ექვემდებარებოდეს კერძო საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის ესა თუ ის საკითხი, და გ) დააწესებენ უცხოური კანონის გამოყენების ფარგლებს.

მომხსენებელმა ღრმა ანალიზი გაუკეთა „საფუძვლების“ 122 და 124-129 მუხლებს, რომლებიც აწესრიგებენ „უცხოური ელემენტის“ შემცველ სამოქალაქო ურთიერთობათა საკითხებს.

დოც. გ. ყვანიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „საფუძვლებმა“ დაადგინეს მხოლოდ უმთავრესი ნორმები, რომლებიც აუცილებელია საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითადი საკითხების გადასაწყვეტად. სხვა საკითხები კვლავაც გადაწყდება ანალოგიის პრინციპით, რომელიც გამოთქმულია „სამოქალაქო კანონ-

მდებლობის“ მე-4 და განსაკუთრებით „სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლების“ მე-12 მუხლში.

მოსენებების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ვ. ფარქოსაძემ, ნ. წერეთელმა, გ. თარხნიშვილმა, ა. ხოჭოლაძემ.

ვ. ფარქოსაძე არ ეთანხმება თ. ლილუაშვილის 49-ე მუხლთან დაკავშირებით გამოთქმულ წინადადებას საზედამხედველო წესით განხილვისას მხარეების და საქმეში მონაწილე სხვა პირების მონაწილეობის შესახებ.

ა. ხოჭოლაძე შეეხო საფუძვლების შექმნის ისტორიას. მან წამოაყენა მთელი რიგი საინტერესო წინადადებანი მე-7 მუხლის შემდგომი განვითარებისა და დაზუსტების მიზნით.

გ. თარხნიშვილი არ ეთანხმება თ. ლილუაშვილის წინადადებას სამოქალაქო საქმეებზე მოპასუხის იძულებითი მოყვანის შესახებ. მას მიუღებლად მიაჩნია თ. ლილუაშვილის მეორე წინადადება, სასამართლოს უფლებაზე აღიარებითი სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

გ. თარხნიშვილის აზრით საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსებში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართული ორიგინალის სხვა ენაზე გადათარგმნის ყველა შემთხვევაში ორიგინალის ავტორს მიეცეს საავტორო გასამრჩელო.

გუჯეთა რა ანალიზი 118 მუხლს, გ. ციხაძემ ამ აღნიშნა, რომ საჭიროა ამ მუხლის დაზუსტება.

თავის გამოსვლაში ნ. წერეთელი შეეხო ერთ დიდ პრაქტიკულ საკითხს. მან თქვა, რომ არბიტრაჟს ხშირად უხდება სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის დავების განხილვა, როდესაც მოვალე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობას დაუძლეველი ძალის გამო. ასეთ შემთხვევაში მოვალე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, ე. ი. აღვილი აქვს მოვალის არაბრალეულ პასუხისმგებლობას. ნ. წერეთლის აზრით აღნიშნული საკითხი მოითხოვს გადაწყვეტას მოკავშირე რესპუბლიკის კოდექსში, რათა მოვალეს ასეთ შემთხვევაში არ დაეკისროს პასუხისმგებლობა.

სესიის მუშაობა შეაჯამა პროფ. თ. წერეთელმა. მან აღნიშნა, რომ სესია მიმდინარეობდა მაღალ თეორიულ დონეზე, დასმული იყო მთელი რიგი საინტერესო საკითხები. სესიის შედეგები უთუოდ შეუწყობენ ხელს საქართველოს სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების შემუშავებას. პროფ. თ. წერეთელი შეეხო მთელი რიგი საკითხებს, რომლებმაც დავა გამოიწვია სესიის მონაწილეთა შორის.

ლ. ზანტაძისი.

იურიდიული სამსახურის მუშაკთა თათბირი

გამართა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემის წარმოება — დაწესებულებათა იურიდიული სამსახურის მუშაკთა თათბირი, რომელმაც შეაჯამა გასული წლის მუშაობის შედეგები და დასახა ამოცანები მიმდინარე წლისათვის.

სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით ასეთი ყოველწლიური თათბირები იქცნენ ერთგვარ სკოლა-სემინარად, რომელიც ამდიდრებს მუდმივ-მოქმედ ზონალურ სემინარების (ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ფოთში, ზესტაფონში, გორში და სხვ.) მუშაობას.

თათბირში მონაწილეობა მიღეს მოძმე რესპუბლიკების — სომხეთის და აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის საბჭოების, აგრეთვე რესპუბლიკის პროკურატურის, სახელმწიფო არბიტრაჟის, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

თათბირში მონაწილეობა მიიღეს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ჯომარჯიძემ. მოხსენებით გამოვიდა საბჭოს იურიდიული ჯგუფის უფროსი ნ. წერეთელი. იგი შეეხო მსხვილ საწარმოთა არაწარმად ხარკების გამომწვევ მიზეზებს საერთოდ და კერძოდ წუნდებულ ნაწარმის გამომწვევას, მოიყვანა პროდუქციის მაღალ ხარისხიდან დაბალში გადაყვანის ფაქტები, ილაპარაკა სამეურნეო ხელშეკრულებათა შეუსრულებლობის ჯარიმის, ვაკონების მოცდენის და მათი ბრუნვის შენელების შესახებ და სხვა.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა (კაპანაძე, თათარაშვილი, იუზუაშვილი, მეგრელიშვილი, კაკაურიძე და სხვ.) ყურადღება გაამახვილეს სამეურნეო საქმიანობაზე წარმოება — დაწესებულებათა იურისკონსულტების უშუალო მონაწილეობის აუცილებლობაზე და სახალხო მეურნეობის საბჭოს წინაშე დააყენეს საქმიანი წინადადებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს უნაყოფო ხარკების მკვეთრად შემცირებას, რიგ წარმოება — დაწესებულებებში კი მათ სრულ ლიკვიდაციას.

დღის წესრიგის მეორე საკითხი მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულებას, რომელიც ეხება წარმოებაში მომხდარ მარცხით ან სხვა სახის ჯანმრთელობის დაზიანებით, რაც დაკავშირებულია მუშაობასთან, ზიანის ანაზღაურების ახალ წესს (მომხსენებელი სახალხო მეურნეობის საბჭოს იურისკონსულტი ამხ. ნ. ნიშნაინიძე). ამ ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით საგონებლად გადიდდა იურისკონსულტის პასუხისმგებლობა, როგორც წარმოების, ისე დაზარალებულის წინაშე, რადგან არსებითად საკითხის გადაჭრის სიძლიერე, წარმოების თუ დაზარალებულის კანონიერი ინტერესების დაცვას და ბრალეულობის ცნობისა — დააწვა იურისკონსულტს.

თათბირის მუშაობა გაგრძელდა ორ დღეს. თათბირის მუშაობა შეაჯამა სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჩოგვაძემ. შეჩერდა რა ახალ ამოცანებზე ამხ. გ. ჩოგვაძემ ხაზი გაუსვა, — რომ ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი, არნახული შრომითი აღმავლობით იბრძვის კომუნისმის მშენებლობის დიდი პროგრამის ცხოვრებაში განხორციელებისათვის, იურისკონსულტი მოვალეა და ვალდებული აქტიურად მონაწილეობდეს წარმოების სამეურნეო საქმიანობაში, იცნობდეს ტექნოლოგიას, იბრძოდეს დატაცებისა და დანაკარგების სალიკვიდაციოთ, არ ივიწყებდეს, რომ წარმოებაში იურისკონსულტი არის კანონიერების გამტარებელი და არა ვიწრო უწყებრივი ინტერესების დამცველი.

თათბირმა მიიღო მიმართვა აზერბაიჯანის და სომხეთის სახალხო მეურნეობის საბჭოების იურიდიული სამსახურის მუშაკებისადმი და გამოიწვია ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მ. კაპაშვიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დისციპლინარულ კოლეჯიში

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსთან არსებულმა დისციპლინარულმა კოლეჯიამ განიხილა ქ. ჭიათურის სახალხო მოსამართლე ა. კაპანაძის საკითხი.

ქ. ჭიათურის რაიონის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 15 თებერვალს საჩხერის რაიონის სახალხო სასამართლოდან აცილების წესით მიიღო სისხლის სამართლის საქმე ნ. ჩუ-



მაშვილის ბრალდების შესახებ, რომელიც 1961 წლის 4 აპრილს დაეწერა სახალხო მოსამართლე ა. კაპანაძეს.

აღნიშნული საქმე, მოსამართლე ა. კაპანაძემ წარმოებაში მიიღო 8 აპრილს და განსახილველად დანიშნა 28 აპრილს, მაგრამ დაზარალებულისა და მოწმეების გამოუცხადებლობის გამო გადაიღო 23 მაისისათვის და დასახელებული საქმე იმავე დღესვე განაჩენის გამოტანით იქნა დამთავრებული.

სახალხო მოსამართლე ა. კაპანაძემ, საქმე ბრალდების გამო ნ. ჩუმაშვილის მიმართ, წარმოებაში მიღებიდან 24 დღის შემდეგ დანიშნა, რითაც თავიდანვე დაარღვია მოცემული ვადა.

დისციპლინარულმა კოლეგიამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სახალხო სასამართლოში მოსამართლე ა. კაპანაძის მოქმედებით გავიანთრებული იქნა ნ. ჩუმაშვილის საქმის განხილვა.

დისციპლინარულმა კოლეგიამ განიხილა აგრეთვე ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის—შ. გაბიტაშვილის საკითხი.

1961 წლის 23 მაისს ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ შ. გაბიტაშვილის თავმჯდომარეობით განიხილა სამოქალაქო საქმე სარჩელისა გამო შ. ხუციშვილისა — მოპასუხე პ. ევსტაფაევთან ბინიდან გამოსახლების შესახებ. სასამართლო გადაწყვეტილებით მოსარჩელე დაკმაყოფილებულ იქნა.

მოპასუხე პ. ევსტაფაევმა საკასაციო საჩივარი აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე შეიტანა ვასული წლის 6 ივნისს და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიაში განსახილველად საქმე დანიშნა 30 ივნისს. მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო კოლეგიაში საქმე დავიანებით დანიშნა, ამ დროისათვის მსაჯულ სააკოვს გადაწყვეტილებაზე ხელი არ ქონდა მოწერილი, რამაც გამოიწვია საკასაციო დღის შეცვლა, ამან კი განაპირობა მოპასუხე ევსტაფაევის საჩივრების წერა.

დისციპლინარულ კოლეგიაზე აღინიშნა ისიც, რომ ვასული წლის 1 ივნისის მდგომარეობით შ. გაბიტაშვილის მიერ განხილულ ორ სამოქალაქო საქმეზე ლ. სმოლინიკოვასა და ზ. გავუნაშვილის სარჩელების თაობაზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე არ იყო მსაჯულ პოპოვას ხელმოწერა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთდასახელებული საქმეების განხილვიდან ვასული იყო სამ დღეზე მეტი, რაც საპროცესო ნორმების დარღვევას წარმოადგენს.

კოლეგიამ იხელმძღვანელა რა მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის შე-

სახებ არსებული დებულების მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტით, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე შ. გაბიტაშვილს გამოუცხადა საყვედური.

დისციპლინარულმა კოლეგიამ განიხილა აგრეთვე ქ. ფოთის სახალხო მოსამართლე გრ. გვილაყას საკითხი.

სახალხო მოსამართლე გრ. გვილაყას თავმჯდომარეობით 1961 წლის 20-23 მარტს განხილული იქნა გ. აქუბარდიას ბრალდების საქმე.

სასამართლომ გ. აქუბარდია დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ აღნიშნული განაჩენი გააუქმა საპროცესო ნორმების დარღვევის გამო და საქმე დააბრუნა ხელახალი განხილვისათვის სამსჯავრო სხდომის სტადიიდან. მიუხედავად იმისა, რომ საქმე თავისი შინაარსის მიხედვით მიეკუთვნება მიმომხსიანის დანაშაულს და იგი უნდა განხილულიყო დაწესებულ ვადაში, სახალხო მოსამართლე გრ. გვილაყამ არსებითად გააჰიანურა საქმე. ამის გარდა გრ. გვილაყას მიერ საქმის განხილვის დროს დარღვეულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 100, 166, 253, 289 და 295 მუხლების მოთხოვნა.

აღნიშნულ საქმეზე შედგენილი ოქმი არ არის სრულყოფილი, მოწმეთა ჩვენებები არ არის შეტანილი და რაც შეტანილია ისიც გაუგებარია.

სამსჯავრო სხდომის დაწყებისას სასამართლოს არ მოუხმენია სხდომის მდივნის ინფორმაცია გამოწვეული პირებიდან ვინ გამოცხადდა სამსჯავრო სხდომაზე, ვინ არა და რა მიზეზით.

სამსჯავრო სხდომის სტადიაში გამოტანილია ხუთი განჩინება, მაგრამ არცერთზე სასამართლოს შემადგენლობა ხელს არ აწერს.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, სასამართლომ თავისი ინიციატივით მოახდინა შემთხვევის აღგლის დათვლიერება, მაგრამ არა მზარეთა თანდასწრებით და არა სამსჯავრო სხდომის გაგრძელების წესით. დათვლიერების შედეგები არ აღნიშნულა სამსჯავრო სხდომის ოქმში.

ზემოთაღნიშნული დარღვევები გაბადა საფუძველი განაჩენის გაუქმებისათვის, რის გამოც კოლეგიამ იხელმძღვანელა რა მოსამართლეთა დისციპლინარული დებულების მე-16 „ა“ პუნქტით, ქ. ფოთის სახალხო მოსამართლეს გრ. გვილაყას გამოუცხადა საყვედური.



გამოჩენილი ქართველი მეცნიერი



საქართველოში მეცნიერული ბათოლოგიური ანატომიის და სასამართლო მედიცინის ფუძემდებელს, აკადემიკოს ვლადიმერ ყაფლანის ძე ჟენტს დაბადების 70 წელი და მეცნიერულ-პედაგოგიური, პრაქტიკული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.

აკადემიკოსი ვლ. ჟენტი ქართველ მეცნიერთა იმ სახელოვან წყებას ეკუთვნის, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განმტკიცებისა და ავტორიტეტის ამაღლების საქმეში. თავის დიდი მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობით, ვლ. ჟენტი დიდი ხანია მნობილია არა მარტო ჩვენ სამშობლოში, არამედ მისი საზღვრების გარეთაც.

მან, თავის ძირითად სამუშაოსთან — ბათოლოგიურ ანატომიასთან — ერთად ითავა სასამართლო მედიცინის კათედრის ჩამოყალიბება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან (1922 წ.), რომელიც ამავე დროს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთა მეცნიერული და პრაქტიკული კადრების მომზადების კერად იქცა. 1931 წელს, მისი დავალებით ასისტენტმა გ. ყ. ასათიანმა თარგმნა რუსულიდან ქართულ ენაზე დ. კოსოროტოვის სახელმძღვანელო «სამოსამართლო მედიცინა», რომელმაც თავის დროზე დიდი დახმარება გაუწია სამედიცინო ინსტიტუტის, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსა და სასამართლო მედიცინაში მომუშავე ექიმებს.

მშობლიურ ენაზე სასამართლო მედიცინის სწავლება და შემდეგ სახელმძღვანელოს თარგმნა, დაკავშირებული იყო დიდ სიძნელეებთან, კერძოდ, ქართული ტერმინოლოგიის შექმნასთან, რაც ვლ. ჟენტის მიერ ბრწყინვალედ იქნა დაძლეული. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა და იზრდება ბათოლოგთა და სასამართლო მედიკოსთა შესანიშნავი კადრები.

ვლ. ჟენტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრას შეთავსებით განაგებდა 1941 წლამდე.

გარდა ამისა ვლ. ჟენტი 1948 წლის სექტემბრამდე ლექციებს კითხულობდა სასამართლო მედიცინაში, სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მისი ინიციატივით სტუდენტთა თვის ორგანიზებულ იქნა სასამართლო ფსიქიატრიის კურსის კითხვა.

ვლ. ჟენტმა, როგორც დიდი ერუ-



დიცინის პედაგოგმა-მეცნიერმა, თავისი თავდადებული მუშაობის მეშვეობით შექმნა კადრები, არა მარტო პათოლოგიურ ანატომიაში და სასამართლო მედიცინაში, არამედ ხელი შეუწყო კვალიფიციური კადრების აღზრდას კლინიკურ დისციპლინებშიაც. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 80 საკანდიდატო და 40 სადოქტორო დისერტაციო ნაშრომი.

ვლ. ჟღენტის უშუალო ხელმძღვანელობით სასამართლო მედიცინაში შესრულებულია არა ერთი საინტერესო ნაშრომი—მათ შორის ორი საკანდიდატო დისერტაცია და ორი მონოგრაფია. მისი კონსულტაციით დაწერილია პირველი ორიგინალური სახელმძღვანელო ქართულ ენაზე—«სასამართლო მედიცინა».

თვით ვლ. ჟღენტის მიერ შესრულებულია 100-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი. მათ შორის რამდენიმე ვრცელი მონოგრაფია თეორიული და პრაქტიკული მედიცინის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. მან შეადგინა პათოლოგიური ანატომიის და სექციის კურსის ორიგინალური სახელმძღვანელოები, რომლებიც მრავალჯერ გამოიცა.

ვლადიმერ ჟღენტის მიერ დაწერილია ცნობილ ქართველ და რუს მეცნიერთა ცხოვრების და მოღვაწეობის არა ერთი კრიტიკულ-ბიოგრაფიული მიმოხილვა, მონოგრაფიულ ნაშრომთა, უპირველეს ყოვლისა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების და სამეცნიერო წოდებებზე წარდგენის ასზე მეტი რეცენზია და დახასიათება, აგრეთვე მთელი რიგი მეცნიერულ პოპულარული ბროშურა, საგაზეთო სტატია და სხვ.

ვლ. ჟღენტის უშუალო ხელმძღვანელობით 1943 წელს ჩამოყალიბდა «საქართველოს პათოლოგანატომთა, პათოფიზიოლოგთა და სასამართლო ექიმთა სამეცნიერო საზოგადოება», რომლის უცვლელი თავმჯდომარეა დღემდე.

1960 წლიდან იგი არჩეულ იქნა «თბილისის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთა და კრიმინალისტთა სამეცნიერო საზოგადოების» საპატიო თავმჯდომარედ, სადაც დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს.

ხალხმა, პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასა ვლ. ჟღენტის ხანგრძლივი, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი დაჯილდოვებულია უმაღლესი ჯილდოთი: ლენინის ორდენით (1954 წ.), შრომის წითელი დროშის (1944 წ.) და საპატიო ნიშნის (1946 წ.) ორდენებით, აგრეთვე მედლებით «კავკასიის დაცვისათვის» (1944 წ.), «გერმანიაზე გამარჯვებისათვის» (1941—45წ.წ.) დიდ სამამულო ომში; «თავდადებულ შრომისათვის დიდ სამამულო ომში» (1941—1945 წ.წ.). იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია საპატიო სიგელით. ამის გარდა დაჯილდოებულია საქართველოს მედსანშრომის პროფკავშირისა და ჯანმრთელობის სამინისტროს სიგელებით, საკავშირო ჯანსაზღვრისა და სსრკ სოფლის მეურნეობის კომისარიატის სამკერდე ნიშნებით და სხვ.

დიდა, ჩვენი სახელოვანი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამაახურებელი მოღვაწის, პროფესორ ვლადიმერ ყაფლანის ძე ჟღენტის დამსახურება თავისი სამშობლოს წინაშე.

ვუსურვოთ ვლადიმერ ყაფლანის ძე ჟღენტს ხანგრძლივი სიცოცხლე და მისთვის ჩვეული ენერჯით ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის მთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, დოცენტი

ვ. ს. შანიძე



ჭიჭიჭი და მიჭიჭი

„ხელოვნებამ“ გამოსცა ვ. ყვანიას წიგნი „ქართველი იურისტები, რომელმაც მკითხველთა ინტერესი გამოიწვია. ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის ინიციატივით მოეწყო წიგნის განხილვა. მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს რა წიგნის გამოცემის აქტუალობა, ამასთან ერთად ავტორის მიუთითეს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რაც ნაშრომში გვხვდება. ვაქვეყნებთ რედაქციაში მიღებულ ორ რეცენზიას ამ წიგნზე.

წიგნი სერიოზული ხარვეზებით

სარეცენზიო შრომა 232 გვერდს შეიცავს. გამოცემულია 5.000 ტირაჟით. ის შესდგება ავტორის წინასიტყვაობისა და 4 თავისაგან დადართული აქვს პირთა საძიებელი.

ავტორის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მან მწარდასაყურადღებო თემის შიქცია ყურადღება, წარმოაჩინა ის. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ვ. ყვანია დიდის პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდება შრომაში დასახელებულ იურისტებს.

ამასთანავე თვითონ შრომაში მოტანილი ზოგიერთი მასალა, მაგალითად, ცნობილი ადვოკატების ი. მაჭავარიანის, შ. მესხიშვილისა და სხვა სიტყვები, ფრიად საყურადღებოა. ავტორმა ზოგიერთი გამოუქვეყნებელი მასალა ქართველი იურისტების მოღვაწეობიდან პირველად მიაწოდა მკითხველს.

ბუნებრივია, რომ ასეთი ხასიათის შრომამ დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში, ვინაიდან, შრომაში განხილული მრავალი იურისტი ცნობილი საზოგადო მოღვაწეა. ზოგმა მათგანმა ტრადიციულად დასაბუთა თავისი სიცოცხლე 1937 წელს. ჩვენს საზოგადოებას უყვარდა და უყვარს ეს გამოჩენილი იურისტები, მეცნიერები, პედაგოგები და პრაქტიკული მოღვაწეები. ამიტომ დიდი ინტერესით ვეკიდებით ყველაფერს იმას, რაც ამ მოღვაწეთა ცხოვრებასთან არის დაკავშირებული.

ამასთანავე, განსვენებულ მოღვაწეთა პატივისცემა გვევალებს სათუთად მოვეკიდოთ მათ მეგვიდრეობას. სწორად, მართებულად ავსახოთ იგი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი შრომა ამ მოღვაწეთა შესახებ იყოს მეთოდოლოგიურად სწორი, პირუთვნელი და კულტურული თვალსაზრისით საბჭოთა მეცნიერების განვითარების დღევანდელ სიმაღლეზე.

ჩვენი რეცენზიის მიზანია ამ თვალსაზრისით განვიხილოთ სარეცენზიო ნაშრომი.

1) პირველი ჩვენი შენიშვნა იმაში მდგომარეობს, რომ სარეცენზიო შრომას არ გააჩნია გარკვეული სისტემა.

ამ მხრივ თვალში მოგვხვდება შრომის დასათურება. ჩვეულებრივად შრომა ნაწილებად, თავებად ან პარაგრაფებად არის დაყოფილი. ავტორსაც შრომის დანაწილება რომაული ციფრებით გაუკეთებია: I ავტორისაგან — გვ. 3-4. II სასამართლო მქერმეტყველების ისტორიიდან — გვ. 6-75. III ნარკვევები გვ. 77-98, IV სასამართლო პროცესზე წარმოქმნილი დაცვითი და საბრალმდებლო სიტყვები გვ. 141-189. V სიტყვები წარმოქმნილი ლიტერატურულ გასამართლების დროს გვ. 189-223. VI პირთა საძიებელი გვ. 223-230.

მკითხველის ყურადღებას შრომის გარეგნულ აღწავობას ვაქცევთ: ავტორს თავისი წინასიტყვაობა და საძიებელი შრომის დანაწილებაში ძირითადი ნაწილების გვერდით, მათთან თანასწორობაში აქვს წარმოადგენილი.

ამასთანავე, შრომის ნაწილები არც ერთი მეორისაგან გამომდინარეობენ და არც ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. ალბათ, ამით აიხსნება რომ ავტორმა, სარჩევში მოგვცა შრომის დანაწილება რომაული ციფრების მიხედვით, ხოლო თვით ტექსტში არავითარი დანაწილება არ არის.

შრომის შინაარსი არ ასახავს მის საერთო სათაურს. უადგილოდ გამოიყურება აგრეთვე ქვესათაურიც. საქმეს არ შევლის ის გარემოება, რომ თვითონ ავტორი ამ სათაურებს „პირობითად“ აცხადებს (გვ. 4). რატომ პირობითი? მკითხველს ნამდვილი სათაური უნდა, რომელიც გზაზე დააყენებს მას შრომის შინაარსის ათვისების მიმართულებით.

მაგრამ ეს სარეცენზიო შრომის გარეგანი აღწავობაა. ახლა ჩავიხედოთ შიგნით. რასაც სარჩევში დასმული აქვს რომაული II და მიწერილი აქვს სათაურად „სასამართლო მქერ-

მეტყველების ისტორიიდან“, ტექსტში არც ციფრი აქვს დასმული და არც სათაური. როგორია ამ თავის შინაარსა?

ამ თავში ავტორი, პირველ ყოვლისა, მოგვითხრობს ქართველ იურისტებზე, როგორც ინტელიგენციის მოწინავე ნაწილზე, მათ დამსახურებაზე ეროვნული კულტურის განვითარებაში (გვ. 5), შემდეგ ავტორს საუბარი აქვს იურისტების მონაწილეობაზე საბჭოთა სასამართლოს მუშაობაში (გვ. 6), შემდეგ ჩამოთვლილი აქვს მოწინავე იურისტები (გვ. 6-7), მოთხრობილი აქვს ადვოკატ კ. კალანაძის უანგარო მოქმედების შესახებ (გვ. 7), შემდეგ ავტორი ვადაღის საქართველოს „უძველეს“ ისტორიაზე, სახელდობრ ბაგრატი IV-ის დროის იურისტებზე (გვ. 7), ავტორი მოგვითხრობს, რომ იურისტების მოღვაწეობა იუსტიციის დარგში მუშაობით ან „იურისტურდენციისადმი სამსახურით“ არ ამოიწურება, რომ მრავალი იურისტი იწერალი ან სხვა დარგის მოღვაწეა (გვ. 8), ამ მხრივ ავტორი იხსენიებს „სუმბათოვ-იუთის“, ივ. მაჩაბელს, ა. ევალიძესა და ვაჟას (გვ. 8), ზეს. უდენტს, ალ. თაყაიშვილს (გვ. 9), უფრო დაწვრილებით ჩერდება ილია ჭავჭავაძეზე, მოყვას თავისი საკუთარი ნარკვევი „მოსამართლე“ (გვ. 9-13), ამის შემდეგ ავტორს საუბარი აქვს იმაზე, რომ მისი შრომა „პირველი ცდაა ქართველ იურისტთა შემოქმედსარგებლობდა ის შრომის დაწერისას (გვ. 13). მოთხრობილია აგრეთვე, თუ რა წყაროებით სარგებლობდა ის შრომის დაწერისას (გვ. 13). ამის შემდეგ საკითხები შემდეგი თანმიმდევრობით მისდევნენ ერთმანეთს: 1901 წელს „ცნობის ფურცელში“ გაშუქებული იყო სასამართლო პროცესი იმ უწყსრიგობის შესახებ, რომელიც მოხდა ქუთაისში რუსეთიდან ჩამოსული დასის მიერ ანტიებრატული შინაარსის სპექტაკლების დადგმის გამო (გვ. 14-15), გრ. გველესიანისა და კ. ჯაფარიძის წერილები სასამართლოს საკითხების შესახებ (გვ. 16), საზოგადოების აღფრთოვანება პროფ. ლ. ანდრონიკაშვილის მიერ ჰარიმანთან საქმის მოგების გამო (გვ. 17), ჰარიმანის საქმიანობის აღწერა (გვ. 17-22), თბილისის უნივერსიტეტის გახსნის ინიციატორები, იურიდიული ფაკულტეტი (გვ. 23), საქ. სსრ მეც. აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში სამართლის განყოფილება (გვ. 24), ძველად რუსეთში მომუშავე ქართველი იურისტები (გვ. 24), ქართველი მკერმეტყველების ისტორია და ქართული იურისტების სატყვები (გვ. 25), დანაშაულის შესახებ (გვ. 26), კარგი სიტყვის მნიშვნელობა სასამართლოში (გვ. 27), ლ. ანდრონიკაშვილისა და სხვა იურისტების სიტყვების დაკარგვა (გვ. 28), ქართველი იურისტების სიტყვების შესახებ მასალების ძიება პრესაში

(გვ. 27), ავტორის შრომა მიზნად ისახავს სიტყვები შეავსოს (გვ. 29), დაწერილი სიტყვა არ არის იმ ლირსების მატარებელი, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს ზებირად წარმოთქმისას (გვ. 30), მსოფლიო ორატორული ხელოვნების ისტორიისათვის თვალის გადასვლა (გვ. 31), დემოსთენი, ციცერონი (გვ. 31), ორატორული ხელოვნება საფრანგეთში, მარტი, რომესპიერი, დანტონი (გვ. 32-34), მარქსი, ენგელსი (გვ. 34), ორატორული ხელოვნება რუსეთში, ლომონოსოვის შრომა (გვ. 35), XIX ს. რუსეთი (გვ. 36), ლენინი, სტალინი, კალინინი, კიროვი, ორჯონიძე (გვ. 37), ქართული მკერმეტყველების ისტორია, კოლხეთი, იოანე საბანის ძე (38-39), ლიონიძე, მ. ორბელიანი (40-41), საქართველოს რუსეთთან შეერთება (გვ. 42), ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბება (გვ. 43), ბატონყმობის გაუქმება, კაპიტალიზმის შემოჭრა (გვ. 44-45). I, II და III დასი საქართველოში (გვ. 46), რევოლუციური მოძრაობა, ორატორული ხელოვნება (გვ. 47), ქართული მკერმეტყველების ისტორიის მიმოხილვა, იოანე საბანის ძე, გიორგი მთაწმინდელი და სხვა (გვ. 49), კოლხთა წარმომადგენლის სიტყვა სასამართლო პროცესზე, აკაკი წერეთლის სიტყვის შესახებ სვანების გასამართლების დროს და საერთოდ აკაკის მოღვაწეობა სამართლის დარგში (გვ. 50-75), შალვა მესხიშვილისა და ჩიქვანაიას სიტყვები (გვ. 70-73).

ეს საკმაოდ დაწვრილებითი ჩამოთვლა საკითხების, განზრახ მოვიყვანე, რომ მკითხველს ნათლად წარმოედგინა ის უსისტემობა, რომელსაც შრომაში ადგილი აქვს. აქ თითქმის ყველაფერი ერთმანეთშია არეული, გამორიცხულია ყოველგვარი თანმიმდევრობა: ჰარიმანის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება, ვუბანის მკვლელობის საქმე, სვანების საქმე, მსოფლიო ორატორული ხელოვნების ისტორიის მიმოხილვა და სხვადასხვა.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს რაიმე ერთ თემაში არ მოთავსდება და ალბათ, იმიტომაც არ არის ტექსტში დასათურება მოცემული. სარეცენზიო შრომის ეს ნაწილი საერთოდ ყოველგვარი შეფასების გარეშე დგას: ის არ შეესაბამება მეცნიერულ ან პოპულარულ, ან-საერთოდ ლიტერატურულ ხასიათის ნაწარმოების რომელიმე სახეს.

2) შრომის ის ნაწილი, რომელიც ლ. ანდრონიკაშვილისადმი არის მიძღვნილი, მრავალშენიშვნას იწვევს. ძირითადი შენიშვნა კი იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი ყალბ წარმოდგენას გვიქმნის ლ. ანდრონიკაშვილზე. მის დასახასიათებლად ავტორი მიმართავს ანეკდოტებს, მაგალითად, ანეკდოტს კუზიანის შესახებ, რომელსაც რასაკვირველია, სინამდვილეში ადგილ

არ ჰქონია. ლ. ანდრონიკაშვილი საპარტოლის დრმა ცოდნასთან ერთად, იშვიათი პატიოსნების აღმამანი იყო. იგი გამოირჩეოდა იანსაკუთრებული ზნეობრივი სიწმინდით, მისი სისპეტაკე სანიმუშო იყო მისი ამხანაგებისათვის. რასაკვირველია, იმგვარი მეთოდით, როგორც „კუზიანის“ საქმეშია მოთხრობილი ის სასამართლო პროცესს არ წარმოთავდა.

არ შეიძლება არ ავღნიშნოთ, რომ ავტორი, ამ შემთხვევაშიც მეტად პატივისცემით და კეთილად არის განწყობილი ლ. ანდრონიკაშვილისადმი. მისი შეტეომა აქ იმაში მდგომარეობს, რომ მას, როგორც შრომიდან ირკვევა, სწორად არ ესმის სასამართლო პროცესის დროს ადვოკატის მნიშვნელობა. ავტორის აზრით, თითქმის აუცილებელი იყო ლუარსაბის „პროცესში გამარჯვებული“ გამოსვლა (გვ. 79), ვ. ჟვანია აქ თავის საკუთარ შეხედულებასაც ამკლავებს: გამარჯვებული გამოსვლა, ე. ი. საქმის „მოგება“ „მისი აზრით, ეს უქველადნიშნავდა საქმის კარგად წარმართვას, ამასთანავე ამ მიზნის მისაღწევად თითქმის დასაშვები იყოს ყოველგვარი საშუალება. ავტორი ამაში მართალი არ არის.

ჩვენ ვიცით, მაგალითად, მრავალი საქმე, რომელიც მიყავდათ გამოჩენილ იურისტებს, მაგალითად, ბარტენევის საქმე, რომელსაც დ. პლევაკო აწარმოებდა, რიბაკოვსკის საქმე, რომელსაც კ. არსენიევი აწარმოებდა, ორივე საქმე ვ. ჟვანიას ენით რომ ვთქვათ ადვოკატებმა „წააგეს“.¹ მიუხედავად ამისა მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები შესანიშნავ სიტყვებად ითვლება. პროცესში „წაგება“ და „მოგება“, „გამარჯვება“ და „დაძარცვება“ პირობითი ცნებებია და ადვოკატის დადებითად, ან უარყოფითად დასახასიათებლად ის არ გამოდგება.

გარდა ამისა პირდაპირ საკვირველია, როცა ვ. ჟვანია წერს, რომ ლ. ანდრონიკაშვილის თანაშემწიდან ნაფიც ვეჭილად გადაყვანის საკითხი იღვა და აიტომ ლ. ანდრონიკაშვილი ან „პროცესში გამარჯვებული უნდა გამოსულიყო ან, საერთოდ მიეტყუებია არჩეული პროფესიო“ (გვ. 79). რომელიც ქვეყნის კანონმდებლობაში, ან სად გაგონილა ასეთი ამბავი.

სარეცენზიო შრომის ავტორი წერს: ლ. ანდრონიკაშვილმა „თავისი დიდ ერუდიციით, რაც მთავარია, იურისპრუდენციის ზედმიწევნით კარგად ცოდნით, შეძლო ვაცამტვერება და ემხილება ჰარიმანის ყველა იურიდიული ხრიკი, რომელიც მისმა იურისტებმა ჯერ კიდევ საკონცესიო ხელშეკრულების შედგენის დროს გამოიყენეს და შემდგომც აპირებდნენ გამოყე-

ნებას. ჰარიმანმა საქმე წააგო“ (გვ. 18). ლ. ანდრონიკაშვილი, რომ უდიდესი ნიჭისა და ერუდიციის იურისტი იყო, ეს ყველასათვის ცნობილია. ამ შემთხვევაში რომ მან დიდი საქმე გააკეთა ჰარიმანის წინააღმდეგ პროცესში მონაწილეობით, ესეც ცნობილია. საჭირო იყო მხოლოდ იმის გარკვევა, თუ სახელდობრ როგორ მოქმედებდა პროცესში ლ. ანდრონიკაშვილი, როგორი საბუთები ჰქონდა, როგორი სიტყვა წარმოთქვა და სხვა. ფრაზები „გაცამტვერა“, „ამხილა... ხრიკები“, „წააგო“ და... „მოიგო“, არაფრის მთქმელი არ არის. ამასთანავე, ავტორს სრულებით ზედმეტად მოაქვს თავის შრომაში ჰარიმანის ისტორია, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ქართულ სასამართლო მქერმეტყველებასთან. თუ ავტორმა დაწერილებით არ იცოდა, თუ რაში გამოხატებოდა ეს „ხრიკები“, თუ წაგება და მოგება, მას პირდაპირ უნდა ეთქვა, რომ ამ საქმის შესახებ იმის მეტი არაფერი იცის, რომ ეს საქმე მუშების სასარგებლოდ გადაწყდა.

გარდა ამისა, ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს. ავტორი მოგვიტობრბს, რომ ჰარიმანი საბჭოთა სასამართლოების ვადაწყვეტილებას არ დათანხმდა და საქმე საერთაშორისო სასამართლოში გადაიტანა. ვ. ჟვანიას შრომის მიხედვით ბურჟუაზიული საერთაშორისო სასამართლო იმდენად ობიექტურ დაწესებულებად გამოიყურება, რომ საკმარისი აღმოჩენილა ლ. ანდრონიკაშვილის ემხილება ჰარიმანის იურისტების „ხრიკები“, და საქმე ჰარიმანის საზიანოდ გადაწყვეტილიყო.

როგორც ხედავთ, საკითხი ვ. ჟვანიას არა აქვს სათანადოდ შესწავლილი.

დიდია ლ. ანდრონიკაშვილის დამსახურება როგორც საზოგადო მოღვაწის, როგორც ადვოკატის, როგორც მეცნიერისა და მასწავლებლის. ჩვენი ვალდებულებაა, ფაქიზად მოვეყურად მის ხსოვნას, სათანადოდ დავაფასოთ მისი უანგარო დამსახური ჩვენი კულტურის წინაშე. ამ გარემოებაშიც გვაიძულა რეცენზიის დაწერა. კარგად გვესმის, რომ ვ. ჟვანიაც ავრთვეთ ძლიერ პატივისმცემელია ანდრონიკაშვილის. სარეცენზიო შრომის ავტორს სუბიექტურად ყველაფერი კარგი სურს ლ. ანდრონიკაშვილის ხსოვნისათვის, მაგრამ ობიექტურად ავტორის მიერ დახატული ლ. ანდრონიკაშვილის სურათი სინამდვილეს არ შეეფერება.

3) სარეცენზიო შრომის ავტორი ეხება პროფ. გიორგი ნანიშვილის მოღვაწეობასა და მისი შრომების დახასიათებას.

¹ Судебные речи известных русских юристов., стр. 470—490; стр. 271—289. 1957.

პროფ. გ. ნანეიშვილი იყო უაღრესად ვანათლებული და უდიდესი ერუდიციის იურისტი. ამასთანავე იგი იყო გონებამახვილი მეცნიერი და ლუცსრომელი შემოქმედების ადამიანი, პროფ. გ. ნანეიშვილი იყო იშვიათი გულისხმიერების, პატიოსნებისა და სათნოების ადამიანი, ის უყვარდა ყველას, ვინც კი იცნობდა მას.

პროფ. გ. ნანეიშვილის დაკარგვით აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა. ის წავიდა ჩვენგან ვალმოზნდილი, ყველასაგან პატივცემული, ყველასაგან სიყვარულით მოსაგონარი. ამიტომ არ შეიძლება იგნორირებული ინტერესით არ მოვეკიდეთ შრომას, რომელიც გ. ნანეიშვილს ეხება.

სარეცენზიო შრომის ავტორი არჩევს გ. ნანეიშვილის სადოქტორო შრომას — „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“, რომელიც 1929 წელს გამოვიდა. ვ. ქუანია წერს: „ამ შრომამ თავის ღრობზე დიდი დავა გამოიწვია, მაგრამ იგი ნანეიშვილის სასარგებლოდ გადაწყდა“ (გვ. 103). უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი გამოთქმა: „სასარგებლოდ გადაწყდა“ გაუგებრობის ნაყოფია. რომელი შრომის განხილვის შემდეგ გამოაქვთ ასეთი გადაწყვეტილება? აქ სასამართლო პროცესი არ ყოფილა. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და მივყდით ავტორს. რა გადაწყდა გ. ნანეიშვილის სასარგებლოდ? ავტორის აზრით, გ. ნანეიშვილმა განიცადა ბურჟუაზიული გავლენა, მაგრამ ავტორი გამოვიდა „იდეალისტური ბურჟუაზიდან“ და მისი შრომები და, მათ შორის, ზემოთ დასახელებული სადოქტორო შრომა „არიან შრომები, რომლებიც აღასტურებენ რომ გ. ნანეიშვილი გაერკვია იდეალისტური ფილოსოფიის ყალბ მეცნიერულ საფუძვლებში, მის რეაქციულ და ანტისაზოგადოებრივ მიმართულებაში“ (გვ. 104). ამის შემდეგ ავტორი მოგვითხრობს, რომ სხენებულ შრომაში განხილულია სამართლის მრავალი საკითხი და რომ გ. ნანეიშვილი ამ შრომაში აკრიტიკებს კელზენს, პეტრაჟიციის და სხვ (გვ. 105-106).

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ სარეცენზიო შრომის ავტორი ამ შემთხვევაში მეთოდოლოგიურ შეცდომას უშვებს და ასეთი შეცდომა მას მოსდის სუბიექტურად, კეთილი სურვილით, რომ მისი აზრით პატივი სცეს გ. ნანეიშვილს. საქმე იმაშია, რომ გ. ნანეიშვილის შრომები „იურიდიული სუბიექტი“, „ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის“ და „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“, რომლებიც დროის პატარა მონაკვეთში (1928-1929 წლები) გამოქვეყნდა, იდეალისტური მსოფლმხედველობით არის შესრულებული.

რასაკვირველია, გ. ნანეიშვილი ამ შრომებში კელზენსაც აკრიტიკებს, პეტრაჟიციისაც და ბევრ სხვას, მაგრამ აკრიტიკებს იდეალისტური პოზიციებიდან. თავისი შინაარსით გ. ნანეიშვილის ეს შრომები ჰუსერლის ფილოსოფიის საფუძველზე დგას და ფენომენოლოგიური სკოლი შეხედულებას ასახავს. პროფ. გ. ნანეიშვილი თვითონვე აღნიშნავს, რომ ეს სამი შრომა არ არის მარქსისტის მიერ დაწერილი.

პროფ. გ. ნანეიშვილმა პოზიტიური სამართლიდან გამოყო ი. წ. სამართლის აზრი, რომელსაც გ. ნანეიშვილის კონცეფციით არა აქვს რეალური არსებობა, როგორც ლოგიკურ კატეგორიას, მაგრამ რომელიც ამავე დროს თავისებური არსებობის მატარებელია. ჰუსერლის აზრითაც ზოგადის ცნება არის განსაკუთრებული გვარი იდეალური ყოფიერებისა. როდესაც ჩვენ გ. ნანეიშვილის კონცეფციას გადმოვუცვალთ, მივაწეროთ ავტორს ის, რაც მას არ სჭამდა. ამასთანავე, გ. ნანეიშვილის შრომები გამოქვეყნებულია. მათი წაიკითხვა შეუძლია ჩვენს ახალგაზრდობას. ამიტომ არ შეიძლება შეცდომაში შევიყვანოთ მკითხველი.

ჩვენ უნდა განვიხილოთ გ. ნანეიშვილის შრომები კრიტიკულად, მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან. საჭიროა ისიც აღვნიშნოთ, რომ ამ შრომებში არის ზოგიერთი რაციონალური ელემენტი.

ფენომენოლოგიური სკოლის სხვა წარმომადგენლებისაგან განსხვავებით პროფ. გ. ნანეიშვილი სცნობს, რომ პოზიტიური სამართალი სოც-ეკონომიური ფაქტორებით არის დეტერმინებული. ამასთანავე პროფ. გ. ნანეიშვილის სხენებულ შრომებში მოცემულია სხვადასხვა იდეალისტურ შეხედულებათა და განსაკუთრებით კი, ფსიქოლოგიური სკოლის კრიტიკა. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ გ. ნანეიშვილის სხენებულ შრომებში გაკრიტიკებულ იდეალისტურ შეხედულებათა ნაცვლად, სხვა სახის, მაგრამ ისევ იდეალისტური შეხედულების დასაბუთებაა მოცემული.

პროფ. გ. ნანეიშვილის მიერ სხენებული სამი შრომის შემდგომ გამოქვეყნებული შრომები მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზეა შექმნილი. 1936 წელს მის მიერ გამოქვეყნებულ იქნა ნაშრომი: „ახალი კონსტიტუციის პროექტი და სასამართლო“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი „შრომები“, 1936 წ., V, გვ. 324-526). ამ შრომაში ავტორს მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიის მომარჯვებით დიდძალი მასალის ანალიზის საფუძველზე ვარჩეული აქვს საკითხი მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპის შესახებ ბურჟუაზიულ ქვეყნებში და საბ-

კოთა კავშირში, ამასთანავე, გარჩეული აქვს საჯაროობის პრინციპი და სხვ.

1937 წელს პროფ. გ. ნანეიშვილმა გამოაქვეყნა შრომა სათაურით: „ბურჟუაზიული კონსტიტუციები და ჩვენი ახალი კონსტიტუცია“ (ყ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1937 წ., № 3, გვ. 54-80).

ამ შრომაში პროფ. გ. ნანეიშვილს ვანხილული აქვს სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნების საარჩევნო სისტემა და შედარებული აქვს ის საბჭოთა საარჩევნო სისტემასთან; უკანასკნელი დახასიათებული აქვს საბჭოთა კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის მიხედვით.

ორ უკანასკნელ შრომაში პროფ. გ. ნანეიშვილი საცხებით დაუფლებულია მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიას და მართებულად იმარჯვებს მას. სამწუხაროა, რომ ვ. ჟვანიას ეს შრომები არც კი აქვს მოხსენიებული. ამასთანავე ვ. ჟვანია ნებისმიერად ეკედება გ. ნანეიშვილის შრომებს, უცვლის მას სახელს, ან ასახელებს ისეთ შრომას, რომელიც გ. ნანეიშვილს არ ეკუთვნის და, საერთოდ, ბუნებაში არც არსებობს და სხვა.

ვ. ჟვანია ასახელებს გ. ნანეიშვილის ასეთ შრომას: „ადმინისტრაციული მმართველობის შესახებ“ (გვ. 103), არ ასახელებს შრომის გამოცემის წელს, ადგილს. სავარაუდებელია, რომ ვ. ჟვანიას ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს გ. ნანეიშვილის მიერ 1919 წლის გამოქვეყნებული ასეთი შრომა: „დამოკიდებულება ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოებთან შორის“ (ყურ. „კავკასიის ქალაქი“, 1919 წ. № 2, 3, 4).

ვ. ჟვანია ასახელებს წლისა და გამოცემის ადგილის მიუთითებლად გ. ნანეიშვილის ასეთ შრომას: „სამართლის სუბიექტის შესახებ“ (გვ. 103). ასეთი სათაურით გ. ნანეიშვილს შრომა არა აქვს, მას აქვს შრომა სათაურით: „იურიდიული სუბიექტი“ (თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1928 წელი). ვ. ჟვანია ასახელებს ასეთ შრომას: „სამართლის ნაშვდილობა, ნორმატული ფაქტები“, ასეთი სათაურით გ. ნანეიშვილს შრომა არა აქვს. ამასთანავე, ვ. ჟვანია ნებისმიერად ასწორებს „ზოზოს“ (ახლო მეგობრები „გიორგის“ მართლაც „ზოზოს“ უწოდებდნენ) შრომის სათაურებს, მავალითად, გ. ნანეიშვილის პირად არჩევი შრომებზეა თვით გ. ნანეიშვილის ჩანაწერი, რომ მას აქვს დამზადებული გამოსაქვეყნებლად შრომები, ერთი მათგანია: „ბურჟუაზიული სამოქალაქო სამართლის აპრიორული საფუძვლები (რეინახის სამართლის ფილოსოფიისთან დაკავშირებით)“. შრომა არ გამოქვეყნებულა. ვ. ჟვანიას ასე მოყავს სათაური: „ბურჟუაზიული სამოქალაქო სამართლის

აპრიორული საფუძვლები რეინახის სამართლის ფილოსოფიისთან დაკავშირებით“ (გვ. 103). გ. ნანეიშვილი წერს, რომ მას დამზადებული აქვს გამოსაქვეყნებლად: „ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფიის საფუძვლები (ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის ეთიკური გამართლების ხერხები)“. ვ. ჟვანიას ეს შრომა ორი ჰგონია: ერთხელ ის ასახელებს გ. ნანეიშვილის ასეთ შრომას: „ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფიის საფუძვლები“ (გვ. 104), მეორეჯერ ამავე შრომის ქვესათაური ცალკე შრომის სათაურად გამოაქვს (გვ. 104), ამასთანავე, მეორეჯერ სათაური გადაკეთებული აქვს გ. ნანეიშვილის ხსენებულ გამოქვეყნებულ შრომაზე დაწერილ რეცენზიის მიხედვით.

შრომის იმ ნაწილში, რომელიც გ. ნანეიშვილს ეხება ყველაფერი არეულია: გამოქვეყნებული და ვამოუქვეყნებელი შრომები, შრომის სათაურები. დამახინჯებულია ან გადაკეთებულია სათაურები. მართებულად გავებული არ არის გ. ნანეიშვილის შეხედულება, გამოტოვებულია გ. ნანეიშვილის მნიშვნელოვანი შრომები, და რაც შეფარია, შრომების შეფასებისას დაშვებულია მეთოდოლოგიური შეცდომები.

რეცენზიის მოცულობა არ გვაძლევს საშუალებას შევჩერდეთ შრომაში გარჩეულ სხვა მოღვაწეებზე.

მივუთითებ უფრო წვრილმან შეცდომებზე:

1) სარეცენზიო შრომაში წერია: „ქართველი იურისტები, როგორც წესი, პოლიტიკურ პროცესებში უსასყიდლოდ მონაწილეობდნენ“ (გვ. 5), ეს არ არის საჭირო, მისი დადგენაც რომ შეიძლებოდა.

2) ავტორი წერს: „საქართველოს ადვოკატურა თავისი შემადგენლობით კავშირში ერთ-ერთი მოწინავეთაგანია“ (გვ. 6) და დასახელებული ადვოკატები, დასახელება ნებისმიერია, ვინც დასახელებულია, იმათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ შეიძლებოდა სხვების შერჩევა. როცა დასახელებაზეა საქმე, ამას ძლიერ დაკვირვება ესაჭიროება, რომ უმართებულად არ მივაყენოთ ვისმეს შეუტარცხყოფა. მაგრამ ამჟამად მე სხვა მიმტარებს: ამ დასახელებას მოსდევს ერთი შემთხვევის აღწერა: ადვოკატი კ. კალანდაძე პროცესის დროს დაინტერესებული 17 წლის გოგონას ბედით, რომელსაც ასამართლებდნენ და გამოუძახია ყაზახეთიდან ამ გოგონას დედა. ადვოკატ კ. კალანდაძის საქციელი მოსაწონია, კარგია, შეიძლებოდა კიდევ ამაზე საუბარი, მაგრამ აქ ამ შემთხვევაში ვ. ჟვანიას ის უადგილოდ აქვს მოყვანილი. გარდა ამისა, ამის უკეთესი ეპიზოდის მოყვანაც შეიძლებოდა.

3) „ხანგრძლივი ისტორიის მქონეა ქართული

სამართლის ინსტიტუტი და ძველთაგან ცნობილია ქართველი იურისტები“ (გვ. 7). პრიმიტიულია.

4) „საზოგადოების განწყობილება კარგად წარმოთქმული სიტყვისადმი (სასამართლოში ი. ს.) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც საზოგადოების სიმპათია დამნაშავეისადმი, ან დამნაშავეს მიერ ჩადენილის მიმართ“ (გვ. 25). რა საჭიროა ამის მტკიცება, ვის უთქავს ოდესმე ამის საწინააღმდეგო?

5) „ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა, როგორც ადვოკატმა, რუსეთის სინამდვილეში არა ნაკლები როლი ითამაშა ვიდრე კარაბჩევესკიმ, პლევაკომ, სპასოვიჩმა და სხვებმა“ (გვ. 27), არ არის საჭირო ასეთი შედარება.

6) „ჩვენთვის კი ამ ქრონიკებით წამოყენებული საკითხის სრულყოფილად გაშუქება შეუძლებელი ხდება“ (გვ. 29), უეარვისია.

7) „ქართული კულტურის უძველესი ცენტრები: ბოლნისი, გელათი, ნეკრესი, სახელმწიფო დარბაზი, თელავის სემინარია და სხვები“ (გვ. 38—39), ტერიტორია და დაწესებულებანი ერთმანეთშია არეული.

8) „მსაჯულის“ ნაცვლად ავტორი ხმარობს ტერმინ „მართლმსაჯულს“ (გვ. 41). გაუგებარია თუ რა საჭირო იყო ეს.

9) „ერი“ და „ხალხი“ ერთმანეთში აქვს არეული (გვ. 42—47).

10) „1894 წლის მიიულთა და მოხვევთა აჯანყება, 1812 წლის კახეთის გლეხთა აჯანყება, 1819—1820 წ. წ. აჯანყებები იმერეთში, ოცდაათიანი წლების აჯანყებები იმერეთში, გორისა და თელავის მახრებში, 1841 წლის ვურის და 1857 წლის სამეგრელოს სახალხო აჯანყებები იყო გლეხთა ორმაგი კოლონიალური და ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრის ცაძლიერების შედეგი, ცდა ამ ურთიერთობიდან თავის დაღწევისა“ (გვ. 43—44). მიძიმე და გაუმართავი წინადადებაა.

11) „დაცვის ასეთი პირობებში ჩაყენებისა“ (გვ. 59). ასეთი — „ასეთი“-ს ნაცვლად.

12) „შინაარს“ ნაცვლად „შინაარსს“-ისა (გვ. 59).

13) „აკაკის სხვა პოლიტიკური საქმეების სასამართლო პროცესებშიაც მიუღია მონაწილეობა, მაგრამ ამ პროცესებით იმის მტკიცება, რომ აკაკი ადვოკატის პრაქტიკას ეწეოდა“ (გვ. 63), გაუგებარია.

14) „ნაფიც ვეჟილთა „შემარცხენე ფრთის“ წევრები, რომელზეც აღრევე იყო ლაპარაკი, ფაქტიურად პეტროგრადის იურისტთა კორპორაციის მოწინავე ახალგაზრდობისაგან შესდევ-

ბოდა, არ კმაყოფილდებოდნენ ვიწრო სივლით სივლით საქმიანობით“ (გვ. 93). გაუმართავია.

15) 16-ჯერ არის შრომაში „პეტროვიცი“ „პეტრაუციცის“ მაგიერ (გვ. 99—101, 106—107).

16) „ი. ბარათაშვილი სისხლის სამართლის საქმეთა საუკეთესო მცოდნე სპეციალისტი იყო“ (გვ. 111). პრიმიტიულია.

17) არ ვარგა გამოთქმა — „მტკიცებების“... „საეჭვო მდგომარეობაში ჩაყენება“ (გვ. 113).

18) „ბოროტება“ და არა „სიბოროტე“ (გვ. 133).

19) შრომაში მოყვანილია სვანების პროცესზე აკაკი წერეთლის რუსულ ენაზე წარმოთქმული სიტყვის ქართული თარგმანი. იგივე სიტყვა ნათარგმნი აქვს ქართულად ა. გელოვანს („საბჭოთა სამართალი“, 1960, № 6).

მოვიყვან ამ ორი თარგმანის ზოგიერთ ადგილს შესადარებლად:

ვ. უვანიას თარგმანი:

„ხელისუფლებაზე წინააღმდეგობის გაწევა“ (გვ. 148).

„აქ მე ვთვლი აუცილებლად ვთქვა, რომ ბუნება, რომელმაც ჩაყენა სვანები ქვაბურში და მოუსპო ფართო გაქანების საშუალება, ახლაც საფლავის კიდემდე აგრძელებს მათ დევნას.“ (გვ. 153).

„მე მჩიება მხოლოდ დავკმაყოფილდე ბრალდების მოწმეთა ჩვენებით, რომელ ნამცეცხვითაც დაცვის არსებობა შეუძლებელია“ (გვ. 153).

„მეორეს მხრივ ბრალდების მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც მეტად ცდილობდნენ გამოაჩინონ თავიანთი გმირობა“ (გვ. 155).

ა. გელოვანის თარგმანი:

„ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევა“ (სჯობია „ხელისუფლებისათვის“ ი. ს.)

„აქ მე საესებით მართებულად მიმიჩნია ადვოკატი, რომ ბუნება, რომელმაც სვანები ქვაბურში ჩაჰყენა და მათ წაართვა ყოველგვარი გაშლის შესაძლებლობა, კვლავ აგრძელებს მათ დევნას. სამარის პირამდე“ („საბჭოთა სამართალი“, 1950 წ. № 6).

„ამიტომ მე დამჩიენია დავკმაყოფილდე მხოლოდ ბრალდების მოწმეთა ჩვენებებით, თუმცა ამ ნამცეცხვს დაცვა ვერაფერს ვერ გამოარჩევა“ (იქვე).

„მეორე მხრივ სახეზეა ჩვენებები ბრალდების მოწმეთა, რომლებიც უფრო იმას ცდილობენ, რომ თავიანთი დამსახურება გვიჩვენონ“ (იქვე).

აქედანაც ნათელია თუ რამდენად მაღლა

დგას ა. გელოვანის თარგმანი ვ. ყვანიას თარგმანზე მიუხედავად იმისა, რომ ა. გელოვანის თარგმანიც შესაძლებელია შესწორებას მოითხოვდეს. აგრეთვე მაღლა დგას გელოვანისეული ანალიზი ამ სიტყვისა („საბჭოთა სამართალი“, 1958 წ., № 2), ვიდრე ვ.

ყვანიას. ამიტომ, უმჯობესი იყო, რომ ვ. ყვანიას უცვლელად მოეტანა ა. გელოვანის თარგმანი და მისივე გარჩევა ამ სიტყვისა.

აღარ შევჩერდები სხვა შენიშვნებზე. ლიტერატურული გაფორმების მხრივ, აზრების დასაზღვევითა და გადმოცემით შრომა მეტად დაბალ დონეზე დგას.

დასკვნა

1) სარეცენზიო ნაშრომი მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომებს შეიცავს.

2) ავტორს საკითხის შესახებ ფაქტური მასალა არა აქვს სათანადოდ შესწავლილი. მრავალ შემთხვევაში ფაქტები დამახინჯებულად არის გადმოცემული, სხვადასხვა საკითხები თუ მოვლენები, ანეკდოტები თუ ფაქტები, ერთმანეთშია არეული.

3) შრომა არა მართებულ წარმოდგენას გვაძლევს ლ. ანდრონიკაშვილზე, პროფ. გ. ნანი-შვილზე და სხვა.

4) შრომა არ არის აგებული გარკვეულ სისტემაზე: საკითხების განხილვას არ ახასიათებს თანამიმდევრობა, თვით ერთი და იგივე საკითხის განხილვის დროსაც შეინიშნება ულოგიკო გადასვლები.

პროფ. ი. სურბულაძე.

ნაშრომი კართავლ იურისტებზე

სარეცენზიო წიგნის ავტორს კეთილშობილური, მაგრამ ამასთან ერთად მეტად რთული საქმისათვის მოუკიდია ხელი. თემა მოიცავს რუსეთში და საქართველოში მოღვაწე ქართველი იურისტების საქმიანობას თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე. ალაგ-ალაგ ავტორი ამ საზღვრებსაც სცილდება. ამ თემის დამუშავება კი მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული.

როდესაც 1911 წელს, რუსეთის მთავარ სასამართლო ოლქების ნაფიც ვეჟილთა საბჭოების გადაწყვეტილებით, მუშაობა დაიწყო რუსეთის მართლმადიდებელი ადვოკატურის ორმოცდაათი წლის საქმიანობის ისტორიის შესადგენად, გამომუშავებულ იქნა ვრცელი გეგმა, შეგროვებულ იქნა დიდი წერილობითი მასალა: შრომა განაწილდა რამდენიმე ცნობილ იურისტთა შორის, და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ისტორიის წერა.

1914 წლისთვის, ე. ი. „სასამართლო წესდებების“ შემოღების 50 წლისთავისთვის, გეგმით გათვალისწინებული 4 ტომიდან, მხოლოდ 2 ტომი გამოიცა.


დიდი წერილობითი მასალის არსებობის და 50 წლის მანძილზე მოღვაწე გამოჩენილ იურისტებთან პირადი საუბრობის შესაძლებლობის მიუხედავად, ხსენებული ისტორიის პირველი ტომის ავტორი ი. გესენი წერდა: „ჩემზე დაკისრებული შრომის შედგენას სერიოზული და-

ბრკოლებები ეღობებოდა, და მე შეგნებულნი მაქვს, რომ მასალის არკმარისობა, განსაკუთრებით კი მისი უთანაბრობა დროისა და სივრცის თვალსაზრისით, აძნელებენ ფაქტებისა და შემთხვევებისაგან ისტორიის შენობის აგებას, რომლის ყველა ნაწილებიც ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულნი და ერთნაირად მტკიცენი იქნებიან“-ო.

ი. გესენთან შედარებით ვ. ყვანიას გამოსაკვლევად აღებული აქვს უფრო ფართო თემა, რომელიც მოიცავს არა მარტო ადვოკატების, არამედ საერთოდ იურისტების საქმიანობას, და ისიც არა ნახევარ, არამედ თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე.

თავისთავად ცხადია, რომ ერთი კაცისათვის ასეთი რთული ამოცანის გადაწყვეტა მეტის მეტად ძნელია, რაც კიდევ უფრო გართულებულია იმით, რომ ჩვენ არამც თუ ჩვენი წინამორბედების მოღვაწეობის შესახებ, არამედ ჩვენი თანამედროვეებისა და თანატოლი ამხანაგების შესახებაც კი ჯერჯერობით ვერ მოგვიწინავეს სათანადო მასალები.

ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ადვოკატურის თვითმმართველობა საქართველოში თითქმის ნახევარი საუკუნის დაგვიანებით იქნა შემოღებული, და ე. ი. არ არსებობდა დამოუკიდებლად მომუშავე ნაფიცი ვეჟილების საქ-



მიანობის გამაერთიანებელი ორგანო, რომელშიც საჭირო მასალები დაგროვდებოდა.

კიდევ უფრო ძნელია სასამართლოსა და პროკურატურაში წარსულში მოღვაწე ქართველი იურისტების საქმიანობის შესახებ მასალების მონახვა.

მაშასადამე, წერილობით მასალების მოპოვების მეტის-მეტად ძნელი პირობები მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ვ. ევანის ამ შრომის განხილვისა და შეფასებისას.

ავტორის ძირითადი დამსახურება ის არის, რომ მისმა შრომამ დღის წესრიგში დააყენა ქართველი იურისტების მოღვაწეობის შესწავლისა და შეფასების საკითხი. მეორე მხრივ, ავტორი ერთგვარად გამოესარჩლა თვით პროფესიას, რაც უდაოდ მისასაღმებელია.

ვ. ევანის ინიციატივა მით უფრო არის მოსაწონი და მისასაღმებელი, რომ ძველდაც იყვნენ და ეხლაც მოიპოვებიან ადამიანები, რომელნიც იურისტის, განსაკუთრებით ადვოკატის პროფესიას აღმაცერად, ექვის თვალთ უყურებენ. წიგნი გამსჭვალულია გამოჩენილი ქართველი იურისტებისადმი ავტორის მხრივ პატივისცემით, მათი ცოდნის, გამოცდილებისა და მორალური თვისებების მაღალი შეფასებით.

მაგრამ, ავტორისა და მისი წამოწყებისადმი თანაგრძნობა გვავალებს აღვნიშნოთ ის ნაკლოვანებანი, რაც, სამწუხაროდ, შრომას გააჩნია.

წიგნის შინაარსი საკმაო სისრულით არ უბასუხებს მის სათაურსა და ქვესათაურს, ხშირად ნაშრომში მოტანილი მასალა სრულიად სცილდება თემას.

ზედმეტია, მაგალითად, საქართველოში ჰარიმანის საქმიანობის დაწვრილებით აღწერა. (17-22 გვ.). საკმაო იყო ჰარიმანთან წამოჭრილი კონფლიქტის იურიდიული არსის გაღმომცემა და იმ დებულებების მოკლედ მოყვანა, რომლებითაც ხ. ნარიმანოვმა საბჭოთა სასამართლო ორგანოებში, ხოლო ლ. ანდრონიკაშვილმა საკონცესიო ორგანოებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასძლიეს ჰარიმანისა და მისი იურისტების წინააღმდეგობა.

ზედმეტია წიგნის 31-50 გვერდებზე მოყვანილი ცნობები სხვადასხვა ქვეყნებისა და ეპოქების მოღვაწეთა მჭერმეტყველების შესახებ. მიზანშეუწონლად მიგვაჩნია შრომაში ლიტერატურულ გასამართლებების შესახებ მასალების შეტანა (72, 193, 221 გვ. გვ.).

„ქართველ იურისტთა შემოქმედების ისტორიის სისტემატიზაციის პირველი ცდა“ — თვითონ მოკლებულია სისტემას: ავტორი, ხშირად, ერთი თემიდან, ფაქტიდან, გარემოებიდან მოულოდნელად გადადის სხვა საკითხზე, რომელიც პირველთან არაფრით დაკავშირებული არ

არის (გვ. გვ. 17, 23, 24, და საერთოდ მთელი წიგნი).

იმ დროს, როდესაც ავტორი ჩივის წერილობითი მასალების უქონლობაზე, მას საკმაო სისრულით არ აქვს გამოყენებული მის მიერ დასახელებული ქართველი იურისტების დაბეჭდილი შრომები, რომლებიც სხვადასხვა წიგნსაცავებში მოიპოვება.

საჭირო და შესაძლებელიც იყო ზურაბ ავალიშვილის მონოგრაფიების და სტატიების წაკითხვა სახელმწიფო, საერთაშორისო, ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე; წიგნში, რომლის სათაურიც არის „ქართველი იურისტები“, მე ვფიქრობ აუცილებელი იყო ნიკო ხიზანიშვილის (ურბნელის), იროლიონ სურგულაძისა და ავრეთვე ჩვენი თანამედროვე მეცნიერი იურისტებისა და მათი ნაწარმოებების მოხსენება.

ამ მასალებით შეივსებოდა შრომის ის გვერდები, რომლებიც დათმობილი აქვს თემისათვის უცხო ამბებს.

შრომის ავტორს გამორჩენია საყოველთაოდ ცნობილი და მის თემასთან დაკავშირებული ფაქტები, ხოლო ზოგან კი არა ზუსტად არის მოყვანილი. წიგნში ძალზე ბევრია ფაქტიური შეცდომები.

გამორჩენილია, მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი გარემოება, როგორიც არის ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ოთხი წლის განმავლობაში მომრიგებელი შუამავლის თანამდებობაზე, რომელიც მან ბატონყმობის უღლისაგან გლეხთა განთავისუფლებისთანავე საგანგებოდ იმ მიზნით დაიკავა, რომ ყოფილი ყმები დაეცვა მათი ყოფილი ბატონების უმართებულო პრეტენზიებისაგან.

ცნობილი ნაფიცო ექვილი აღექსანდრე იაკობის ძე პასსოვერი მართალია ყოველმხრივ განათლებული და დიდი ცოდნის პატრონი იყო, ეკუთვნოდა არა კრიმინალისტბა, არამედ ცივილისტთა ვკუფს (78 გვ.).

ერთადერთი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც პასსოვერმა დაიცვა, იყო საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის—ალექსი ლობუზინისა.

პეტერბურგში „ახალგაზრდა ადვოკატურის“ მიერ დაარსებული „საკონსულტაციო ბიუროები“ იურიდიულ დახმარებას უწყვეტად უმთავრესად ქალაქის სამრეწველო და განაპირა რაიონებში დასახლებულ მუშებს და არა გლეხობას. (78 გვ.).

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის საქმიანობასთან დაკავშირებით მოთხრობილი ამბავი „კუზაინის“ მიერ „სტატსკი სოვეტნიკი“-ს მკვლელობის

პროცესისა ვიდაცას შეუთხზავს და ავტორისათვის მიუწოდებია (78, 80). სინამდვილეში ანდრონიკაშვილს ასეთი პროცესი არ ჰქონია. გარდა იმისა, რომ მთელი ეს ამბავი გამოგონილია. მასში მრავალი იურიდიული შეცდომია. ოლქის სასამართლოს ექვემდებარებოდა ყოველი მკვლელობის — და არა მარტო „მაღალი წოდების“ პირის მკვლელობის საქმე (79 გვ.), „სისხლის სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა დებულება“ არ ითვალისწინებდა „სტატსკი სოვეტნიკის“ მოკვლისთვის სიკვდილით დასჯას. (79 გვ.), არ არსებობდა და არც შეიძლება ყოფილიყო პირობა, რომ თუ ნაფიცი ვეჭილის თანაშემწის კლიენტს გამამტყუნებელ განაჩენს ვალიდურად, ასეთი თანაშემწე თითქოს არ ეარიგებოდა ნაფიც ვეჭილთა რიცხვში მიღებას. ნაფიცი ვეჭილის თანაშემწეობიდან ნაფიც ვეჭილთა შემადგენლობაში გადასასვლელად საჭირო იყო 5 წლიანი სტაჟი და 3 მოხსენების გაკეთება.

თვით ავტორის მიერ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის საქმიანობა ნაფიცი ვეჭილის თანაშემწედ ყოფნის პერიოდში იმდენად მიღაზიარის ხოვანი მჩაგვრებლებით არის დახასიათებული, რომ მას არაფერი არ აბრკოლებდა ნაფიც ვეჭილთა შემადგენლობაში გადასვლისათვის. „კუზიანის პროცესი“ ავტორს, როგორც ჩანს, მოყვანილი აქვს ლ. ანდრონიკაშვილის ღირსების ასამაღლებლად. ნამდვილად კი ლ. ანდრონიკაშვილისათვის მიწერილი ხერხი ამცირებს მის ღირსებას, როგორც ადვოკატისას.

იმას, რომ მთელი ეს პროცესი მოგონილია ადასტურებს ერთი დეტალიც: ავტორი წერს, რომ მითინებიდან გამოსულმა სასამართლოს თავმჯდომარემ შესძახა ლ. ანდრონიკაშვილს: „თავადო ანდრონიკაშვილო, მე თქვენ ჩამოგართმევთ სიტყვის უფლებას, და შეიძლება ჩამოგართვათ წოდებაცო“... (გვ. 80).

ასეთი სიტყვებით ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ლუარსაბ ანდრონიკაშვილს ვერ მიმართავდა, რადგანაც უკანასკნელი თავადი არ იყო და არც იწოდებოდა თავადად, ამასთან ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს არ ჰქონდა მინიჭებული ვისგანმე „წოდების ჩამოგართმევის“ უფლება.

ღრმა ფსიქოლოგს, ფილოსოფოსს, სამართლებრივი დისციპლინებისა და კანონმდებლობის ზედმიწევნით მცოდნეს და ზეპირსიტყვის დიდ ხელოვანს ლ. ანდრონიკაშვილს შესწევდა ნიჭი და უნარი დამაჯერებლად განემარტა ნაფიც მსაჯულთათვის ბუნებით დაჩაგრული „კუზიანის“ სულიერი მდგომარეობა, ძლიერი აღმშენება და წონასწორობის დაკარგვა იმ მტკივნეული შეურაცხყოფის გამო, რასაც მას ყოველ-

დღიურად თითქოს „მოკლული სტატსკი სოვეტნიკი“ აყენებდა.

ამიტომ, და აგრეთვე იმის გამოც, რომ ლ. ანდრონიკაშვილი ფაქიზი გემოვნების ადამიანი იყო, იგი ვერ მიმართავდა მდარე ხარისხის კომედიაანტობას, კიდეც რომ შეხვედროდა „კუზიანის“ დაცვა.

ამ სტრიქონების ავტორს მოსმენილი აქვს პეტერბურგის „ახალგაზრდა ადვოკატურის“ წარმომადგენლების, — ალექსი დემიანოვის, მიხეილ ბერენშტამის და ნიკოლოზ სოკოლოვისაგან, რომ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი შედიოდა მთელი რუსეთის საუკეთესო ადვოკატთა პირველ „ხუთეულში“.


როდესაც კი „ახალგაზრდა ადვოკატთა“ წრეში წამოიჭრებოდა დავა რაიმე ზნეობრივ საკითხზე, მის გადასაწყვეტად მიმართავდნენ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, როგორც „საადვოკატო ეთიკის საზომს“.

წიგნის 99, 100, 101, 106 გვერდებზე ნახსენები ლ. ი. პეტრაჟიციკი (და არა პეტრაჟიციკი) რუსეთის რევოლუციისაგან გაქცეული რუსი ემიგრანტი კი არ იყო, არამედ თავის სამშობლოში — პოლონეთში დაბრუნებული პატრიოტი, ისევე როგორც თავის სამშობლოს დაუბრუნდნენ ჩვენი მოღვაწენი: ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და ბევრი სხვა.

ქ. პეტერბურგიდან კადეტთა პარტიის კანდიდატის სახით პირველ სახელმწიფო სათათბიროში არჩეულმა ლ. პეტრაჟიციკიმ და ქ. მოსკოვიდან აგრეთვე კადეტთა პარტიის წარმომადგენელმა ა. ლედნიცკიმ ითავეს რუსეთის პირველ სახელმწიფო სათათბიროსთან „ავტონომისტთა კავშირის“ დაარსება, რომლის მიზანიც იყო ბრძოლა რუსეთის იმპერიაში შემავალი არარუსი ერებისათვის პოლიტიკური ავტონომიის მოსაპოვებლად. ამ კავშირში შედიოდა საქართველოს დეპუტატიც იოსებ ბარათაშვილი.

უადვილო არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ხსენებული „ავტონომისტთა კავშირის“ მდივნად არჩეული იქნა პირველ სახელმწიფო სათათბიროსთან არსებული ყურნალისტთა ბიუროს მდივანი, ჩვენი თანამემამულე იმ დროს ნაფიცი ვეჭილის თანაშემწე, შემდგომი კი ნაფიცი ვეჭილი და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრი ვარლამ გელოვანი.

გიორგი ნანეიშვილმა (უხერხულად მიამაჩნია მის მიმართ „ზოზოს“ ხმაურება, თუმცა უნივერსიტეტში მას ამხანაგები მართლაც ასე ვუწოდებდით) იმიტომ კი არ უარყო ლ. პეტრაჟიციკის წინადადება, პოლონეთის სამართლის აკადემიაში თანამშრომლობაზე, რომ ყოფილ მას-



წავლებელსა და მოწაფის შორის იმდენად შეუ-
რიგებელი აზრთა წინააღმდეგობა წარმოიშვა,
რომ ერთსა და იგივე სამეცნიერო ორგანოში
მათი ერთდროულად მუშაობა შეუძლებელი
იყო. (გვ. 102) არამედ პირველყოვლისა იმი-
ტომ, რომ როგორც პეტრეაქიცი გაეშურა პო-
ლონეთში, ისე ნაწილი მოეშურებოდა თა-
ვის სამშობლოში, საქართველოში, აქ სამართ-
ლის მეცნიერების აღორძინებაში მონაწილეო-
ბის მისაღებად.

შრომის 110 დვერდზე წერია, რომ პირველი
„სახელმწიფო სათათბიროს განდევნის მეორე
დღესვე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის
200-მდე წევრი, მათ შორის ოსიკო ბარათაშვი-
ლი. ფინეთის ქალაქ ვიბორგში შეიკრიბა და
შეადგინეს ვიბორგის მოწოდება“-ო. 200-მდე
წევრი სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას არამე-
ტუ პირველ სახელმწიფო სათათბიროში, არა-
მედ ოთხივე მოწვევაში ერთად არ ჰყოლია.

შრომაში დასახელებულია განსვენებული
ქართველი იურისტები, (ანდრია და დავით ხელ-
თუფლიშვილები, სერგო ჯაფარიძე, ზურაბ
ავალიშვილი, დავით კვიციანი, პეტრე ქავთა-
რაძე და სხვა) რომელთა შესახებ მკითხველი
გვარის მეტს არაფერს გეტულობს.

შეიძლება ზოგიერთი მათგანის დახსიათება
ორი-სამი სიტყვით მაინც. მაგალითად, ნიკიერ
ანდრია ხელთუფლიაშვილის შესახებ შეიძლე-
ბოდა თქმულიყო, რომ უნივერსიტეტის წარმა-
ტებით დამთავრებისას, სადიპლომო შრომისა-
თვის „1783 წლის ტრაქტატი“ იგი დაჯილდო-
ვებული მქნა ოქროს მედლით, უნივერსიტეტ-
ში დატოვებით პროფესორად მოსამზადებ-
ლად, რაც სამწუხაროდ ვერ მოესწრო, რადგან
ადრე გარდაიცვალა.

მისი ძმის დავით (და არა მიხეილ) ხელთუფ-
ლიშვილის და აგრეთვე სერგო ჯაფარიძის შე-
სახებ შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ საკასა-
ციო საჩივარზე მათი ხელის მოწერა, რუსეთის
სენატის დეპარტამენტში მიჩნეული იყო საკმაო
გარანტიად, რომ საჩივარში გაკეთებული მითი-
თებანი კანონზე ან სენატს დადგენილებაზე
ზუსტი და არსებითად საფუძვლიანი იყო.

ოქროს მედლით იყო დაჯილდოვებული სა-
დიპლომო შრომისათვის აგრეთვე ივანე ჯავახი-
შვილის უმცროსი ძმა—დავით ჯავახიშვილი, რომ-
ელიც აგრეთვე ადრე გარდაიცვალა, რის გამოც
ვერ მოესწრო საფინანსო სამართალში პეტერ-
ბურგის უნივერსიტეტში პროფესორად მომზა-
დება.

წიგნის 24-ე გვერდზე ნახსენები ზურაბ და-
ვითის ძე ავალიშვილი არასდროს ნაფიც ვეჭი-
ლად არ ყოფილა. სადიპლომო შრომისათვის

„საქართველოს შეერთება რუსეთთან“ ოქროს
მედლით დაჯილდოვებს; პეტერბურგის უნივერ-
სიტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრას-
თან პროფესორის წოდებისათვის მოსამზადებ-
ლად დატოვებს, 2 წლით გაგზავნეს საფრანგეთ-
ში, სადაც მან მოამზადა და შემდეგ პეტერბურ-
გის უნივერსიტეტში ბრწყინალებად დაიცვა
დისერტაცია თემაზე: „დეცენტრალიზაცია და
თვითმმართველობა საფრანგეთში“.

დისერტაციის დაცვის შემდეგ ზ. ავალიშვილს
მისმა ერთ-ერთმა ოპონენტმა, მსოფლიოში
სახელმწიფოებში მეცნიერმა იურისტმა აკა-
დემიკოს მაქსიმე კოვალევსკიმ „სახელმწიფო
სამართლის მეცნიერების აღმომავალი ვარსკე-
ლავი“ უწოდა.

პეტრე ქავთარაძე, რომელიც გარდა იმისა,
რომ ნიკიერი, ცნობრილი იურისტი და მკერმე-
ტყველი დამცველი იყო, დაუცხრომლად მოღ-
ვაწებდა ქართული კულტურის სხვა დარგებ-
შიც; იყო შესანიშნავი მთარგმნელი ძველი ბერ-
ძული ღრამატიული ნაწარმოებებისა, დიდი და
ფასდაუღებელი შრომა გასწია 50000 სიტყვი-
საგან შემდგარი რუსულ-ქართულ ლექსიკონზე,
რომლის ფრაზეოლოგია და მაგალითები მთლი-
ანად მისი შედგენილია და მთელი ლექსიკონის
საბოლოო რედაქციაც მის მიერ არის შესრუ-
ლებული.

გარდა ამისა პ. ქავთარაძე ერთ დროს იყო
გაზ. „რუსკაია მოლეა“-ს საერთაშორისო გან-
ყოფილების რედაქტორის—ზ. ავალიშვილის თა-
ნაშემწე.

გამოჩენილი იურისტი და შესანიშნავი დამც-
ველი იყო პოეტ ვახტანგ ორბელიანის შვილი,
ნიკოლოზ ორბელიანი, რომელიც საქართველო-
ში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემ-
დეგ ცხოვრობდა და ადვოკატად მუშაობდა
ბოლნისში, სადაც 30-იან წლებში გარდაიცვა-
ლა. ნ. ორბელიანი, სხვათა შორის, საოლქო სა-
სამართლოში იცავდა დავით და ნიკოლოზ ჩხო-
ტუბეს, რომელთაც ბრალად ედებოდათ ნინო
ანდრეევსკაიას მკვლელობა.

ამ მეტად რთულ საქმეზე სასამართლო პალა-
ტაში ჩხოტუბების დამცველად ორბელიანთან
ერთად გამოდიოდა ვლადიმერ პასოვიჩი, რომ-
ლის სიტყვაც დღემდე საუკეთესო დაცვით სი-
ტყვად ითვლება რუსეთის ადვოკატურის მთე-
ლი საქმიანობის პერიოდში.

ჩვენის აზრით, შრომის ხარვეზად უნდა ჩაით-
ვალოს ისიც, რომ მასში არ არიან მოხსენე-
ბულნი ქართული სამართლის ისტორიისა და
თეორიის მკვლევარნი, როგორც იყო განსვენ-
ებული ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), და რო-
გორნიც არიან ახლანდელი ჩვენი ნაყოფიერი

მოღვაწენი — თ. წერეთელი, ვლ. მაყაშვილი, ალ. ვაჩეიშვილი, ი. დოლიძე, ივ. სურგულაძე, ს. ჯორბენაძე და სხვები და მათი შრომები, რომელთა გაცნობაც ავტორს აღვივლად შეეძლო.

უკანასკნელი შენიშვნა ეხება აკაკი წერეთლის სიტყვის თარგმანს. სიტყვა წარმოთქმულია სამხედრო სასამართლოში „თავისუფალ სვანეთის“ „აჯანყებული გლეხების“ დასაცავად. თარგმანი არადაამაკმაყოფილებელია. მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს: ბუნდოვნად, გაუმართავად არის ნათარგმნი სიტყვის დასაწყისი; სიტყვები—*как это ни странно со стороны защиты*. გადმოთარგმნილია: „როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს ეს დაცვის საქციელში“; (გვ. 141) *წინადადება: Полноравность женщины всегда существовала у них, и в этом пункте какой-нибудь дивный Гурмач или Джохан давно переросжили нас, эмансипаторов. Мы, конечно, не убиваем девочек, за то, ничто не мешает нам подвести под удары взрослых женщин*. გადმოთარგმნილია: „ქალთა სქესის თანასწორუფლებიანობა არსებობდა ამ საკითხში ვინმე ველური გურმაჩი ან ჯოხანი იდი ხანია უფრო გაიზარდნენ? ვიდრე ჩვენ, ემანსიპატორები. ჩვენ, რასაკვირველია გოგონებს არ ვანადგურებთ. ამავე დროს არაფერი ხელს არ გვიშლის მუდმივი დარტყმის ქვეშ გვყავდეს მომწიფებული ქალები“; (გვ. 148) „непосредственность“ ავტორი თარგმნის „უმწიკვლოება“-დ, (გვ. 149)

ნაცვლად „შუუცდომლობისა“; *человек*—ხე“-დ ნაცვლად შუბლისა; (გვ. 149) სიტყვები:


„*Как справедливо заметил мой сотоварищ по защите*“—ნათარგმნია: „როგორც სამართლიანად აღნიშნა ჩემმა ამხანაგმა დაცვიდან“; (გვ. 151) „*они сами пекли себе священников*“—„ისინი თითონ აცხობდნენ თავიანთ მღვდლებს“ (გვ. 151) და სხვ.

153 გვერდზე მომრიგებელი მოსამართლის გვარი ორბელი ავტორს ნახმარი აქვს სოფლის სახელად. (გვ. 153) სასამართლოს თავმჯდომარის შენიშვნის გამო აკაკი წერეთლის მიერ ბოდიშის მოხდა სიტყვით „*виноват*“ ავტორს ნათქვამი აქვს: „დამნაშავე ვარ“ (გვ. 154) და ასე შემდეგ.


ჩვენის აზრით უკეთესი იყო აკაკის სიტყვის თარგმანი წიგნში შეტანილი ყოფილიყო იმ ვარიანტით, რომელიც გამოქვეყნებულია „საბჭოთა საამართლის“ 1960 წ. № 6-ში.

მიუხედავად ზემოთხსენილი ნაკლოვანებებისა, ვიმეორებ, რომ სასურველია ვ. ქვინიამ განაგრძოს დაწყებული საქმე, რათქმაუნდა იმ პირობით, რომ მომავალში მეტის გულდასმით შეაგროვებს მასალებს და უფრო ფრთხილად გამოიყენებს მისთვის ზეპირად მიწოდებულ ცნობებს.

გიორგი თარხნიშვილი.



ქართული საბავთლის ისტორიის დიდი მკვლევარი



ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახით მან დაკარგა ქართველოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული ლიტერატურის ისტორიის უდიდესი მკვლევარი, რომელმაც თავის მრავალრიცხოვან შრომებში შესძლო ქართველი ხალხის კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი და ურთულესი საკითხები გადაეწყვიტა. ის საზომი, რომლითაც ჩვენ შესაძლებელია მივუღვეთ ჩვეულებრივ მეცნიერის დაფასებას, კორნელი კეკელიძის მიმართ არ გამოდგება. ისეთი ერთუდიცისა და ნიჭის მკვლევარი, როგორც კორნელი კეკელიძე იყო, ამა თუ იმ ხალხის ისტორიაში იშვიათია. საქმე მხოლოდ იმაში არ არის, რომ კორნელი კეკელიძემ ჩვენი ხალხის წარსულის მრავალი ბნელით მოხილი საკი-

თხი დღის სინათლეზე გამოიტანა. მთავარი ის არის, რომ მან შესძლო ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა მთელი თავისი სიდიდით ერთ მთლიან სისტემაში წარმოედგინა და ეჩვენებინა ის საბავთლო ადგილი, რომელიც ამ შემოქმედებას ეკუთვნის კაცობრიობის კულტურის საგანძურში. ქართველი ხალხის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას კორნელი კეკელიძის სახით გამოუჩინდა და უღალავი მოამაგე, ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებული მკვლევარი, რომელიც 60 წლის განმავლობაში სმალამოწვდილი თავს დასტრიალებდა თავისი საყვარელი ხალხის სასუკვარ საქმეს.

კორნელი კეკელიძეს 300 მეტი შრომა აქვს გამოქვეყნებული; 83 წელი იცოცხლა კორნელი კეკელიძემ და ჩვენი ხალხის საბედნიეროდ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მისი ნათელი და საღი გონება ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების გადაწყვეტას უტრიალებდა.

დიდი მეცნიერის მოღვაწეობა ქართველოლოგიის მრავალ დარგს მოიცავდა. ძირითადად მისი კვლევა ქართული ლიტერატურის ისტორიას შეეხებოდა, მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ მასალა, წყაროებში გამოცალკევებულად არ არის მოცემული, ამიტომაც ქართული ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად აკად. კორნელი კეკელიძეს უხდებოდა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროების საგანგებოდ შესწავლა და ამასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრების გამოთქმა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დარგის — ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

კერძოდ, აკად. კორნელი კეკელიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული სამართლის ისტორიის მრავალი საკითხის დამუშავების საქმეში.

დიდი მეცნიერის წვლილი ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერების წინაშე მრავალმხრივ საყურადღებოა. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ დარგში მას სპეციალური შრომებიც აქვს გამოქვეყნებული, მაგალითად, თავისი ცნობილი „ქართული მწერლობის ისტორიის“ ზოგიერთი თავი სამართლის საკითხებისადმი მიძღვნილი. ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული სამართლის ისტორიის საკითხები მას გაშუქებული აქვს სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც, ასე რომ ხშირად მას ქართული სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტის გარჩევა გახეული აქვს თავის მრავალრიცხოვან შრომებში. მოსაზრებანი, რომლებიც გამოთქმული აქვს კორნელი კეკელიძეს ქართული სამართლის ისტორიის სხვადასხვა ინსტიტუტის შესახებ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარი მათ გვერდს ვერ აუვლის.

ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საეკლესიო სამართლის ბერძნულსა და ქართულ წყაროებს. ამ წყაროების დაუფლების შეუდარებლად მაღალი დონე კორნელი კეკელიძის მეცნიერულ შემოქმედებას ქართული სამართლის ისტორიის დარგში დიდ ღირებულებას ანიჭებს. ფართო ერუდიცია, ნათელი გონება, მიხედვრის იშვიათი ალღო, წყაროების ღრმა ცოდნა კორნელი კეკელიძეს უადვილებდა ქართული სამართლის ისტორიის მრავალი ბუნდოვანი საკითხის გადაჭრას.

ცნობილია, რომ ქართული სამართლის ინსტიტუტების შესწავლისათვის მასალა მოიპოვება საქართველოს ისტორიის სხვადასხვა წყაროებში. ეს წყაროები კორნელი კეკელიძეს არათუ შედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი, არამედ მრავალი ამ წყაროთაგანი მხოლოდ მის მიერ იყო დადგენილი და გამოცემული. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ კორნელი კეკელიძეს ამ წყაროების ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი ადგილი ამოშიფრული, გასწორებული და ადგენილი აქვს. მრავალი ასეთი ამოშიფრული ადგილი აღმოჩენას უდრის, რადგანაც ძველისაგან განსხვავებით მასში სავსებით ახალი წაკითხვაა მოცემული, მაგალითად ათაბაგის მაგიერ ეჯიბი და სხვა. სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტის შინაარსის გათვალისწინება შესაძლებელია მხოლოდ კორნელი კეკელიძის შრომების შედეგად.

მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებების დადგენილებათა და, საერთოდ, საეკლესიო სამართლისა და ქართული სამართლის ინსტიტუტების პარალელებისა და მათი ურთიერთობის შესახებ საკითხები ისე ღრმად და ისე დეტალურად არის მოცემული კორნელი კეკელიძის შრომებში, რომ განცვიფრებული რჩებით, თუ როგორ შესძლო ადამიანმა საეკლესიო ინსტიტუტების და ქართული წყაროების ასე არსებული სისრულით შესწავლა. ამ მიმართულებით კორნელი კეკელიძის შრომები უადრესად მნიშვნელოვანია.

კორნელი კეკელიძეს ეკუთვნის მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენები.

მან აღადგინა ბიზანტიური მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლები, რომელ-

თა დედნები დაკარგულია, ხოლო თარგ-
 მანი ქართულ ენაზე აღმოჩნდა. ამით
 მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა
 მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

კორნელი კეკელიძის სახელი დიდი-
 ხანია გასცილდა საბჭოთა კავშირის სა-
 ზღვრებს. კორნელი კეკელიძემ მართე-
 ბულად დაიმკვიდრა სამუდამო ადგილი
 მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა შო-
 რის.

კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხე-
 ლისუფლებამ, ქართველმა ხალხმა სა-
 თანადოდ დააფასა მსცოვანი მეცნიერი
 და დიდი საზოგადო მოღვაწე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
 ტეტმა, სამარადისო ბინა მიუ-
 ჩინა თავის წიაღში, ივანე ჯავახიშვილი-
 სა და პეტრე მელიქიშვილის გვერდით
 ქართველი ხალხის საამაყო შვილს
 უკვდავების შარავანდედით მოხილს
 კორნელი კეკელიძეს.

6 7/35 9

ფან 50 333.



СОВЕТСКОЕ ПРАВО № 3

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР